PRIME
# Time
N32 (230), ორშაბათი 12 აგვისტო 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

## მერაბიშვილსა და აბალაიებს შორის დაპირისპირება გრძელდება

### ბაჩო აბალაია „ნაციონალურ მოძრაობას“ დაშლის?

### რა მოხდება ყრილობაზე, ვის დარჩება პარტია და ოფისი

2008 წლის ომის საიდუმლო შეთანხმება

## რა წერია და რატომ მალავენ სააკაშვილის ხელმოწერილ დოკუმენტს

სოსო ცისკარიშვილი: „არ გამიკვირდება, თუ საქართველოში არსებობს ერთი ტექსტი, თუნდაც გასაიდუმლოებული, და ის, რაც რუსეთსა და საფრანგეთს აქვს, არის სხვა“

შალვა ნათელაშვილი:

### „ნინო ბურჯანაძე უნდა მივიდეს მღვდელთან და ჩააბაროს აღსარება“

EXCLUSIVE

არჩილ თალაკვაძე:

„ბოლო წლების განმავლობაში C ჰეპატიტის გავრცელებამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საგანგაშო ნიშნულს მიაღწია“

EXCLUSIVE

ღუდუშაურის კლინიკა სკანდალში გაეხვია

ექიმები მშობელს 19 წლის შვილის გარდაცვალების ცნობას არ აძლევდნენ

EXCLUSIVE

FBI-ს აგენტი ზურაბ ჭვანიას მკვლელობაზე ალაპარაკდა

„დოკუმენტის ნაწილი FBI-ს მიერ გაყალბდა, ნაწილი კი უკვე აქ ითარგმნა არასწორად. ორიგინალში სულ სხვა რამ ეწერა“

## „სააკაშვილი შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა... ერთ-ერთი ვერსიით, ის სწორედ სააკაშვილმა მოკლა“

„...ჭვანია გაზით არ გაგუდულა და მეორე, ის ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპა და ამ საქმეში გარეულია სააკაშვილი“

მამუკა არეშიძე: „მე არ მაქვს უფლება, ეჭვი შევიტანო ამ ადამიანის სიტყვებში, ის არის FBI-ს ყოფილი თანამშრომელი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# FBI-ს აგენტი ზურაბ ჟვანიას

# „ჟვანია მოკლულია და სააკაშვილმა იცის, ვინ არის მკვლელი“

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**პოლიტიკურ კულუარებში მიხეილ სააკაშვილის დაკავების ვერსიაზე ალაპარაკდნენ. როგორც ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყოფილ პრეზიდენტს ხელბორკილებს დაადებენ და მოგვიანებით გირაოს შეფარდებით გამოუშვებენ. მთავარი ბრალდება ჟვანიას გარდაცვალების საკითხი იქნება. პოლიტიკურ ჭორს კიდევ უფრო ამყარებენ მთავარი პროკურორის განცხადებით, რომ ყოფილი პრემიერის გარდაცვალების გამოძიება დასასრულს უახლოვდება და სულ მალე გაიხსნება. რამდენად დაუშვებს მოქმედი პრემიერი ყოფილი პრეზიდენტის დაკავებას? ამაზე ზოგიერთი ექსპერტი უკვე ხმამაღლა მსჯელობს. მამუკა არეშიძის განცხადებით, ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სწორედ სააკაშვილის დასჯაა. თუმცა იგივე ექსპერტის განცხადებით, ივანიშვილს მოუწევს დასავლეთისთვის ანგარიშის გაწევა.**

**რაც შეეხება თავად ჟვანიას გარდაცვალების საქმეში სააკაშვილის წვლილს, ერთ-ერთი ვერსიით, ის სწორედ სააკაშვილმა მოკლა. ამაზე დიდი ხანია ჩუმად საუბრობენ, თუმცა ხმამაღლა არასოდეს გაჟღერებულა. არეშიძე კი ირწმუნება, რომ FBI-ს ყოფილმა თანამშრომელმა მას ჟვანიას გარდაცვალების დეტალები მოუყვა, რომელიც, თავის მხრივ, FBI-ს მოქმედი თანამშრომლებისგან გაიგო. კანონით FBI-ს მოქმედ თანამშრომლებსა და სხვათა შორის, ყოფილ თანამშრომლებსაც ეკრძალებათ ნებისმიერი ინფორმაციის გაცემა, მით უფრო ისეთის, რაც კონკრეტული ქვეყნის პრემიერის გარდაცვალებას ეხება. თუმცა ექსპერტი ამ ფაქტსაც მარტივად ხსნის. ამბობს, რომ ინტერესი დიდი იყო და შესაბამისად, დაინტერესებული ადამიანების წრეც ლოგიკურად გაიზარდა...**

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**

– ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, უამრავ ადამიანთან მაქვს კონტაქტი სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის, ისეთებთან, რომლებიც არიან პოლიტოლოგები და წარმოადგენენ საერთაშორისო საექსპერტო თანამეგობრობას. გარდა ამისა, არიან სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციის ყოფილი თუ ახლანდელი თანამშრომლები. აქედან გამომდინარე, გარკვეულ ინფორმაციას ვფლობ. ინფორმაცია მაქვს ამერიკული წყაროებიდან. ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო რომ FBI-ს თანამშრომელმა მაინცდამაინც კეთილსინდისიერად არ შექმნა ის დოკუმენტი. არ არის გამორიცხული, ეს მისი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაც კი იყო, რომ დოკუმენტი ყოფილიყო ისეთი, როგორიც არის. ამის შესახებ თბილისში მომუშავე ჯგუფი სირველმანმა სრული ინფორმაცია მიაწოდა ქართულ საზოგადოებას, თუ ვინ გააყალბა. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ დოკუმენტის ნაწილი FBI-ს მიერ გაყალბდა, ნაწილი კი უკვე აქ ითარგმნა არასწორად. ორიგინალში ეწერა სულ სხვა რამ, ვიდრე რეალობაში იყო. მე მქონდა კონტაქტი ამერიკული ადმინისტრაციის წარმომადგენლობასთან, მათ შორის FBI-ს ყოფილ თანამშრომელთან. სწორედ ამ თანამშრომელმა მითხრა, რომ, მათი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი ჟვანიას სიკვდილის მომენტში, სულ მცირე, იქ იმყოფებოდა. შეიძლება არ ესწრებოდა, მაგრამ იქ იმყოფებოდა.

**– იქ, სად?**

– შენობაში, სადაც ჟვანია დაიღუპა. ეს ადგილი არ დაუკონკრეტებიათ, მაგრამ, ჩვენი ვერსიით, ეს არის შავნაბადა. ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული ვერსიით, სწორედ იქ მოხდა ჟვანიას მკვლელობა და არის ვერსიაც, რომ სააკაშვილმა საფერფლე ჩაარტყა თავში ჟვანიას. მე არ მაქვს უფლება, ეჭვი შევიტანო ამ ადამიანის სიტყვებში, ის არის FBI-ს ყოფილი თანამშრომელი, ასაკოვანი კაცია და არის ადამიანი, რომელსაც ძალიან ბევრ სიტუაციურ ანალიზში აქვს მონაწილეობა მიღებული. ის არ არის ოპერატიული მუშაკი, ის არის ანალიტიკური სამსახურის თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, საკმაოდ დიდ ინფორმაციას ფლობს. ის უფრთხილდება თავისი სამსახურის მუნდირის ღირსებას და აქედან გამომდინარე, მისთვის მიუღებელი იყო, ის გაყალბება, რაც მაშინ მოხდა. რომ არ ეთანხმებოდე ადამიანი ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ვერსიას, შეიძლება ეჭვიც შეგპარვოდა ამ ადამიანის სიტყვებში, მაგრამ ეს ვერსია არის ძალიან მყარი და ძალიან გავრცელებული – ჟვანია გაზით არ გაგუდულა. და მეორე, ის ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპა და ამ საქმეში სააკაშვილია გარეული.

**– როგორც აღნიშნეთ, ის, ვისზეც თქვენ საუბრობთ, არის ყოფილი თანამშრომელი. FBI-ს მოქმედ თანამშრომლებს ხომ არ აქვთ უფლება, გასცენ ასეთი ინფორმაციები თუნდაც ყოფილ თანამშრომლებზე?**

– ამის უფლება, რასაკვირველია, არ აქვთ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში, ანტიგლობალიზაციის პირობებში, მათ შორის სპეცსამსახურებსა და ხალხში სიმართლის დამალვა ძალიან რთულია, მით უფრო, თუ ეს ინფორმაცია ტყუილს შეეხება. თუ დაინტერესება ძალიან მაღალია, როგორც წესი, იმ წრის ადამიანების რაოდენობა, რომელიც კონკრეტულ საკითხში ჩახედულია, იზრდება ხოლმე. თანაც ეს თემა პირდაპირ არ არის დაკავშირებული ამერიკის უსაფრთხოებასთან. დაკავშირებული არის, თუმცა ირიბად. ამიტომაც, ალბათ, ამ ადამიანმა თავის თავს უფლება მისცა, ეს ისტორია მოეყოლა.

**– თქვენ თქვით, რომ დოკუმენტი არ შედგა სწორად, ანუ FBI-მ დასკვნა გააყალბა?**

– იცით, როგორ არის? ეს მთლად გაყალბება არ ყოფილა, ეს უფრო თვალთმაქცობა იყო. ალბათ, ვილაცის ნებას დაჰყვნენ. იქ ეწერა, რომ ჟვანია არაძალადობრივი სიკვდილით არის დაღუპული და იქვე ეწერა, რომ გაზის ის რაოდენობა, რაც იმ ბინაში იყო, ვერ გახდებოდა სასიკვდილო. ანუ თვითონ დასკვნაშივე იყო ჩადებული წინააღმდეგობები. ვფიქრობ, ეს შეგნებულად გაკეთდა.

**– თქვენ ასევე თქვით, რომ ორიგინალი დოკუმენტი არასწორად ითარგმნა, ამის გადამოწმებაც ხომ მარტივია?**

– სწორედ ამ ორიგინალში ეწერა, რომ ჟვანია გაზის იმ რაოდენობით ვერ გაიგუდებოდა.

**– ქართული მხრიდან ვინც არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ფიქრობთ, რომ FBI-ზე ზეგავლენის მოხდენა ასე მარტივია? და დასკვნას ასე მარტივად შეაცვლევინებდნენ?**

– საქმე ისაა, რომ ქართულ ადმინისტრაციას ზეგავლენა კი არ ჰქონდა FBI-ზე, არამედ ეს იყო პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ თავად ამერიკელები.

**– პროექტში სააკაშვილს გულისხმობთ?**

– კი, სააკაშვილს. ამერიკელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იყო, რომ

# მამუკა არეშიძე: „მე არ მაქვს უფლება, ეჭვი შევიტანო ამ ადამიანის სიტყვებში, ის არის FBI-ს ყოფილი თანამშრომელი...“

**„...ჟვანია გაზით არ გაგუდულა და მეორე, ის ძალადობრივი სიკვდილით დაიღუპა და ამ საქმეში გარეულია სააკაშვილი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მკვლელობაზე ალაპარაკდა

მათი პროექტი – სააკაშვილი გადარჩენილიყო.

**– და მზად იყვნენ, ასეთი დანაშაული დაეფარათ?**

– დეტალებზე არ მინდა საუბარი. ბევრად მეტი მოვისმინე იმ ადამიანისგან და ამიტომაც ვამბობ, რომ, სულ მცირე, სააკაშვილი შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა. არსებობს სხვა ვერსიაც, თუმცა ამაზე შევჩერდეთ. სულ მცირე, იქ ყოფნა ნიშნავს, რომ სააკაშვილს პირადად მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვიცი. იმისთვის, რომ პროექტი გადაერჩინათ, უარესისთვისაც დაუფარებიათ ხელი და თან არაერთხელ. ეს დიდი ქვეყნების დამახასიათებელი თვისებაა. ხშირად სახელმწიფო ინტერესებისთვის ხდება ნაკლებ მნიშვნელოვანი სიმართლის შეწირვა.

**– თუმცა პრემიერ-მინისტრის მკვლელობაზე ხელის დაფარება ნაკლებად მნიშვნელოვანი სიმართლე არ არის, როგორც თქვენ ამბობთ...**

– რასაკვირველია.

**– რა გარანტია ჰქონდა ამერიკულ მხარეს, რომ სიმართლე არ გაირკვეოდა?**

– საქმეც ეს არის. იმ მომენტისთვის ასე იყო საჭირო, როგორც ჩანს. ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გავამართლებ FBI-ს თანამშრომლის საქციელს, რომელმაც ეს ჩაიდინა. რაც არ უნდა დემოკრატიული სახელმწიფო იყოს, იმ ქვეყნის სპეცსამსახურების ისტორიაში ხშირად არის შავი ლაქები. ასეთი რამ ხშირად მომხდარა. ასეთი მომენტები იყო როგორც ფრანგული, ასევე ბრიტანული და ამერიკული სპეცსამსახურების ისტორიებში. ასეთ დროს წინა პლანზე ყოველთვის დგას ხოლმე სახელმწიფო ინტერესები და პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ეს არის ცინიზმი, მაგრამ პოლიტიკა ასეთია. ამერიკელებისთვის მაშინ პრიორიტეტი იყო საკუთარი პროექტის გადარჩენა. სააკაშვილი კი ამ პროექტის ნაწილი გახლდათ.

**– FBI-ს ყოფილი თანამშრომელი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, საჭიროების შემთხვევაში მზად იქნება, ამ დეტალებზე ხმამაღლა ისაუბროს, დაასახელოს იმ თანამშრომლის სახელი და გვარი, ვისგანაც ინფორმაცია მიიღო?**

– ეს ჩემთვის უცნობია, რადგან ჩვენ ასეთ საკითხებზე არ გვისაუბრია და ამაზე ვერც ვისაუბრებდით, რადგან ასეთ განსაკუთრებულ მიდგომას იმ შეხვედრაზე ვერ მოვახდენდი. მაგალითისთვის სხვა ფაქტს მოგიყვანთ. როდესაც ამერიკელ პოლიტოლოგებთან 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით მქონდა საუბარი, განხილვისა და კამათის თემა იყო, ამ ყველაფერში რა როლს ასრულებდა თეთრი სახლი. ისინი ხმალამოღებულები იცავდნენ თეთრი სახლის პოზიციას. სხვათა შორის, ლოგიკურად და გასაგებად. დიდი ხნის კამათის შემდეგ, როდესაც ჩვენ დავსვით შეკითხვა: პენტაგონიც ასეთივე მართალია ამ საქმეში? სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს ისეთი მომენტებია, როდესაც საკუთარ თავს მეტი კითხვის დასმის უფლებას ვეღარ მისცემ. რეაქციიდან გამომდინარე, გასაგები იყო, რომ, რბილად რომ ვთქვათ, პენტაგონი ბოლომდე მართალი არ იყო ამ სიტუაციაში. ეს იმიტომ მოვყევი, რომ მარტივად გასაგები გახდეს – როდესაც ასეთი კვალიფიკაციისა და სამსახურის წარმომადგენელს ესაუბრები, სჯობია, მან თავად თქვას სათქმელი, ვიდრე შენ ბევრი კითხვით უარყოფითი განწყობა შეუქმნა.

**– გასაგებია თქვენი პოზიცია, თუმცა ამ ეჭვებს, ბუნებრივია, სჭირდება დამტკიცება, მით უფრო, რომ მთავარი პროკურორი აცხადებს, საქმე მალე გაიხსნებაო...**

– საქმე ისაა, რომ პროკურატურას აქვს საშუალება, ეს ყველაფერი დაამტკიცოს, თუნდაც იმიტომ, რომ უამრავი მოწმე არსებობს. ძალიან საინტერესოა, რას იტყვიან ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრები, რას იტყვის ზოგიერთი დღევანდელი პოლიტიკოსი, რომელიც ირიბად შეესწრო ამ ფაქტს. ასევე, საინტერესოა, რას იტყვიან ის ადამიანები, რომლებმაც, მოწმის ჩვენებით, გვამი ბინაში შეიტანეს. ასე რომ, უამრავი მოწმე არსებობს.

**– თქვენ ამბობთ, რომ ეს საქმე FBI-ს ამერიკელი თანამშრომლების გარეშე გაიხსნება?**

– რა თქმა უნდა, ამერიკელების გარეშე.

**– წეღან განაცხადეთ, რომ FBI-ს ყოფილმა თანამშრომელმა ეს „თვალთმაქცობა“ გააპროტესტა, რადგან სამსახურის იმიჯის საკითხს შეეხნენ. მაშინ ახლაც არ შედის ამერიკული მხარის ინტერესში ამ საქმის გახსნა...**

– ახლა აბსოლუტურად სხვა სიტუაციაა. პოლიტიკური პროექტი – სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ეტაპზე უკვე მთავრდება.

## „დოკუმენტის ნაწილი FBI-ს მიერ გაყალბდა, ნაწილი კი უკვე აქ ითარგმნა არასწორად. ორიგინალში სულ სხვა რამ ეწერა“

**– გასაგებია, მაგრამ გამოდის FBI-მ საბუთები გააყალბა და ეს თუ დამტკიცდა, მას სერიოზული ზიანი მიადგება.**

– ძალიან მარტივად შეიძლება ამის მოგვარება. გაირკვევა, რომ კონკრეტულმა თანამშრომლებმა არაკეთილსინდისიერად იმუშავეს. FBI არის უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელიც მილიონი ამგვარი საქმითაა დაკავებული. კონკრეტული თანამშრომლები, ალბათ, დაისჯებიან, რასაკვირველია. მით უფრო, კონკრეტული თანამშრომლის სახელი და გვარი, ვინც ეს დასკვნა გააკეთა, ცნობილია.

**– ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი კონკრეტული თანამშრომლის დასჯით დასრულდება და FBI-ს იმიჯზე არ იმოქმედებს?**

– დარწმუნებული ვარ, რომ არ იმოქმედებს, რადგან უამრავი უარესი რამ მომხდარა.

**– შეგიძლიათ გვითხრათ, FBI-ს ყოფილ თანამშრომელს, რომელმაც ასეთი დეტალური და სკანდალური ინფორმაცია მოგაწოდათ, რა ვითარებაში შეხვდით?**

– აბსოლუტურად შემთხვევით მოხდა ეს შეხვედრა. მე ვესწრებოდი ერთ-ერთ კონფერენციას და ეს ადამიანიც ესწრებოდა, როგორც პოლიტოლოგი.

**– ბუნებრივია, კბილაშვილთანაც გექნებოდათ ამ საკითხებზე საუბარი...**

– არა, არ მქონია. როდესაც ამის შესახებ განცხადება გავაკეთე, კბილაშვილი სწორედ მაშინ ემზადებოდა ამერიკაში გასამგზავრებლად. დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მისი ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ ამ საქმეების გაცნობა იყო იქაური სამართალდამცველებისა და თეთრი სახლის წარმომადგენლებისთვის. შედეგების მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ, რადგან იქიდან დაბრუნებულმა კბილაშვილმა პოლიტიკურად მიზანშეწონილი განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით სააკაშვილის სისხლის სამართლის დანაშაული გამოკვეთილი არ არის. თუმცა ჩემი აზრია, რომ საქმე უნდა გამოიკვეთოს. ვფიქრობ, კბილაშვილზე გავლენა იქონია იმ განწყობებმა, რომელიც შეერთებულ შტატებში დახვდა. თუ ეს მომეჩვენა და ვცდები, ბოდიშს ვიხდი. მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც სააკაშვილმა ჩაიდინა ეს დანაშაული. მე ვამბობ, რომ სააკაშვილმა ეს ყველაფერი გადასარევად იცოდა და რაც ყველაზე მთავარია, ზურაბ ჟვანია იმ სიკვდილით არ გარდაცვლილა, რაც ჩვენ ვიცით. ის გარდაიცვალა სულ სხვანაირად. ამ სიმართლის დამალვაში დამნაშავეა სააკაშვილი. პირველ რიგში, ეს დანაშაული მიუძღვის მას, დანარჩენი მერე გაირკვევა.

## „სააკაშვილი შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა... ერთ-ერთი ვერსიით, ის სწორედ სააკაშვილმა მოკლა“

**– ერთი ვერსია არის ის, სააკაშვილმა ჟვანიას საფერფლე ესროლა. მეორე ვერსია რომელია? როცა ამბობთ, რომ სააკაშვილს პირადად არ მოუკლავს ჟვანია?**

– სხვამ ესროლა საფერფლე, ან სხვა რაიმე მძიმე საგანი. მოკლედ, ჟვანიას თავში აქვს ჩარტყმული რაღაც. ასეთი ინფორმაცია მაქვს მისი ახლობლებისგან.

**– თქვენ როდის შეხვდით FBI-ს თანამშრომელს, ანუ რამდენი ხანია, რაც ამ დეტალებს ფლობთ?**

– დაახლოებით სამი კვირაა.

**– ფიქრობთ, რომ ჟვანიას გარდაცვალებაში მონაწილეობა იქნება მთავარი ბრალდება სააკაშვილის დასაჭერად?**

– დააკავებენ თუ არა სააკაშვილს, არ ვიცი. თუ დადასტურდა, რასაკვირველია, დააკავებენ. თუმცა იცით, საქმე რა არის? სახელმწიფო ლიდერების გარშემო სიტუაცია არის სხვანაირი. პოლიტიკური მიზანშეწონილობა განაპირობებს იმას, დაისჯება თუ არა კონკრეტული ქვეყნის ხელმძღვანელი.

**– ვინ გადაწყვეტს, დაისჯება თუ არა სააკაშვილი?**

– საერთოდ, ასეთ რამეს წყვეტს პროკურატურა. მაგრამ საქართველოში და, საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში სამართალდამცავები: პროკურატურა და სასამართლო არ არის მიჩვეული საკუთარი დამოუკიდებლობის რეალურად შეგრძნებას. როგორ განვითარდება მოვლენები სააკაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, ამას ვერ გეტყვით, ჩემთვის რთული სათქმელია ეს.

**– ბუნებრივია, კბილაშვილი ამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს და არ გადაწყვეტს...**

– რასაკვირველია. თუმცა უნდა გითხრათ ერთი რამ. ბიძინა ივანიშვილისთვის სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი ბევრად მძიმედ დგას. უფრო მწვავედ, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ რიგითი წევრების დაკავებები. ხშირ შემთხვევაში მგონია კიდეც, რომ ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სააკაშვილის დასჯაა.

**– რის საფუძველზე ფიქრობთ ასე?**

– თუ ამ საკითხს მივუდგებით ბიზნესფსიქოლოგიით, სააკაშვილმა ივანიშვილი „გადააგდო“ და პლუს, ასე ვთქვათ, მისი დაჩაგვრა მოინდომა, რომელსაც, ბიზნესის ენაზე, „გაწეწვა“ ჰქვია.

**– რაში „გადააგდო“?**

– „გადააგდო“ პარტნიორულ ურთიერთობებში. გარკვეულ მომენტში ისინი პარტნიორები იყვნენ. მართალია, პოლიტიკისა და ბიზნესის პარტნიორობა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელია, მაგრამ ასეთი რამ არსებობს.

**– გინდათ თქვათ, რომ ივანიშვილს ბიზნესმენისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ანგარიშსწორების გეგმა ამოძრავებს?**

– რაღაც მომენტში ასეც იყო, თუმცა შემდეგ სხვა ფაქტებიც გახდა ცნობილი, თანაც ძალიან ბევრი. ივანიშვილი სააკაშვილს მიჰყვებოდა საქმეში მანამ, სანამ არ მიხვდა, რომ ეს კაცი საქმესაც ღუპავდა და ქვეყანასაც.

**– პირველ რიგში, ალბათ, საქმეს?**

– საქმე და სახელმწიფო ამ შემთხვევაში იდენტურია. აქ ბიზნესსაქმეზე არ არის საუბარი, აქ საუბარია ქვეყნის საქმეზე. ყოველ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილთან ჩემი ურთიერთობის დროს ეს ჩანდა. ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ სააკაშვილმა ამაზე პასუხი უნდა აგოს. ის არ პატიობდა საკუთარ თავს, რომ სააკაშვილს დაუჯერა. ის არასოდეს აკონკრეტებდა, რა დანაშაულზე იყო საუბარი. როგორც მე ვატყობდი, ბიძინა ივანიშვილისთვის უფრო აგვისტოს მოვლენები იყო გამაღიზიანებელი, ვიდრე სხვა დანარჩენი ფაქტები და დანაშაულები. აგვისტოს მოვლენებზე ის წყნარად ვერ საუბრობდა.

**– იმიტომ რომ რუსეთს ეხებოდა?**

– არა, იმიტომ რომ სააკაშვილმა ბევრად უფრო დიდი დანაშაული ჩაიდინა, ვიდრე ომის დაწყებაა. მან შეგნებულად გადადგა ქვეყნის დანგრევისკენ ნაბიჯი, მან პრაქტიკულად გაწირა ხალხიც და ქვეყანაც. ვერავინ ვერ მიხსნის, მათ შორის ნაციონალებიდანაც, რატომ არ გაიფრთხილეს მაშინ ხალხი. რაც შეეხება რუსეთს, როცა ივანიშვილთან ვსაუბრობდით ხოლმე, რუსეთზე არასოდეს გვისაუბრია. ერთადერთი, ამბობდა, რომ რუსეთთან არსებული მდგომარეობა რაიმენაირად უნდა გამოსწორებულიყო. ძირითადი საკითხები დაკავშირებული იყო ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებთან.

**– შეიძლება ვთქვათ, რომ სააკაშვილის დაჭერა-არდაჭერა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად გადაუვლის გაბრაზება ივანიშვილს?**

– არავითარ შემთხვევაში. პოლიტიკური კონიუნქტურიდან და პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ დასავლეთის პოზიცია გასათვალისწინებელი იყოს. არა მგონია, ასე მწვავედ იდგას საკითხი, რადგან გამართული გამოძიების შემთხვევაში დედამიწის ზურგზე ვერავინ დაუდგება ამ საქმეს წინ. თუმცა ყველაფერი უნდა იყოს დამტკიცებული. ისეთი მტკიცებულებები უნდა დაიდოს, რომ ეჭვი არავის შეეპაროს.

**– თქვენი ინფორმაციით, ოთახში სადაც ჟვანიას გარდაცვალება მოხდა, ვინ იმყოფებოდა?**

– ჩემთვის არ არის ეს ცნობილი. ჩემი ინფორმაციით, იქ არ ყოფილა მერაბიშვილი, დანარჩენები ვინ იყვნენ, არ ვიცი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბაჩო ახალაია „ნაციონალურ მოძრაო

**ადრე სააკაშვილის ერთ-ერთი საყვარელი ფრაზა იყო: მე არა ვარ შევარდნაძე. ის ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ არც აზროვნებით, არც მოქმედებით და არც მმართველობით თავის წინამორბედს არ ჰგავდა. კრიტიკულ ვითარებაშიც – როცა არჩევნები წააგო, მარცხი აღიარა და „ქართულ ოცნებას“ ვერტიკალისკენ გზა გაუხსნა.**

შევარდნაძე არამხოლოდ ქვეყნის, პარტიის ლიდერიც იყო. ისევე როგორც ახლა სააკაშვილია. „მოქალაქეთა კავშირში“ იყვნენ რეფორმატორები, ჟვანია-სააკაშვილის სახით, და იყვნენ იყვნენ ისეთებიც, რომლებისთვისაც მთავარი ღირებულება შევარდნაძე და მისი მხარდაჭერა იყო და არა პოლიტიკური ღირებულებები – რეფორმები, ადამიანის უფლებათა დაცვა და ასე შემდეგ.

სააკაშვილი შევარდნაძეს არ დაემგავსა და როცა არჩევნები წააგო, გაიწია, მაგრამ როგორი იქნება ის, როგორც პარტიის ლიდერი? თავის დროზე არჩევანის წინაშე შევარდნაძეც დადგა, სწორედ მაშინ, როცა საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა. მან რეფორმატორებს პარტია არ დაუთმო, ამიტომაც ჟვანიასა და სააკაშვილს ცალ-ცალკე მოუწიათ პოლიტიკური პარტიების შექმნა. „მოქალაქეთა კავშირი“ კი დარჩა შევარდნაძეს და ყველას, ვინც სწორებას შევარდნაძეზე აკეთებდა.

დაახლოებით ასეთივე არჩევანის წინაშე დგას ახლა სააკაშვილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას შორის დაპირისპირებამ ვერტიკალიდან შესაძლოა, პარტიაში გადაინაცვლოს.

ბაჩო ახალაია, როგორც უკვე ამბობენ, მალე ციხეს დატოვებს. მალევე, სააკაშვილის ინიციატივით, დაგეგმილია „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა. ბაჩო ახალაიას, რა თქმა უნდა, საკუთარი მომხრეები ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობაში“, ბოლოს და ბოლოს, ეს პოლიტიკური სივრცე ჯერ არც მის მამას – როლანდ ახალაიას დაუტოვებია.

რამდენად შესაძლებელია, რომ ბაჩო პოლიტიკაში ჩაერთოს და პარტიაზეც განაცხადოს პრეტენზიები? მისი ახლო გარემოცვა კულისებში ადასტურებს, რომ ბაჩო პოლიტიკაში ჩაერთვება, თუმცა, როგორ და რა ფორმით, ამაზე ინფორმაცია არ აქვთ ან არ სურთ დეტალებზე საუბარი.

ერთ-ერთი ინფორმაციით, დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ იმდენად ღრმაა, რომ საუბარი იმაზეც იყო, ვის დარჩებოდა რეალურად პარტიის ოფისი. პარტიის ოფისი კი დარჩება იმას, ვისაც „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება.

თავის დროზე, 19 აპრილს, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვანო მერაბიშვილის ლიდერობით რუსთაველზე პირველი ოპოზიციური მიტინგი მოაწყო, მოულოდნელად სააკაშვილიც გამოჩნდა. მაშინ პრეზიდენტის სიტყვის დასრულებამდე მერაბიშვილმა სცენა დატოვა.

სააკაშვილს ურჩევდნენ, მიტინგზე არ გამოჩენილიყო. და პარტიიდანაც მოეხდინა დისტანცირება, თუმცა, ბაჩო ახალაიას მხარდამჭერებს ამ რჩევასთან დაკავშირებით საპირისპირო მოსაზრება აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ პარტიაში ვანო მერაბიშვილის ადგილი არ არის.

თუ გავიხსენებთ, ერთი მხრივ, მარიკა ვერულაშვილისა და მეორე მხრივ, თეა თუთბერიძის განცხადებებს, ვნახავთ, რომ მათ მიზანში მხოლოდ ვანო მერაბიშვილი ჰყავთ ამოღებული.

**მარიკა ვერულაშვილი ღიად დაემუქრა ვანო მერაბიშვილს:**

– მიმაჩნია და დარწმუნებული ვარ, რომ ვანო მერაბიშვილი არ არის მიჩვეული სიმართლის თქმას, თუმცა უნდა გითხრათ, რომ მას ამის მოსმენა ძალიან ხშირად მოუწევს უახლოეს მომავალში. უახლოეს მომავალში ის ძალიან ბევრ არასასიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდოს. მე ამ დრომდე არ გამიკეთებია განცხადება პარტიის დატოვების მიზეზებზე. „ნაციონალური მოძრაობისა“ და ჩემი პარტიის კრახი საპარლამენტო არჩევნებში არის სწორედ მისი დამსახურება და მიმაჩნია, რომ ეს ადამიანი ამის შემდეგ აღარ უნდა ყოფილიყო გენერალური მდივანი ამ პარტიის. რადგან ეს მაინც ასე მოხდა, მე გადავწყვიტე, რომ ჩემი ადგილი აღარ იყო ამ პარტიაში. ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან მე, დღიდან დაარსებისა, ამ პარტიის წევრი ვარ.

**სკანდალური და ხმაურიანი განცხადებები თეა თუთბერიძემაც გააკეთა:**

– ნებისმიერ დროს რუსეთის სპეცსამსახურებს საქართველოს ხელისუფლებაში, ეკლესიაში, ოპოზიციაში ყოველთვის ჰყავდათ აგენტები. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი აღმოჩნდა ის, ვისზეც ყველაზე ნაკლებად ან საერთოდ ვერ ვიფიქრებდი მსგავსს. ასეთი ადამიანი ვანო მერაბიშვილი აღმოჩნდა...

ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას შორის, როგორც ჩანს, ბრძოლა გავლენებისთვის გრძელდება და ის არ დასრულებულა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ბრძოლა ახლა გადამწყვეტ ეტაპზეც გადავიდა. არ არის გამორიცხული, ციხიდან გამოსული ბაჩო ახალაია (და როგორც შეფასებები გაკეთდა და ფაქტებიც მეტყველებს, მას ვერც ერთი დანაშაული ვერ დაუმტკიცეს) „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზეც გამოცხადდეს.

სქემა მარტივი და მომგებიანია. ხელისუფლებამ რომ ბაჩო ახალაიას ვერაფერი დაუმტკიცა, ეს ბევრმა შეაფასა, როგორც გარიგება. და მაშინ რა გარიგებაზეა საუბარი? თუკი ბიძინა ივანიშვილის ინტერესი „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლაა, თანაც ისე, რომ პირადად ამ პროცესებში არც გამოჩნდეს. ბაჩო ახალაია მომგებიანი სვლა იქნება. მისი ნაციონალებში გამოჩენა შიდა დაპირისპირებას გამოიწვევს. მეტიც, პარტიის დატოვება ან ახალაიების „სასტავს“ მოუწევს, ან ვანო მერაბიშვილის და სხვა ლიდერების.

სხვათა შორის, როგორც ინფორმაციები ვრცელდებოდა, ახალაიებმა ახალ ხელისუფლებასთან გარიგება სცადეს, თუმცა ეს ბაჩომ გააპროტესტა. პროტესტის მიუხედავად, პროკურატურა ვერ ახერხებს მისთვის რაიმეს პოვნას. გუნავას ხომ „უპოვეს“ ბენზინის ტალონები? ალბათ, ბაჩოსაც უპოვიდნენ რამეს, მაგრამ ვერ უპოვეს და გამოუშვებენ კიდეც. მაგრამ შესაძლოა, ერთი მისიით – შიგნიდან დაშალოს ნაციონალები.

გია ხუხაშვილმა ერთხელ შემთხვევით არ თქვა: ბაჩო ახალაიაზეა დამოკიდებული ის, რას მიუსჯიან მას და როგორ პირობებში იქნება ციხეში.

ასე რომ, ბაჩო გამოდის, ნაციონალების ყრილობა დანიშნულია. ვის მხარეს დაიჭერს სააკაშვილი? აქამდე ცნობილი იყო, რომ ის ახალაიებს ლობირებდა. ვნახოთ, დაემსგავსება სააკაშვილი პარტიასთან დამოკიდებულებაში შევარდნაძეს თუ არა...

რა პოლიტიკური გეგმები აქვს ბაჩო ახალაიას და რამდენად შესაძლებელია, ის ყრილობაზე გამოჩნდეს? ამ საკითხზე „პრაიმტაიმმა“ კომენტარი მის მეგობრებსა და მომხრეებს სთხოვა.

**ნუგზარ წიკლაური, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

– ყრილობა, სავარაუდოდ, სექტემბერში გაიმართება. ჩვენ პრეზიდენტთან გვქონდა ამაზე საუბარი რამდენჯერმე, თუმცა მანამდეც ვიცოდით მისი დამოკიდებულება პარტიასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, იყო პარტიის წევრების შეკრება, სადაც პრეზიდენტმა პირადად მოგვაწოდა ინფორმაცია. ბოლო შეხვედრა შედგა სულ რამდენიმე დღის წინ და საერთოდ, ვერ ვხედავ რაიმე სახის პრინციპულ წინააღმდეგობას პარტიის წევრებს შორის ყრილობასთან დაკავშირებით.

**– არაპრინციპული წინააღმდეგობა რა საკითხზე იყო?**

– იყო საუბარი ყრილობის ვადასთან დაკავშირებით, იყო საუბარი, რომ მისი ჩატარება ცოტა ადრე, ან პირიქით, მოგვიანებით სჯობდა. ასევე, განიხილებოდა მისი ჩატარება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც. იქვე ითქვა და გადაწყდა, რომ სწორედ შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს ყრილობა, როგორც ერთგვარი პრობლემების განხილვის შესაძლებლობა. იცით, რომ არის ცვლილება დემოკრატიულობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე ითვლება, რომ პარტიის 10%-ს ექნება ყრილობის მოწვევის შესაძლებლობა. მთელი რიგი საკითხებია.

**– აქამდე როგორ ხდებოდა ყრილობის მოწვევა?**

– კარგად ვერ ვერკვევი ასეთ დეტალებში, თუმცა აქამდე ასე არ ყოფილა, ზუსტად ვიცი. სავარაუდოდ, უფრო მეტი რაოდენობა სჭირდებოდა ყრილობის მოწვევას.

**– 10% ძალიან ცოტა არ არის?**

– ძალიან ცოტა არის და სწორედ ესეც ნიშნავს დემოკრატიულობას. თუკი რაიმე პრინციპული საკითხი იქნება, პარტიის 10% შეძლებს, მოიწვიოს ყრილობა და განიხილოს ის კონკრეტული საკითხი. თუ პარტიის წევრების ოდნავ მაინც მნიშვნელობანი ჯგუფი შეიკრიბება, მათ არაფერი დაუდგებათ, ყრილობა მოიწვიონ.

**– თქვენ ახლა ჯგუფი ახსენეთ, აქამდეც ბევრჯერ ითქვა და მუდმივად გაინიხილებოდა, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობს მერაბიშვილის, ახალაიას, ბოკერიას, სააკაშვილისა და კიდევ სხვა ლიდერების ჯგუფები.**

## თეა თუთბერიძე: „როცა გამოჯა, ბაჩო თავად ისაუბრებს პოლიტიკურ გეგმებზე“

**ეს 10% ამ ცალკეული ჯგუფებისთვის გაკეთდა?**

– მეც მესმის ხოლმე, რომ ასე წერენ, ახსენებენ. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან ხელოვნური დაყოფაა. რეალობასთან კავშირი ამას არ აქვს. საერთოდ, როდესაც ასეთი დიდი პარტია არის, განსაკუთრებით თუკი ესეთი დიდი პარტია 9 წლის განმავლობაში რჩება ხელისუფლებაში,

## ნუგზარ წიკლაური: „თვითონ ბაჩო ახალაია, მისი განცხადებიდან გამომდინარე, არის პოლიტიკურად აქტიური ადამიანი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბას“ დაშლის?

რედაქცია თავს ვალდებულად მიიჩნევს, განმარტოს, რომ „პრაიმტაიმის“ წინა ნომერში პირველ გვერდის სათაურში ტექნიკური მიზეზით გაიპარა უზუსტობა. სათაურში გამოტანილი ფრაზა: „რისთვის შეიწყალა გიგი კალანდაძე...“ უნდა ეწეროს: „რისთვის შეიწყალა გუნავა“... ისევე, როგორც სტატიაშია მითითებული.

# მერაბიშვილსა და ახალაიებს შორის დაპირისპირება გრძელდება

## რა მოხდება ყრილობაზე, ვის დარჩება პარტია და ოფისი

ის სარგებლობდა საკმაოდ დიდი მხარდაჭერით. ასეთ პარტიაში, ბუნებრივია, არსებობს განსხვავებული მოსაზრებები, კამათი, მსჯელობები და ეს არის ნებისმიერი ცოცხალი პოლიტიკური ორგანიზმის ნორმალური მდგომარეობა. კამათი აქამდეც იყო და ამის შემდეგაც იქნება. ზოგ შემთხვევაში ერთი გუნდის წევრების აზრები ერთმანეთს ემთხვევა, ზოგ შემთხვევაში არ ემთხვევა. ეს ბუნებრივი პროცესია. ერთი რამ არის ცხადი, რომ მიხეილ სააკაშვილი არის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, ის არის ეპოქალური პოლიტიკური ფიგურა, ამიტომ, რა თქმა უნდა, მას ექნება სრულიად გამორჩეული ადგილი მომავალ „ნაციონალურ მოძრაობაში“.

**– ანუ ის ხმები, რომ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი შეიძლება გაემიჯნონ პარტიას და შეფასება, რომ ეს გადაწყვეტილება მართლაც კარგი იქნებოდა პარტიისთვის, არ შეესაბამება სიმართლეს?**

– აბსოლუტურად არ არის ასე. ნორმალურ სამუშაო ვითარებაში მიმდინარეობდა ყველაფერი, სანამ მერაბიშვილს არ დაიჭერდნენ. ის ყოველდღიურად მუშაობდა პარტიაში, იყო შეხვედრები პრეზიდენტთან. გენერალური მდივანი დაპატიმრებულია და არის ძალიან სერიოზული პრობლემა.

**– მერაბიშვილი შეიცვლება?**

– სავარაუდოდ, იქნება გადაწყვეტილება, რომ ადამიანი რომელიც არის დაპატიმრებული, შეინარჩუნებს პოზიციას, თუმცა პარალელურად ეფექტური მმართველობა არის საჭირო პარტიისთვის. ციხიდან კი შეუძლებელია ამის გაკეთება, ბევრი ტექნიკური საკითხია, გარდა ამისა, ციხეში არსებობს ინფორმაციული სიმწირე, შესაბამისად, სავარაუდოდ, შემოვა რამდენიმე პოსტი პარტიაში, რომელიც სწორედ ამ ტექნიკური საკითხების უზრუნველსაყოფად იქნება გამიზნული. ასევე, იქნება ბორდი და სწორედ ეს პოლიტიკური საბჭო მიიღებს მთავარ გადაწყვეტილებებს

**– აქ მთავარი ვაშაძე იქნება?**

– პერსონებზე საუბარი არ შემიძლია. ვფიქრობ, რაც უფრო მოახლოვდება ყრილობა, მით უფრო გამოხატავენ ეს პიროვნებები თავიანთ აზრებს. ამ პიროვნებებს, სავარაუდოდ, მოუწევთ საკუთარი პროგრამების წარმოდგენა. მიმაჩნია, რომ უნდა ვიცოდეთ, რას გეგმავენ, რას აპირებენ პარტიული თვალსაზრისით, რას დაეყრდნობიან, რა ნოვაციებს შემოიტანენ. ამის შემდეგ უკვე ყრილობაზე გადაწყდება, ვის აირჩევენ. ჩვენ გვინდა, რომ ყველა რაიონიდან დელეგატები ადგილზე იყვნენ არჩეულები, ისევე როგორც პრაიმერისზე მოხდა. პარტია ნელ-ნელა ამ სტილზე გადავა და ვფიქრობ, ეს არის მთავარი. რაც შეეხება პარტიის ფუნდამენტურ, პრინციპულ საკითხებს, საგარეო პოლიტიკურ ხედვას, ეკონომიკური ხედვა, შეხედულებები ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, საქართველოს როლის განსაზღვრა, როგორც კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოსი, ჩვენი დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ – ეს არის საკითხები, რომელთა ირგვლივ ჩვენი შეხედულებები და დამოკიდებულებები ერთნაირია და არ იცვლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტი დემოკრატია ნიშნავს მეტ ახალ სახეს. ის ლიდერები, რომლებიც დღეს არიან პარტიაში, ცას ვერ გამოეკერებიან, ახალი სახეები მოვლენ პარტიაში, ბუნებრივია. პოლიტიკა ერთ-ერთი კონსერვატული საქმეა და აქ ცვლილებები, როგორც წესი, იშვიათად ხდება. ვთვლი, რომ პარტიის კარი ღია უნდა იყოს ახალი ადამიანებისთვის.

**– არიან მსურველები „ნაციონალურ მოძრაობაში“ გასაწევრიანებლად?**

– ის, რომ სერგო რატიანი, ზურაბ ჯვაფარიძე, გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, უკვე როგორც პოლიტიკოსები, გამოჩნდნენ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, მარიამ საჯაია ძალიან ელვარე იმიჯის ადამიანია და მას კიდევ ბევრი რამის თქმა შეუძლია. ასე რომ, განახლების პროცესი მუდმივია და გამუდმებით მოაქვს ახალი იდეები. პირველმა ოქტომბერმა კიდევ უფრო ბევრი რამ გამოაჩინა „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ბევრი ადამიანი დისტანცირდა პარტიისგან და ვთვლი, რომ ესენი არიან ადამიანები, რომლებიც გამარჯვებული მხარისკენ არიან ხოლმე მუდამ. თუმცა გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც ვერ ხედავდნენ და დაიწყეს საქმიანობა. დღეს პარტიაში ჩამოყალიბებულია ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ კონკრეტულ სფეროებზე, მათ შორის თავდაცვაზე, ჯანდაცვაზე – ეს ძალიან საინტერესო პროცესია.

**– როგორც თქვენ განაცხადეთ, საკაშვილი აპირებს, დარჩეს პოლიტიკაში?**

– ეს წერია კიდევ მის განცხადებაში. პირდაპირ წერია, რომ სააკაშვილი იქნება პარტიის თავმჯდომარე.

**– იქ არ წერია, რომ პირადად სააკაშვილი იქნება პარტიის თავმჯდომარე...**

– წერია, პარტიის თავმჯდომარე. სააკაშვილი იყო ძალიან ძლიერი პრეზიდენტი. ასეთი საპრეზიდენტო ვადის შემდეგ საგანმანათლებლო ინტერესები, ქართული მეღვინეობისთვის ხელის შეწყობა, ლექციების კურსის ორგანიზება, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გაკეთება – ამ ტიპის საკითხებით დაინტერესება სრულიად ბუნებრივია. რომ შეხედოთ მსოფლიო პრეზიდენტების ისტორიებს, ნახავთ, რომ სწორედ ამ ტიპის საქმიანობებით არიან დაკავებულები საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. ახლა სააკაშვილის პოლიტიკიდან წასვლა ნიშნავს დანებებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა რუსები მართავენ პოლიტიკას.

**– იმ შემთხვევაში, თუ ბაჩო ახალაია განთავისუფლდება, ის აქტიურ პოლიტიკაში ჩაერთვება?**

– ვერ გეტყვით, მის მაგივრად არ შეიძლია საუბარი. თუმცა ბაჩომ რამდენიმე პოლიტიკური ხასიათის განცხადება გამოაქვეყნა, მაგრამ ეს რამდენად საკმარისია იმის სათქმელად, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს პოლიტიკაში გააქტიურებასთან დაკავშირებით, ძნელია.

**– თუ ახალაია ჩაერთვება პოლიტიკაში, გამოდის მას და მერაბიშვილს შორის დაპირისპირება გაგრძელდება...**

– მაშინ როცა ყველას აჯერებდნენ, რომ ბაჩო ახალაია ბავშვებს ჭამდა, ჩვენ ზუსტად ვიცოდით, რომ ეს არ იყო სიმართლე. უკვე დღეს მოსახლეობის 90%-ს, მგონი, სჯერა, რომ ის ყველაფერი, რასაც ამბობდნენ, არ იყო სიმართლე და იყო ბლეფი, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე მაინც დადასტურდებოდა. სიმართლე მაინც ნახავდა თავის გზას, უბრალოდ, მისთვის, ახალაიასთვის, ძალიან ძნელი იყო ეს ერთი წელი. ასევე, მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს მერაბიშვილთან და არანაირი კომუნიკაციის პრობლემა არ გვქონია.

**– შანსი, რომ ახალაია ჩაერთოს პარტიულ საქმიანობაში, არსებობს?**

– მე ვარ პრაქტიკოსი ადამიანი, არ იქნება სწორი ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი. თვითონ ბაჩო ახალაია, მისი განცხადებიდან გამომდინარე, არის პოლიტიკურად აქტიური ადამიანი. მისი ნაბიჯი, რომ ჩამოსულიყო საქართველოში, იმ დროს იყო ნამდვილად გმირული ნაბიჯი, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ლამის მთელ საქართველოს სჯეროდა იმ ბრალდებების, რასაც ახალაიაზე ისმენდნენ. ეს ნამდვილად არაორდინარული ადამიანის გადაწყვეტილება იყო. ასეთი არაორდინარული გადაწყვეტილებების განჭვრეტა მე არ შემიძლია.

**– სექტემბერში ახალაია შეიძლება უკვე თავისუფალი იყოს?**

– მე რამდენადაც ვიცნობ მის საქმეებს, ერთ საქმეში ის გამართლდა, თუმცა პროკურატურამ ის გაასაჩივრა, თუმცა ეს ძალიან სასაცილო საქმეა. მეორე საქმე კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე სხვა, ვგულისხმობ, იალღუჯას საქმეს. ამ საქმეში პროკურატურის ძალიან სუსტი პოზიციები აქვს. სხდომა ამ საქმეზე 12 აგვისტოს იქნება და სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლოსთვის განაჩენიც უნდა გავიგოთ. რაც შეეხება მესამე საქმეს, ეს არის ციხის ბუნტი, აქ არის ქურდების ჩვენებები. ეს იქნება საქმე, სადაც „კანონიერი ქურდების“ ჩვენებებით სახელმწიფო ცდილობს, გაასამართლოს სახელმწიფო თანამდებობის პირი. გაივლის დროს და ეს საქმე აუცილებლად გახდება ყველაზე ნიშანდობლივი და დამახასიათებელი საქმე იმ პერიოდის, რომელშიც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ. ვფიქრობ, გადაწყვეტილების მიღება ძალიან მძიმე იქნება. ეს იქნება ყველაზე უფრო პოლიტიკური საქმე.

**– ფიქრობთ, რომ პარტიის ყრილობისთვის ახალაია უკვე თავისუფალი იქნება?**

– ზუსტად ამას ვერ ვიტყვი.

**– სექტემბერში ყრილობის ჩატარება რატომ გადაწყდა?**

– პარტია ვალდებულია, არჩევნების წინ თავის ამომრჩეველს უთხრას, რა იდეალების ერთგულია, როგორ აპირებს გაგრძელებას, შეიცვალა თუ არა რამე მის პოზიციებში, რა ფუნდამენტურ საკითხებში მოხდა გადაფასება. ხალხი დაინახავს, რა მოძრაობაა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

**თეა თუთბერიძე:**

– ვერაფერს გეტყვით ბაჩო ახალაიას პოლიტიკურ გეგმებთან დაკავშირებით. რაც შეეხება მის განთავისუფლებას, დარწმუნებული ვარ, რომ ორივე საქმეზე დადგება გამამართლებელი გადაწყვეტილებები. სულ რომ „ქართული ოცნების“ მაისურგადაცმული მოსამართლე იხილავდეს ამ საქმეს, ისიც კი ვერ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს,

**– მის გეგმებს თუ იცნობთ?**

– ვერაფერს გეტყვით, როცა გამოვა, ბაჩო თავად ისაუბრებს პოლიტიკურ გეგმებზე.

**– სექტემბერში ნაციონალების პარტიული ყრილობაა დაანონსებული, როგორც ამბობენ, სწორედ ამ პერიოდისთვის განთავისუფლდება ბაჩო ახალაიაც, ამ ორ ფაქტს შორის კავშირს ხედავთ?**

– ჯერჯერობით ვერანაირ კავშირს ვერ ვხედავ, როცა ამ ეტაპამდე მივალთ, შემდეგ ვნახოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 2008 წლის ომის საიდუმლო შეთანხმება

ნინო დათაშვილი

## რა წერია და რატომ მალავენ სააკაშვილი-სარკოზი-მედვედევის ხელმოწერილ დოკუმენტს

**სოსო ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ სარკოზი-მედვედევსა და სააკაშვილს შორის საიდუმლო დოკუმენტსაც მოეწერა ხელი, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტს თან წაუღია. თუმცა, ცისკარიშვილი არც პირველია და არც უკანასკნელი. ასეთი დოკუმენტის არსებობას მამუკა არეშიძეც არ გამორიცხავს. თუმცა, ქართველი ექსპერტები მკითხავები არიან იმ ნაწილში, რომელიც ასეთი დოკუმენტის არსებობას ეხება, თუმცა, რაღატომ შეიძლება ის იმალებოდეს, ან რა წერია იქ, ამაზე პასუხები არ აქვთ.**

და მაინც, რა არგუმენტები მოჰყავთ ექსპერტებს საიდუმლო დოკუმენტის არსებობის სასარგებლოდ და რამდენად შესაძლებელია, რომ სააკაშვილიც, მედვედევიც და სარკოზიც ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი საიდუმლოს შენახვაში? „პრაიმტაიმი“ ქართველ ექსპერტებს ესაუბრა.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

– ხშირად ყრუდ ისმოდა ხოლმე, რომ ე.წ. მედვედევი-სარკოზის შეთანხმების რაღაც სხვა ტიპის დოკუმენტიც არსებობს. მე ვიცი პირველი ვარიანტი ამ ტექსტის, რომელშიც იყო პუნქტი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი განსაზღვრულიყო საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით. როგორც ვიცი, ეს მუხლი სააკაშვილის მოთხოვნით ამოიღეს. სხვათა შორის, ესეც საკითხავია, რატომ ამოიღეს ეს მუხლი. ეს მუხლი რომ დარჩენილიყო, რუსეთი იმ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, რაც მიიღო. რაღაც სხვა ტექსტი რომ არსებობს, ჩემთვის ესეც ცნობილია, მაგრამ ყრუდ. კონკრეტულად რა ტიპის ტექსტი არსებობს, არ ვიცით. მედვედევმა მიანიშნა, რომ ასეთი ტექსტი არსებობს, მაგრამ ეს ტექსტი ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია. მედვედევმა კიდევ ერთი რამ თქვა, მე და სარკოზიმ მოვაწერეთ ხელი ტექსტს, რომელიც სააკაშვილისთვისაც ცნობილიაო. არ ვიცი, რა ტექსტია, ეს კითხვა, ალბათ, სააკაშვილს უნდა დაუსვათ.

არეშიძის მოსაზრებას გარკვეულწილად იზიარებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი და აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს დოკუმენტის გასაჯაროებას. ცისკარიშვილისთვის განსაკუთრებით საინტერესოა საფრანგეთსა და რუსეთში არსებული დოკუმენტი. დოკუმენტზე წვდომის ერთ-ერთ ვარიანტად ექსპერტი რუსებისთვის ე.წ. მედვედევი-სარკოზის შეთანხმების გასაჯაროების თხოვნას არ გამორიცხავს.

**სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი:**

– განურჩევლად იმისა, რა გრიფი შეიძლება ჰქონდეს დოკუმენტს, ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენ არ გვინახავს სააკაშვილის მიერ 2008 წელს ხელმოწერილი არც ერთი ფურცელი სარკოზისა და მედვედევის შეთანხმებასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, როცა ოკუპანტი ხელს აწერს ფურცელზე და მასზე ხდება დამარცხებული მხარის ხელმოწერაც, ეს უნდა იყოს ან კაპიტულაცია, ან რაიმე უფრო მეტის შემცველი დოკუმენტი. რატომ არის დღემდე გასაიდუმლოებული ეს დოკუმენტი? არა მხოლოდ მედვედევთან ხელმოწერილი საბუთი, არამედ „ენგურჰესთან“ დაკავშირებული პუტინისა და სააკაშვილისთვის ცნობილი და მათი უფლებით ხელმოწერილი დოკუმენტიც, რომელიც იმდენად გაასაიდუმლოვა „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ, რომ საერთოდ ხელმიუწვდომელი გახდა. მედიის წარმომადგენლებს სასამართლოს სამივე დონემ უარი უთხრა დოკუმენტში ჩახედვაზე. აუცილებელია, რომ ეს დოკუმენტი იყოს გამოთხოვილი. უნდა ვიცოდეთ, რა ჩამოიტანა სარკოზიმ და რას მოაწერა ხელი სააკაშვილმა.

**– ქართული მხარისგან თუ მოხდა ამ დოკუმენტის გამოთხოვა?**

– არაერთი განცხადება გაკეთდა იმდროინდელი ოპოზიციური ძალებისგან, გვანახვეთ, რას მოეწერა ხელიო. ერთადერთი ცვლილება, რაც ზეპირსიტყვიერებით გადმოგვცეს, იყო რუსეთის მოთხოვნა, რომ აფხაზეთისა და ოსეთის საკითხი გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განხილვადი და მათი სტატუსი ყოფილიყო საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის საგანი. ამაზე სააკაშვილმა უარი თქვა. შემდგომ კრემლის მესვეურები ამ ფაქტს იყენებენ იმისთვის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზეზად შეთავაზებული პროექტიდან ამ მუხლის ამოღება გამოაცხადონ. გამოაცხადონ ამ მუხლის ამოღება შეთავაზებული პროექტიდან. სხვათა შორის, საქართველოს ხელისუფლებამ არცთუ უსაფუძვლოდ გადადგა ასეთი ნაბიჯი და არ დასთანხმდა, რომ ქართული ტერიტორიების რაიმე სტატუსი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ყოფილიყო განხილული, მაშინ როცა ტერიტორიული მთლიანობა ეჭვქვეშ არ იდგა ევროპისთვის და ამერიკისთვის. როგორც მსმენია, ეს პოზიცია იყო შეთავაზებული, აგრეთვე, იმ რამდენიმე პრეზიდენტისგან, ვინც იმ დღეს თბილისში იყვნენ ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერის დემონსტრირებისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მიერ საომარი ვითარების შეჩერების მიზნით ხელმოწერილი დოკუმენტი არ შეიძლება იყოს საიდუმლო. ამაზე ძველი ხელისუფლება დუმს.

**– ახალი ხელისუფლების მხრიდან თუ იყო ინტერესი ამ დოკუმენტის მიმართ?**

– რატომღაც ამაზე ახალი ხელისუფლებაც დუმს. რასაკვირველია, ეს დოკუმენტი გამომჟღავნდებოდა, ომის თემის გამოძიება რომ გაგრძელებულიყო. არ გამოვრიცხავ, რომ ისტერიული მიუღებლობა ახალი გამოძიების მიმართ, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოაწყო, ნაწილობრივ უკავშირდებოდეს მოსალოდნელ აუცილებლობას, გასაჯაროვდეს მედვედევისა და სააკაშვილის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი. ეს დოკუმენტი რომ არსებობს, ფაქტია, მაგრამ ჩემთვის უფრო საინტერესოა იმ დედნის ტექსტი, რომელიც სარკოზიმ წაიღო. არ გამიკვირდება, თუ საქართველოში არსებობს ერთი ტექსტი, თუნდაც გასაიდუმლოებული, და ის, რაც რუსეთსა და საფრანგეთს აქვთ, არის სხვა. ამიტომ, მგონი, უპრიანი იქნება, რუსებს ვთხოვოთ, გამოაქვეყნონ ეს დოკუმენტი, რადგან, როგორც ჩანს, სააკაშვილს ერიდება მისი გამოაშკარავება.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ დოკუმენტში, რომელიც არის საქართველოში, სხვა ტექსტია და იმაში, რომელიც საფრანგეთსა და რუსეთშია, სხვა?**

– არ გამოვრიცხავ.

**– რა წერია, თქვენი აზრით, ამ დოკუმენტში?**

– ეს მკითხაობის საგანია, რაც არ მეხერხება. ვწუხვარ, რომ ვანგა აღარ არის ცოცხალი, რადგან ის გვეტყოდა, როგორ უნდა განვითარდეს მოვლენები. ეს ჩემი სპეციალობა არ არის.

ექსპერტ თორნიკე შარაშენიძეს ამ საკითხზე განსხვავებული პოზიცია აქვს და ამბობს, რომ დოკუმენტი საიდუმლოებას არ წარმოადგენს და ის ყველასთვის ხელმისაწვდომია. რაც შეეხება შეთანხმების შესახებ დოკუმენტს, მის ორ ვარიანტზე საუბარს შარაშენიძე არასწორად მიიჩნევს. მისი თქმით, განსხვავება მართლაც არის, თუმცა უმნიშვნელო.

**თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:**

– მე თვითონ ნანახი მაქვს დოკუმენტის ორივე ვარიანტი. არის შიგნით რაღაც განსხვავებები. ერთი-ორი შესწორებაა შეტანილი.

**– მნიშვნელოვანი ცვლილებებია?**

– არაფერი მნიშვნელოვანი. დოკუმენტში, რომელიც ჩვენთან იყო, ეწერა: „მშვიდობა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში“, რუსებმა გადაიკეთეს: „მშვიდობა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის“. აი, ასეთი უმნიშვნელო განსხვავება შეიძლება ვნახოთ მხოლოდ.

**– ამბობენ, რომ დოკუმენტი გასაიდუმლოებულია...**

## „მგონი, უპრიანი იქნება, რუსებს ვთხოვოთ, გამოაქვეყნონ ეს დოკუმენტი“

– არაფერი გასაიდუმლოებული არ არის. ჩემთვის ცნობილია და ღიაა ყველასთვის.

**– ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების დროს რამდენიმე ოპოზიციურმა ძალამ გამოითხოვა ეს დოკუმენტი, რაზეც უარი მიიღეს...**

– არა მგონია. მე ეგ ტექსტი ნანახი მაქვს და არანაირი პრობლემა არ იყო.

**– რას ემსახურება მსგავსი განცხადებები?**

– უყვარს ზოგიერთს ეგეთების ლაპარაკი. ზოგს სჯერა მსგავსი რაღაცების, მაგრამ მე – არა. იყო დოკუმენტებს შორის განსხვავებები, მაგრამ იმის თქმა, რომ სხვადასხვა დოკუმენტებია, არასწორია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იპოთეკური კრიზისი საქართველ

მარიამ ნადირაძე

**ბიძინა ივანიშვილის რეიტინგს უკვე სერიოზულ დარტყმას აყენებს იპოთეკით დაზარალებულთა პრობლემის გადაწყვეტაში პოზიციების ცვლა.**

დეპუტატ გედევან ფოფხაძის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე აღსრულება-გამოსახლების პროცესი ექვსი თვით უნდა შეჩერებულიყო, პარლამენტმა, მართალია, პირველი მოსმენით მიიღო, მაგრამ პრემიერის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ეს სერიოზულ დარტყმას მიაყენებს საბანკო სექტორს, ყველაფერი ყირაზე დააყენა.

დაზარალებულთა ერთი ნაწილის ფონზე, რომლებიც გამოსახლების შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლის მოსპობითაც იმუქრებიან, კერძო გამსესხებლები საკუთარი უფლების დაცვასაც ითხოვენ, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ისინი კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში მოქმედებდნენ, ყველა ხელშეკრულება ნოტარიულად აქვთ დამოწმებული და პარლამენტში ინიცირებული პროექტით მათი უფლებები მთლიანად უგულებელყოფილია.

შეიძლება ითქვას, რომ სიტუაცია ჩიხშია, თუმცა პრობლემის გადაჭრის გზებს „პრაიმტაიმს“ უმხელენ.

**გთავაზობთ ინტერვიუს სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან, სოფიო ბეროშვილთან:**

– პრობლემა არის კომპლექსური. ერთი შეხედვით, სურათი ასეთია: ვიღაცამ ვალი აიღო და ვერ გადაიხადა. თუმცა, რეალურად, რა თქმა უნდა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. ჩვენი ორგანიზაცია არ ამბობს, რომ აღებული ვალი არ უნდა დაიფაროს, ანუ ჩვენ არ ვართ მხოლოდ ცალმხრივად უფლებადამცველი. თუმცა, ცალკეული პოლიტიკური პარტიები აკეთებენ განცხადებებს, რომ ამ ხალხმა ფული არ უნდა დააბრუნოს, რადგან მძიმე სოციალურ პირობებში იყვნენ 2008 წლიდან მოყოლებული. ვადასტურებ, რომ ეს პრობლემა უფრო აქტუალური და უფრო ფართომასშტაბიანი მართლაც სწორედ 2008 წლიდან გახდა. ამ დროიდან დაწყებული აღსრულების სტატისტიკა პიკზე ადის 2011-ში, 2012-ში შედარებით ნაკლებია. წელს კი შედარებით უფრო მსუბუქი მდგომარეობაა.

**– რა გახდა ამის მიზეზი?**

– „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სიტუაცია გაცილებით მწვავე იყო. მაშინ იპოთეკარები თავხედურად ყველაფერზე მიდიოდნენ, ოღონდაც ვინმეს საკუთრება დაეიპოთეკებინათ და შემდეგ ეს საკუთრება თვითონვე ჩაეგდოთ ხელში. ახლა ასეთი რამ ნამდვილად აღარ ხდება...

**– მოდი, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ. ვთქვათ, ვარ მოვალე, თქვენ – იპოთეკარი. მე დამჭირდა ფული, თქვენ მასესხეთ. ჩვენ ორივეს გვაქვს ჩვენი უფლება...**

– მაგრამ ხელშეკრულება უკვე ისეთია, რომ მე მაწყობს თქვენი გაჭედვა. ხელშეკრულების დარღვევით მე ვშოულობ უფრო მეტ თანხას, ვიდრე ხელშეკრულების შესრულებით. ასე იქცეოდა ბანკიც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაც და კერძო იპოთეკარიც.

**– მოდი, ამ უკანასკნელზე გავჩერდეთ. უმუშევრობის პირობებში ბევრისთვის ეს იყო შემოსავლის წყარო... მით უმეტეს, რომ ამის შესაძლებლობას კანონმდებლობაც იძლევა. რა უნდა ქნან მათ?**

– ამის საშუალება სახელმწიფომ იცით, რით მისცა მათ? იმით, რომ პროცენტი არის უკონტროლო, გადასახადებს 90 პროცენტი არ იხდის...

**– საშემოსავლოს გულისხმობთ?**

– დიახ და პლუს, ამას კერძო იპოთეკარებთან ყველაზე მთავარი პრობლემა და ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი არის შუამავალი, რომელიც არსად არ ფიქსირდება. მათ ზოგჯერ ვიზუალურადაც არ იცნობენ. ვთქვათ, სულაც არ ვარ მევახშე, გავაპროცენტე ფული, იმაზეც თანახმა ვარ, რომ როდესაც მოვალე კარგად მიხდის, ხელშეკრულება გავუგრძელო. მაგრამ ეს შუამავალი, ჩემთან შეუთანხმებლად, იმ ჩემს მოვალეს ჩემთვის აბრუნებინებს ამ თანხას იმ მიზნით, რომ სხვისგან აიღებინოს. რაც იწვევს მოვალის ვალის გაზრდას, პლუს 2 თვის პროცენტი უნდა გადაიხადოს წინასწარ და ა.შ. შუამავალი მოვალეს უზრდის ვალს, ძველ იპოთეკარს ფულს უბრუნებს და თვითონ, იმიტომ რომ ახალი ინფორმაცია მოიტანა, თანხის ათ პროცენტს იღებს. ასეთ შუამავლებს, როგორც წესი, ადამიანები მიჰყავთ ერთსა და იმავე ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე აღმასრულებელთან, ერთსა და იმავე არბიტრთან. იქმნება ერთი ჯაჭვი, რომელიც ერთად მუშაობს წლების განმავლობაში და სარგებლობენ იმით, რომ კანონი არის ცალმხრივი.

**– მაგრამ ეს კანონი არსებობს და ყველა ეს პერსონაჟი კანონის ფარგლებში მოქმედებს...**

– რა თქმა უნდა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2008 წლიდან მოხდა კანონის კიდევ უფრო გამარტივება. მსოფლიო კრიზისის დაწყების დროს ეს კანონი გაამარტივეს ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის, რომ ისინი არ ჩავარდნილიყვნენ მძიმე კრიზისში, რადგან ეს დიდ დარტყმას მიაყენებდა საქართველოს ეკონომიკას. ახლა კი ამ გამარტივებული კანონმდებლობით სარგებლობენ კერძო იპოთეკარებიც.

**– გამარტივებულ კანონმდებლობაში რას გულისხმობთ?**

– აღსრულებას არ აჩერებს ყადაღა. ანუ, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ კერძო საკუთრება არის სადავო და დაადებს ყადაღას, აღსრულებას ეს არ აჩერებს, ჩანიშნული აუქციონის გაუქმება შეუძლებელია, რადგან ირღვევა იმ ადამიანის ინტერესი, რომელმაც გამოხატა ინტერესი, რომ ეს სახლი და უძრავი ქონება შეიძინოს. სისხლის სამართლის საქმეც კი არ აჩერებს აღსრულებას და ადამიანებს მაინც ასახლებენ საკუთარი სახლებიდან. პლუს ამას სოციალურად დაუცველის ქონების დაყადაღებიდან რეალიზაციის უფლება აქვთ უკვე 2011 წლის იანვრიდან და რეალურად გამოდის, რომ, თუ ვალს არ გადავიხდი, კანონი ისეა მოწყობილი, თითქოს მე ვარ დამნაშავე.

**– და რეალურად ასე არ არის?**

– როცა ამ ვალს ვერ ვიხდი, ამ გამარტივებული კანონმდებლობის საფუძველზე შეიძლება გავხდე რომელიღაც თაღლითური დაჯგუფების მსხვერპლი. ასეთი დაჯგუფებები კი ბევრია – ვიღაცას სხვის ბინას ადებინებენ, მერე აღმოჩნდება, რომ ის ადამიანი, რომელსაც ვენდე და ჩემი ქონებით ჩავუდექი თავდებში, იმის მაგივრად, რომ მან თანხა გადაიხადოს, საერთოდ არ აღმოჩნდება საქართველოში და ეზარალდები მე. ასეთი შემთხვევებიც ძალიან ბევრია. ამას გარდა საპროცესო გარიგებებისთვის ძალიან ხშირად მიმართავდნენ ამ გზას. იყო ასეთი შემთხვევებიც.

**– რას გულისხმობთ, იქნებ უფრო დააკონკრეტოთ...**

– გეტყვით ერთ ისტორიას: ჩემთან მოსული იყო ადამიანი, რომელსაც შვილი ჰყავდა დაჭერილი. ამ ადამიანის სახელსა და გვარს მასთან შეუთანხმებლად, ბუნებრივია, ვერ დავასახელებ. ქალბატონმა მიამბო, რომ მასთან მოდულის შენობაში მიიყვანეს ნოტარიუსი, იქვე გააფორმებინეს საპროცესო შეთანხმება, იქვე დაატვირთვინეს იპოთეკით საკუთარი ბინა, დატოვა ფული, რომელიც თვალითაც არ უნახავს და გამოვიდა. გამოდის, რომ შვილის ფაქტორის მანიპულირებით ეს ქალი დღეს ქუჩაშია. ასეთი ფაქტი არაერთი ყოფილა, მაგრამ მათ გახმაურებას, ბუნებრივია, ერიდებოდნენ და ამიტომ პოლიცია მუშაობდა ერთი და იგივე ნოტარიუსთან. სხვა საეჭვო საქმეების ნოტარიულად გაფორმებამდეც ეს პირონება ფიგურირებს. უკვე დეკემბრის ბოლოდან ის აღარ არის ნოტარიუსი, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანის ბედი გადაწყვიტა მან.

**„2008 წლის შემდეგ მარტო ჩემთან რეგისტრირებულია 10 ათასზე მეტი ოჯახი, უბინაოდ დარჩენილი. აღსრულების რაოდენობა ერთ წელიწადში 171-ს აღწევს“**

**– ვერ დაასახელებთ?**

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს არის ნ. მ. ის ციხეშიც შეჰყავდათ პატიმრებთან, სადაც ბიზნესებს აფორმებინებდნენ. ეს ქალბატონი „ქართუ ბანკის“ საქმეშიც ფიგურირებს. აქედან დაიწყო ძიება ამ ნოტარიუსზე და ამას გარდა, ჩემთან მოსულ ადამიანებთან დადებული ხელშეკრულებების ავტორიც ეს ქალბატონია. ეს ხელშეკრულებები კი სერიოზული კანონდარღვევებით არის გაფორმებული.

**– რა კანონდარღვევებზე საუბრობთ?**

– ეს ადამიანები ყვებიან, რომ ხელშეკრულება გააფორმებინეს მოდულში ღამის სამ საათზე... როცა ჩემთან ასეთი ხელშეკრულება მოაქვთ, უკვე წინასწარ ვიცი, რომ მას ხელს ნ. მ. მოაწერდა. ამას გარდა, ასეთი ინფორმაციაც მაქვს: სანამ მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაციას დაიწყებდნენ, იქ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო რამდენიმე სახლი. დაიპოთეკება ისედაც ღირებულების მესამედი ოდენობის თანხად ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში კაპიკებში მოხდა ამ შენობების ხელში ჩაგდება, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეები ყოველთვიურ გადასახადს იხდიდნენ. ეჭვი გამიჩნდა, რომ იპოთეკარებისგან შემდგარი გარკვეული ჯგუფი წინასწარ ფლობდა ინფორმაციას, რომ უნდა დაწყებულიყო მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია და ძალიან მცირე ღირებულებად მოახერხეს დიდი ოდენობით უძრავი ქონების ხელში ჩაგდება.

**– თუ მესაკუთრეები იხდიდნენ, როგორ მოახერხეს ამის გაკეთება?**

– უბრალოდ, მოითხოვეს მთელი თანხა, ვინაიდან გავიდა ხელშეკრულების ვადა და აღარ გაუგრძელეს ხელშეკრულება. ანუ წინასწარ მიიღეს ინფორმაცია.

**– ე.ი. იპოთეკარების გარკვეული ჯგუფები მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურებთან და მათი კარნახით მოქმედებდნენ?**

– დიახ, ძალიან ბევრი იყო ასეთი...

**– ზოგიერთი ინფორმაციით, იპოთეკაში ტრიალებდა შსს-ს ფული...**

– მაქვს ინფორმაცია, რომ იპოთეკაში ტრიალებდა როგორც ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლების ფული, ასევე ტრიალებდა ზოგი მიკროსაფინანსოდან გასული თანხა, ბანკიდან გასული თანხა, ე.წ. ებრაელის ფული.

**– ეს რა არის?**

– იპოთეკარები ყვებიან, რომ არსებობდა ვიღაც ადამიანი, ებრაელი, რომელსაც მათთვის ჰქონდა მინდობილი თავისი ფული.

**– რით გამოირჩეოდა სხვა ფულისგან?**

– გულისხმობდა უფრო მაღალ პროცენტს და გაცილებით მკაცრ მოთხოვნებს.

**– კერძოდ...**

– საშინელი ხელშეკრულება იდებოდა, ერთი დღის გადაცილებაზე კოლოსალური ჯარიმები ირიცხებოდა... თავიდან სწორედ ამ ე.წ. ებრაელის ფულზე დაიწყო ისეთი ხელშეკრულების დადება, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ნოტარიუსს შეეძლო, გაეცა აღსრულების ფურცელი, შემდეგ ეს სტანდარტად იქცა, ახლა კი ამ სტანდარტით აღსრულებასა და აუქციონს თავი რომ აარიდონ, პირდაპირ ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდება, რომლის მიხედვითაც, თუ შენ შეთანხმებულ სამ თვეში თანხას არ დამიბრუნებ, ავტომატურად მივდივარ საჯარო რეესტრში და კერძო საკუთრება ჩემი ხდება. შემდეგ ახალი ამონაწერით მივდივარ პოლიციაში და მაშინვე გასახლებ.

**– ეს პრაქტიკა როდიდან დაიწყო და რატომ?**

– ადრე დაიწყო, მაგრამ უფრო მეტად სისტემატური სახე უკანასკნელ 7-8 თვეში მიიღო. ამას თავისი მიზეზიც აქვს, ვინაიდან ახალი ხელისუფლების პირობებში აღსრულების ბიურო უკვე ძალიან აქტიურად ცდილობს მხარეების შეთანხმებას. სარჯველაძე თვითონ იბარებს მხარეებს, თუ მათგან რომელიმეს აქვს გასაუბრების სურვილი იმისთვის, რომ შეთანხმდნენ კონკრეტულ დროზე, როგორღაც მოხერხდეს თანხის გადახდა და აღარ მოხდეს აღსრულება. ამიტომაც კერძო იპოთეკარები ხსენებული მეთოდით გვერდს უვლიან აუქციონს, აღსრულების ბიუროს უფრო ნაკლები სტატისტიკა აქვს, მაგრამ ეს მთლიანობაში სურათს მაინც არ ცვლის. საჯარო რეესტრიდან აღებული ბოლო ინფორმაციით, დღეს არის 132 ათას 865 მიმდინარე იპოთეკა უძრავ ქონებაზე. მე არ ვამბობ, რომ ყველა პრობლემური იპოთეკაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რამდენად კაბალური და ცალმხრივია დადებული ხელშეკრულებები, სადაც მსესხებლის უფლება საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანებს, ადრე თუ გვიან, დაუდგებათ პრობლემური იპოთეკის პრობლემა. საშუალოდ ამ ციფრს თუ გადავამრავლებთ ოჯახის წევრთა საშუალო ოდენობაზე, ვთქვათ, სამზე, წარმოვიდგენთ, რა რაოდენობის ადამიანებზე გვაქვს საუბარი. ამავდროულად იპოთეკარების რაოდენობა არის 161 ათასი, ანუ ვინც ფულს იძლევა. ალბათ, ხვდებით, რომ ეს ძალიან მძიმე პრობლემაა, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობას და პლუს ამას, კიდევ ძალიან ბევრ უბინაოდ დარჩენილს. ეს არ არის ის, 2002 წლის ინფორმაციას რომ აქვეყნებს თბილისის მერია, თითქოს 4000-მდე უბინაო გვყავს. 2008 წლის შემდეგ მარტო ჩემთან რეგისტრირებულია 10 ათასზე მეტი ოჯახი, უბინაოდ დარჩენილი. აღსრულების რაოდენობა ერთ წელიწადში 171-ს აღწევს. არ ვამტკიცებ, რომ აქედან ყველა არის სახლი, მაგრამ ნახევარი მაინც ხომ არის? ამ ინფორმაციას, რამდენია სულ უბინაოდ დარჩენილი, უნდა არეგულირებდეს რაიონული თვითმმართველობები, უნდა არეგისტრირებდნენ ამ ადამიანებს,


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოს ევროსაბჭოს დაატოვებინებს?!

# „საჯარო რეესტრიდან აღებული ბოლო ინფორმაციით, დღეს არის 132 ათას 865 მიმდინარე იპოთეკა უძრავ ქონებაზე“

მაგრამ ეს რიცხვი არ გვაქვს, რადგან 2005 წლიდან ვალდებულებაში გვაქვს აღებული ევროპული სოციალური ქარტია, რომელიც გულისხმობს საცხოვრისის უფლებას და რატიფიცირებულია პარლამენტის მიერ. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ რეალურად ანახვებდა რა რაოდენობის უბინაო იყო მარტო თბილისში, მაშინ ვალდებულებაც უნდა აეღო ამ ადამიანებისთვის სოციალური საცხოვრებლის აშენებაზე, ამ ქარტიის ფარგლებში. ეს სოციალური ქარტია ვალდებულებაში ამ მთავრობასაც ხომ რჩება? ამიტომ აუცილებლად დასადგენია კონკრეტული რიცხვი. სხვანაირად ვერ დავიწყებთ გამოსავალზე ფიქრს.

**– ეს ხელისუფლება მოვიდა დაპირებებით, რომ იპოთეკით დაზარალებულებს უშველიდა. გადაიფიქრა?**

– გედევან ფოფხაძის ინიციატივა არ იყო გამოსავალი. ამ ინიციატივით, უბრალოდ, აღსრულება ჩერდებოდა. 6 თვის მერე რა მოხდებოდა? ამ ადამიანებს ვალი ეზრდებათ, ეს გამოინვევდა იმას, რომ დაგროვდებოდა პროცენტი, ვადაგადაცილების ჯარიმა, კერძო იპოთეკარებთან – პროცენტის პროცენტი და რეალურად მათი ვალი გაიზრდებოდა, 6 თვის მერე კი ძალიან დიდი რაოდენობით და ინტენსივობით რომ დაიწყებდნენ მათ გამოსახლებას, შემდეგ რა უნდა გვექნა? რა გამოსავალს სთავაზობენ? ამ კანონპროექტში ეს არ იყო გათვალისწინებული. მე მქონდა მოლაპარაკებები გედევან ფოფხაძესთან, რომ ეს მორატორიუმი გაეერთიანებინა ჩემი ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ სოციალურ იპოთეკასთან, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგან სასწრაფოდ უნდოდათ ამ პრობლემის მიმართ ტკივილგამაყუჩებლის გამოყენება. მსოფლიოში ერთადერთი აპრობირებული მეთოდი ამ პრობლემის გადაჭრისთვის არის სოციალური იპოთეკა. მარტო ჩვენ ხომ არ გვაქვს ეს იპოთეკური კრიზისი? მთელმა მსოფლიომ გადაიტანა ის. სოციალურ იპოთეკაში აქტიურად ერთვება სახელმწიფო, ბანკები, მიკროსაფინანსოები და კერძო პირები, ვისაც დაგროვილი აქვს ამდენი უძრავი ქონება. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ საქართველოში ამდენი უბინაოს ფონზე ბინის მყიდველი ძალიან ცოტაა, ანუ უძრავი ქონების ბაზარი არის ძალიან ცუდ დღეში. ამიტომ, მათ შეუძლიათ, ძალიან აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში. მოხდება სახელმწიფო სუბსიდირება პროცენტზე, ან ბინის ღირებულებაზე. მანამდე, რა თქმა უნდა, უნდა დაიდოს ციფრები უბინაოების რაოდენობაზე, ბიუჯეტში განისაზღვროს, წლიურად რა რაოდენობით შეძლებენ სუბსიდირებას. სოციალური იპოთეკა კომერციულისგან იმით განსხვავდება, რომ არის დაბალპროცენტიანი და პროცენტში სხვაობას ფარავს ბიუჯეტი. თუ კერძო იპოთეკა თვეში ოთხი პროცენტია, სოციალური იპოთეკა გულისხმობს წელიწადში მაქსიმუმ 8 პროცენტს. ეს ვალი გადადის კომერციულ ბანკში, რომელსაც აქვს წლიური, ვთქვათ, 14 პროცენტი და ამ 6-პროცენტიან სხვაობას ფარავს სახელმწიფო.

**– პრაქტიკულად, ადამიანი კერძო იპოთეკარიდან გადადის ბანკში დაბალ პროცენტში?**

– დიახ, მაგრამ მისი ყოველთვიური გადასახდელი არ უნდა აღემატებოდეს მის ყოველთვიურ ქირის გადასახდელს, ანუ ჰაერში კი არ იყრება ფული, არამედ იგივე თანხის გადახდის ფასად ადამიანს საშუალება ეძლევა, 10 და 20 წელიწადში გამოისყიდოს საკუთარი ბინა. ერთი მხარე ყიდის სახლს, მეორე მხარე იძლევა კრედიტს, მესამე მხარე ყიდულობს. ამ შემთხვევაში ყველა რჩება კმაყოფილი და თანაც სახელმწიფოს ესხნება ვალდებულება ამ ადამიანებისთვის სოციალური საცხოვრებლის აშენების, რასაც მას სოციალური ქარტია აკისრებს. ამ სქემით შეეძლება ისარგებლოს იმ ადამიანმაც, რომელმაც იპოთეკაში მანამდე დაკარგა სახლი. მასაც შეუძლია ისარგებლოს სოციალური იპოთეკით და ამ გზით დაიბრუნოს თავისი სახლი.

**– მაგრამ აქ უკვე სხვა კერძო მესაკუთრის უფლება არ უნდა დავივიწყოთ, რომელიც ოფიციალურად გახდა იმ უძრავი ქონების მესაკუთრე...**

– რა თქმა უნდა, ამიტომ უნდა მოხდეს ყველაფრის დათვლა, რისი საშუალება აქვს სახელმწიფოს და ამ პრობლემის მოგვარება უნდა გადანაწილდეს რამდენიმე წელზე. ამის პარალელურად უნდა მომზადდეს ახალი კანონპროექტი, რომელშიც შემდგომში მოვალის უფლებებიც იქნება გათვალისწინებული მსგავსი იპოთეკის ხელშეკრულებების დადების დროს. მაგრამ ეს სქემა იმისთვის არის ხსნა, ვისაც ახლა აქვს ეს პრობლემა, თანაც ისე, რომ არ ზარალდება არც ერთი მხარე. ეს ის დანის პირია, რომელზეც უნდა გაიაროს სახელმწიფომ. ამ გზით სახელმწიფოს ესხნება ვალდებულება, უბინაოთა დიდ ნაწილს აუშენოს სოციალური საცხოვრებელი, რასაც მას ქარტია ავალდებულებს. 132000 ოჯახის კისერზე აკიდება სახელმწიფოს აღარ მოუწევს, რადგან მათ მისცემს საშუალებას მცირედი დახმარებით, რომ საკუთარი სახლების გამოსყიდვის შესაძლებლობა მიეცეთ.

**– მაგრამ ეს ბიუჯეტისთვის ძალიან სერიოზული დარტყმა იქნება...**

– ამიტომაც ვამბობ, რომ ერთ წელიწადში 132 ათას ადამიანს ვერ უშველი. ეს უნდა გადანაწილდეს რამდენიმე წელიწადზე. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ დღეს არ არსებობს სხვა გამოსავალი, ყრუ კედელია. ამ ინიციატივით არსებობს შესაძლებლობა, რომ პატარა, მაგრამ მაინც კარი გაიჭრას.

**– შერჩევა როგორ უნდა მოხდეს, ვის დაეხმარონ პირველად...**

– რა თქმა უნდა, ესეც პრობლემაა, მაგრამ ეს ის დეტალია, რომლის შემდგომ დამუშავებაც შეიძლება. მთავარია, ამ პრობლემის მოგვარება დაიძრას.

**– ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირება ასე გაიგო ხალხმა – ბანკებს მოეხდინა ვალის რესტრუქტურიზაცია...**

– დღევანდელ დღემდე რესტრუქტურიზაცია არ გულისხმობდა სიტუაციის გამარტივებას, რეალურად ამის ფარგლებში ვალის ძირი იზრდება, რადგან ძირს ემატება პროცენტი, ჯარიმები და ის ხდება ძირი.

**– ამაზეც თანახმაა დაზარალებულთა ერთი ნაწილი...**

– თანახმაა, რადგან ამით ფიქრობენ, რომ გამოსახლებას გადაავადებენ. მაგრამ ფაქტია, რომ, თუ ვერ ვიხდი ნაკლებ თანხას, ბუნებრივია, გაზრდილსაც ვერ გადავიხდი, ხო? ბანკებზე დარტყმა არ უნდა მოხდეს. ძალიან ცუდ შედეგს მოგვიტანს ბანკების კრიზისში ჩაგდება. ბევრად უფრო სერიოზულ პრობლემას შექმნის ქვეყნისთვის. ამიტომ აუცილებლად უნდა ჩაერთოს რაღაც ფორმით სახელმწიფო. არც ერთი მხარე არ უნდა დაზარალდეს. სწორედ ამას გულისხმობს სოციალური იპოთეკა.

**– იმ ხალხს რა ეშველება, რომლებსაც ბანკმა უკვე წაართვა ბინა?**

– ბანკს ამდენი უძრავი ქონება არაფერში სჭირდება. ადამიანს, რომელსაც აქვს იმის საშუალება, რომ გადაიხადოს რაღაც ქირა, უნდა შეირჩეს პირობა, რომ ამ თანხის გადახდის პირობებში გამოისყიდოს საკუთარი სახლი, ან შეძლოს სხვისი შეძენა. მაგრამ იმ ადამიანს, რომელიც ავტოფარეხში ცხოვრობს და არაფრის გადახდის საშუალება არ აქვს, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ვალდებულება და აუშენოს სოციალური საცხოვრებელი. ფაქტობრივად, სახელმწიფოს აწყობს ეს სოციალური იპოთეკა, რადგან მისი ხარჯი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ასი ათასობით სოციალური საცხოვრებლის მშენებლობა, თანაც განუსაზღვრელ ვადაში.

**– თუ არ შეასრულებს ამ ვალდებულებას?**

– ძალიან ცუდი გამოხმაურება აქვს ამას საერთაშორისო დონეზე, ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენს იმიჯზე და შეიძლება სერიოზული დარტყმის ქვეშ დავდგეთ.

**– მაგალითად?**

– იპოთეკური კრიზისის გამო მოგვიწევს, დავივიწყოთ ასპირაციები ევროკავშირისა და ნატოს მიმართ და რაც მთავარია, არ არის გამორიცხული, რომ ევროსაბჭოს დატოვების საფრთხეც დაგვიდგეს, რომლის წევრიც უკვე ვართ. საცხოვრისის უფლება ადამიანის სოციალური უფლებაა, რაც მთელ მსოფლიოში ძალიან მაღალ დონეზე დგას.

**სოფიო ბერიშვილი: „გარკვეული ჯგუფი წინასწარ ფლობდა ინფორმაციას, რომ უნდა დაწყებულიყო მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია და ძალიან მცირე ღირებულებად მოახერხეს დიდი ოდენობით უძრავი ქონების ხელში ჩაგდება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.

## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქართველმა პოლიციელებმა ოლიმპიადაზე 12 ოქროს მედალი მოიპოვეს

EXCLUSIVE

ქართველმა პოლიციელმა სპორტსმენებმა მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე 12 ოქროს მედალი მოიპოვეს. ოლიმპიადა ორ წელიწადში ერთხელ, იმართება და წელს ირლანდიაში, ქალაქ ბელფასტში გაიმართა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ოლიპმიადას წელს პირველად შეუერთდა და 16 მონაწილით იყო წარმოდგენილი. ქართველმა ძალოვნებმა ოლიმპიადაზე წარმატებას მიაღწიეს, გამარჯვება კი სამშობლოს და ომში დაღუპულ ქართველ გმირებს მიუძღვნეს. მთლიანობაში 12 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო ქართველმა პოლიციელებმა სპორტის სხვადასხვა სახეობებში აიღეს. ოლიმპიადის პირველ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, გიორგი ბერძენიშვილმა ცურვის ერთ-ერთ სახეობა „კროლში“ იასპარეზა და 400-მეტრიანი დისტანცია წარმატებით დაძლია, მეორე ადგილზე გავიდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ გიორგი ბერძენიშვილი გამარჯვებისთვის ოლიმპიური ჩემპიონის წინააღმდეგ იბრძოდა. გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთი ქართველი პოლიციელი მოკრივე ედუარდ იმერლიშვილია, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის პირადი დაცვის წევრია. იგი ფინალურ შეხვედრაში გასული წლის მსოფლიო ჩემპიონ ფრანგ სპორტსმენს შეხვდა. დაძაბული ორთაბრძოლა ქართველმა მოკრივემ გამარჯვებით დაასრულა და ოქროს მედალიც დაიმსახურა. მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე ქართველმა პოლიციელმა-ძიუდოისტებმა 2 წონით კატეგორიაში იბრძოლეს და 1 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. +100 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ზვიად ჩინჩალაძე გახდა, რომელიც ფინალში ყაზახ სპორტსმენს შეხვდა. დაძაბულ ორთაბრძოლაში ქართველმა სპორტსმენმა შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება და პირველი ოქროს მედალიც მოპოვა. იმავე დღეს ქართველმა სპორტსმენმა უშანგი კუზანაშვილმა კი ვერცხლის მედალი 66 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა. იგი ფინალში შვეიცარიელ ძიუდოისტს შეხვდა და მეორე ადგილზე გავიდა. ქართველმა პოლიციელმა-ძიუდოისტებმა დაძაბული შეხვედრები გამართეს. 81 კგ წონით კატეგორიაში ნოდარ მჭედლიშვილმა იასპარეზა, ფინალური ორთაბრძოლა რუმინელ ძიუდოისტთან წარმატებით დაასრულა და პირველ ადგილზე გავიდა. 90 კგ წონით კატეგორიაში კი ზაზა გულაშვილი ფინალში რუს ძიუდოისტს შეხვდა, რომელიც ქართველის გამარჯვებით დასრულდა და ოქროს მედალიც მოიპოვა... ხოლო რაც შეეხება 100 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე გიორგი ბოლოთაშვილს, მან ფინალში გერმანელი სპორტსმენის დამარცხება შეძლო და ოქროს მედალიც დაისაკუთრა. თავისუფალი სტილით მოჭიდავე იოსებ ხუციშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა. მან 75 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზა, ფინალურ ორთაბრძოლაში პერუელ მოჭიდავეს სძლია და პირველი ადგილი დაიკავა. ძალოსანმა ვასილ მინდორაშვილმა 100 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი, ხოლო ავთო მამალაძემ 110 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველმა მკლავჭიდელებმა 6 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 102 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე თენგიზ ედილაშვილი - მარჯვენა და მარცხენა ხელით გამართულ შეჯიბრში გამოვიდა და 2 ოქროს მედალი დაისაკუთრა. ვლადიმერ კობახიძემ 80 კგ წონით კატეგორიაში ასევე ორივე ხელით იასპარეზა და 2 ოქროს მედალი მოიპოვა. მძიმე წონით კატეგორიაში ლევან საგინაშვილმაც ასევე ორი ხელით იბრძოლა და მანაც 2 ოქროს მედალი აიღო. 100 კგ წონით კატეგორიაში კი გელა გელაშვილმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ირლანდიაში მიმდინარე ოლიმპიადაში გამარჯვებული ქართველი ძალოვნები სამშობლოში 12 აგვისტოს დაბრუნდებიან.

ედუარდ იმერლიშვილი

**ედუარდ იმერლიშვილი:** „დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ირლანდიაში ქალაქ ბელფასტში. პირადად მე კრივში ვიღებდი მონაწილეობას და პირველი ადგილი მოვიპოვე. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პირადად მინისტრს, რომ მოგვცა საშუალება ამ ჩემპიონატში მიგვეღო მონაწილეობა. ამ გამარჯვებას კი ვუძღვნი ჩემს სამშობლოს და ქართველ ხალხს“.

**ლევან საგინაშვილი:** „მოხარული ვარ ამ გამარჯვებისთვის და მინდა ეს გამარჯვება მივუძღვნა ომში დაღუპილი ქართველი ბიჭების ხსოვნას. მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელობას, რომ მოგვცა მონაწილეობის საშუალება, ჩემს ოჯახს და ჩემს მეგობრებს, რომლებიც გვერდში მედგნენ და სჯეროდათ ჩემი გამარჯვების“.

**თენგიზ ედილაშვილი:** „მოხარული ვარ, რომ ამ ოლიმპიადაში ვმონაწილეობდი და ავიღე ორი ოქროს მედალი, (მარჯვენა-მარცხენა ხელით). დიდი მადლობა ჩვენს ხელმძღვანელობას, რომელმაც მოგვცა იმის საშუალება, რომ ჩვენი გამარჯვება მივუძღვნათ ჩვენს ქვეყანას და ქართველ ხალხს“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ღუდუშაურის სკანდა

# EXCLUSIVE

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**19 წლის გიორგი სამხარაძის დედას კითხვები, ღუდუშაურის კლინიკის გარდა, პროკურატურასთანაც აქვს. მკურნალობის პროცესში საავადმყოფოს მეხუთე სართულიდან გადმომხტარი გიორგი სამხარაძის დედა და დეიდა ითხოვენ, სისხლის სამართლის საქმე სხვა მუხლით გადაკვალიფიცირდეს.**

16 ივლისს ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში, „ბაკლოსანის“ აბების მიღების შედეგად, 19 წლის მოზარდი უგონო მდგომარეობაში შეიყვანეს. „ბაკლოსანი“ ერთ-ერთი იმ წამალთაგანია, რომელიც ოფიციალურად ნარკოტიკულ პრეპარატად არ ითვლება, თუმცა მოზარდებში ის სწორედ ამ მიზნით გამოიყენება. ეროვნული გამოცდების ჩაბარება გიორგი სამხარაძემ და მისმა მეგობრებმა, ადვოკატის თქმით, „გართობით“ აღნიშნეს და სწორედ იმ საღამოს მიიღეს „ბაკლოსანი“. ოჯახის ადვოკატის განცხადებით, გიორგი საავადმყოფოში ძმაკაცებმა მიიყვანეს.

**ანა ჟღენტი, ადვოკატი:**

– რა თქმა უნდა, არანაირი მცდელობა არ იყო თვითმკვლელობის. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გიორგიმ პრეპარატი დალია. როგორც ჩანს, ეს გართობის მიზნით გააკეთა. ეს ბავშვი ალკოჰოლსაც კი არ სვამდა. სამწუხაროდ, „ბაკლოსანს“ ახასიათებს მსგავსი სიმპტომები, ის მეგობრებმა უგონო მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც არაადეკვატურ მოძრაობებს აკეთებდა, ხტებოდა, ყვიროდა... ეს ახასიათებს წამალს.

გიორგი მძიმე მდგომარეობაში ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა. მას თავიდანვე აღენიშნებოდა პრეპარატისთვის დამახასიათებელი აღგზნებადობა და აგრესიულობა. სწორედ ამიტომ პირველი ორი დღის განმავლობაში, მთავარი ექიმის გადაწყვეტილებით, პაციენტი ლოგინზე მიბმული ჰყავდათ. მკურნალობის მესამე დღეს გიორგი ინტენსიურიდან პალატაში გადაიყვანეს და ოჯახის წევრებს შეატყობინეს, რომ საავადმყოფოს დატოვების უფლებას იმავე საღამოს მისცემდნენ. გიორგი აბსოლუტურად ადეკვატური მხოლოდ რამდენიმე საათის განმავლობაში იყო, თუმცა მდგომარეობა იმავე საღამოს დამძიმდა და გაურკვეველ ვითარებაში პაციენტი რეანიმაციული განყოფილების აივნიდან გადახტა. კითხვა, ბუნებრივია, ბევრია. გიორგი სამხარაძის დეიდის განცხადებით, ექიმები ერთი დღის განმავლობაში უმალავდნენ დისშვილის გარდაცვალების ფაქტს და ეს ამბავი ოჯახის წევრებმა საავადმყოფოში მყოფი გამომძიებლებისგან გაიგეს. ექიმების განცხადებით, გიორგის გადმოხტომის მომენტში რეანიმაციაში ექთანი იმყოფებოდა, თუმცა ისინი ექთნის არც სახელს აკონკრეტებენ და არც გვარს. ოჯახს ეჭვი აქვს, რომ გიორგი უყურადღებოდ იყო მიტოვებული და რაც მთავარია, მდგომარეობის დამძიმების შემდეგ ის ლოგინზე აღარავის მიუბამს. ექიმის განცხადებით, ის იმედოვნებდა, რომ სიმპტომები აღარ გაუმეორდებოდა.

**მაკა სამხარაძე, გიორგი სამხარაძის დეიდა:**

– გარდაცვალების დღემდე ცოტა ხნით ყოველდღე მიშვებდნენ რეანიმაციაში და საშუალებას მაძლევდნენ, ბავშვი მენახა. როცა მეორედ დამძიმდა, აღარ მიშვებდნენ და ვიხვეწებოდი, ბავშვი ორი წუთით მაჩვენეთ, რომ დავრწმუნდე, ცოცხალია თუ არა-მეთქი. ექიმები არ მენახვებოდნენ, არ მელაპარაკებოდნენ. ბოლოს ვიჩხუბე და მთავარი ექიმი, ნიკა ქარცივაძე იძულებული გახდა, ჩამოსულიყო და ეთქვა, მდგომარეობა არასტაბილურია, გადმოხტომის შემდეგ ჩაუტარდა ოპერაციები და სისხლჩაქცევები აქვსო. ამის შემდეგ, გვიან ღამით, მთავარი ექიმი ისე წავიდა, რომ აღარ მინახავს.

**– ფიქრობთ, რომ გიორგი უკვე გარდაცვლილი იყო?**

– ჩემი აზრით, ბავშვი 19 ივლისს დაიღუპა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვითხრეს. გიორგის გარდაცვალება 20-ში გავიგეთ, ისიც გამომძიებლებისგან და თანაც ვაიძულეთ, რომ ეთქვა. პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც იქ მუშაობდნენ, გიორგის გადმოხტომის საქმეზე დავემუქრეთ, სხვა ჯგუფს გამოვიძახებთ, თუ თქვენ არ გვეტყვით სიმართლეს-თქო და მხოლოდ ამის შემდეგ გვითხრეს, რომ დაღუპული იყო. ეჭვი მაქვს, რომ იმ მომენტში გიორგი ოთახში მარტო იყო, თვითონ კი ამბობენ, მასთან ექთანი იყოო, მაგრამ ექთნის არც სახელს გვეუბნებიან და არც გვარს.

**– თუ დაინტერესდით, რატომ არ მოხდა გიორგის მიმაგრება ლოგინზე მდგომარეობის დამძიმების შემდეგ?**

– ზუსტად ეგ კითხვა დავუსვი ექიმს და მითხრა, მეორედ იგივე სიმპტომები არ უნდა ჰქონოდაო. ისიც არ ვიცით ზუსტად, რა დროს დაიღუპა გიორგი, არაფერი არ ვიცით. უბრალოდ, მე 19-ში, საღამოს რომ მივედი, საავადმყოფოში ისეთი თვალებით მიყურებდნენ თანამშრომლები, რომ მივხვდი, გიორგი ცოცხალი აღარ იყო, ვიკითხე კიდეც, ვინმე დაიღუპა-მეთქი? მითხრეს, არავინ არ დაღუპულაო. როცა მე ეს ვიკითხე, სწორედ ამ დროს კრიმინალისტებმა იკითხეს, შემთხვევა რომელ სართულზე მოხდაო. უთხრეს, მეხუთე სართულზე აბრძანდითო. გიოც მეხუთე სართულზე იწვა და კიდევ ვიკითხე გამეორებით, ვინმე ხომ არ დაიღუპა-მეთქი. ისევ დამიმალეს. მთავარ ექიმსაც ვკითხე, ბავშვი ცოცხალია თუ მომიკვდა-მეთქი და მანაც დამიმალა სიმართლე.

გიორგი სამხარაძე

## მანანა სამხარაძე:

# „საავადმყოფოს თანამშრომლები მეუბნებოდნენ, გადმოხტომამდე ხუთი წუთით ადრე ვნახეთ და კარგად იყოო. მაინტერესებს, რა მოხდა ამ ხუთ წუთში?“

გიორგის დედა, მანანა სამხარაძე დარწმუნებულია, რომ მისი შვილი ექიმების უყურადღებობას შეეწირა. შესაბამისად, ის ადვოკატის მოსაზრებას იზიარებს და მიიჩნევს, რომ გამოძიება არასწორად მიმდინარეობს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, ანუ თვითმკვლელობამდე მიყვანით. თუმცა არც ოჯახი და არც მათი ადვოკატი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. ადვოკატის, ანა ჟღენტის განცხადებით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 220-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულით უნდა აღძრულიყო – „...სპეციალური უფლებამოსილების პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება, მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი“... დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან ხუთ წლამდე.

**ანა ჟღენტი, ადვოკატი:**

– სისხლის სამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე აღძრულია თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, რაც არის აბსოლუტურად აბსურდული, რადგან პიროვნება ფსიქომოტორული აღგზნების შედეგად გადახტა კლინიკის მეხუთე სართულიდან. არანაირად არ ადასტურებს ფაქტს, რომ ის ვიღაცამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე. ეს მუხლი მიესადაგება ისეთ სიტუაციას, როცა თვითმკვლელობამდე არის დაშინების, მუქარის ან შანტაჟის წინაპირობა. პაციენტს თავიდანვე აღენიშნებოდა მიდრეკილება აგრესიისკენ, წამოხტომისკენ. პირველი სამი დღის განმავლობაში დაბმულიც კი იყო. მოგვიანებით ის გამოვიდა მდგომარეობიდან, თუმცა არანაირი მოლოდინი არ იყო, რომ ის უკვე საბოლოოდ იყო გამოჯანმრთელებული. ექიმებმა დეიდას



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლის ახალი დეტალები

ისიც კი უთხრეს, ნაკლი დარჩებაო. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ პალატაში გადაიყვანეს, თუმცა მალევე დამძიმდა და პალატაში გადმოყვანილი ისევ ინტენსიურში დააბრუნეს. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგივე სიმპტომები, ანუ აგრესიულობა და გაღიზიანება, სავარაუდოდ, ისევ გაუმეორდებოდა. ამას კი უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები სჭირდებოდა.

**– ანუ ისევ უნდა დაებათ?**

– აუცილებლად, რადგან მას ერთხელ უკვე ჰქონდა მიდრეკილება. უსაფრთხოების ზომები აბსოლუტურად არ იყო დაცული. ამბობენ, რომ ოთახში, საიდანაც გიორგი გადახტა, ექთანი იმყოფებოდა, თუმცა მე ამაში ეჭვი მეპარება. ასე რომ ყოფილიყო, ექთანი აუცილებლად გაიგებდა და დაინახავდა, როგორ ადგა გიორგი ლოგინიდან, როგორ მოიწყვიტა წვეთოვანი, ხმაურიც იქნებოდა. ჩემი ვარაუდით, ექთანი საერთოდ არ იყო ოთახში, ან იმ მომენტში შევიდა, როცა გიორგი უკვე გადამხტარი იყო და მისი კივილიც სწორედ ამან გამოიწვია.

**– რა მუხლით უნდა აღძრულიყო საქმე?**

– ექიმის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილობა. ექიმმა პირდაპირ განაცხადა, რომ, წესით, სიმპტომები არ უნდა გამეორებოდა. ექიმს, უბრალოდ, იმედი ჰქონდა, რომ პაციენტს შეტევა არ გაუმეორდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ინტენსიურში გადაიყვანეს. ეს არის არაპროფესიონალიზმი, უყურადღებობა, ამიტომ მინდა, მუხლი დავაკონკრეტო.

**– კონკრეტულად, მორიგე ექიმის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს?**

– რა თქმა უნდა, უნდა დადგეს მორიგე ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი, ნაწილობრივ ექთანიც პასუხისმგებელი, მაგრამ მას მითითება ექიმისგან უნდა მიეღო.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ დაკვალიფიცირდა ამ მუხლით?**

– ვფიქრობ, პროკურატურამ, ამ შემთხვევაში, ექიმის მხარე დაიჭირა და ჩათვალა, რომ აბსურდის ჩაწერა შეიძლებოდა.

**– რით ასაბუთებდნენ, რომ ეს მუხლი სწორი იყო?**

– ვერაფრით ვერ დაასაბუთეს და ეს კითხვა რომ დავსვი, გამომძიებელი შემომიტრიალდა და მკითხა, აბა, რა მუხლით უნდა დამეწყო გამოძიებაო... მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ საავადმყოფოში ვიდეოთვალი არ აყენია. ვფიქრობ, ესეც მიზანმიმართული საქციელია, ასევე, არ აქვს ფანჯრებს დამცავი რკინები. როგორც ვიცი, ღუდუშაურის კლინიკიდან რამდენიმე წლის წინათ კიდევ ერთი გადმოხტომის ფაქტი დაფიქსირდა.

**– გაქვთ იმედი, რომ მუხლი შეიცვლება?**

## მაკა სამხარაძე: „19-ში, საღამოს რომ მივედი საავადმყოფოში, თანამშრომლები ისეთი თვალებით მიყურებდნენ, რომ მივხვდი, გიორგი ცოცხალი აღარ იყო“

– არ მაქვს ამის იმედი, რადგან გამომძიებელთან გასაუბრებისას აბსოლუტურად ტენდენციურად მელაპარაკა და პირდაპირ განმიცხადა, რომ დასასჯელი ექიმი კი არ არის, არამედ თვითონ პაციენტი და ის ადამიანია, ვინც ეს აბები მისცა. წინდაწინ ვარაუდი არ მინდა, თუმცა, სავარაუდოდ, 99%-ით ექიმი დაცულია, ამ შემთხვევაში, გამოძიების მხრიდან. ალბათ, შეწყდება სისხლის სამართლებრივი დევნა, იტყვიან, რომ იქ ექთანი იყო და ექთანმა პაციენტი ვერ შეაკავა. მე გამომძიებელს შევთავაზე იმავე ოთახში ექსპერიმენტის ჩატარება, რამდენად მოასწრებდა იქვე მყოფი ექთანი გიორგის ადგომაზე რეაგირებას, თუმცა ექსპერიმენტზე უარი განმიცხადა. ყველაზე სამწუხარო გამომძიებლის მხარის პოზიციაა. სწორად რომ წარმართულიყო გამოძიება, ექიმს ლიცენზიასაც ჩამოართმევდნენ, მუშაობაც აეკრძალებოდა და შეიძლება საპატიმრო სანქციაც განხორციელებულიყო მის მიმართ, რადგან მათ არასწორ ქმედებას სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა.

ოჯახის წევრების განცხადებით, გიორგის გარდაცვალების შემდეგ საავადმყოფო გარდაცვალების ცნობის გაცემისგანაც თავს იკავებდა. ადვოკატის განცხადებით, ექიმები თითოეული დეტალის ჩაწერას ფრთხილობდნენ და ცნობის დაგვიანებაც სწორედ ამ მიზეზით მოხდა. ცნობა ოჯახს გიორგის დასაკრძალად სჭირდებოდა, ისინი იძულებულები გახდნენ, საჩივარი ჯანდაცვის სამინისტროში შეეტანათ.

**მანანა სამხარაძე, გიორგი სამხარაძის დედა:**

– უკვე შემდეგ, როცა ყველაფერი გაირკვა, ბავშვის დაღუპვის ცნობას არ გვაძლევდნენ სამი დღის განმავლობაში, რომელიც დასაკრძალად გვჭირდებოდა. ბოლოს ჯანდაცვაში შევიტანეთ საჩივარი და მხოლოდ ამის შემდეგ, 23 ივლისს, ინებეს და მოგვცეს.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობა 23-ია გაცემული, დოკუმენტზე გაცემის თარიღად მაინც 20 ივლისი ფიქსირდება. თუმცა არსებობს ჯანდაცვის სამინისტროში შეტანილი საჩივარი, რომელიც ოჯახმა 22 ივლისს შეიტანა.

ეს არ არის ბოლო დეტალი, რომელიც კითხვებს აჩენს. გიორგის გარდაცვალების შემდეგ მთავარი ექიმი, ნიკოლოზ ქარცივაძე ირწმუნებოდა, რომ პაციენტის დაღუპვის შესახებ მან ბიძას შეატყობინა. თუმცა გიორგის ბიძა უკვე წლებია, გლდანის ციხეში იხდის სასჯელს. შესაბამისად, ექიმი ვერანაირად ვერ მოახერხებდა გიორგის ბიძის არათუ ნახვას, არამედ საუბარსაც კი...

**მანანა სამხარაძე, დედა:**

– რა მოხდა, პასუხი ხომ უნდა გამცეს ვინმემ? მაინტერესებს, ბავშვს, რომელიც უკვე პალატაში იყო გადაყვანილი და თავს უკეთ გრძნობდა, მერე რა მოუვიდა? ან თუ მართლა დამძიმდა, რატომ არ შეგვატყობინეს? ისიც კი არ შეგვატყობინეს, რომ მეხუთე სართულიდან გადმოხტა. არაფერი არ აუხსნიათ. 19-ში ექიმმა მითხრა, მოიტანეთ ბავშვის ტანსაცმელი, უკეთ არის და დღეს გავუშვებთ სახლშიო. ამ დღეს მართლაც უკეთესად იყო, საჭმელიც ჭამა თავისი ხელით, აბსოლუტურად ადეკვატური იყო, საუბრობდა, საავადმყოფოს თანამშრომლები გაიცნო. საავადმყოფოს თანამშრომლები მეუბნებოდნენ, გადმოხტომამდე ხუთი წუთით ადრე ვნახეთ და კარგად იყოო. მაინტერესებს, რა მოხდა ამ ხუთ წუთში?

გიორგი სამხარაძის საქმე ძიების პროცესშია. გამოძიების მხარე მანამდე კომენტარებისგან თავს იკავებს. შესაბამისად, არსებულ კითხვებს პასუხები ჯერჯერობით ვერ გაეცემა, თუმცა გამოძიების დასრულების შემდეგ ოჯახი იმედოვნებს, რომ ყველა დეტალი გაირკვევა და საჭიროების შემთხვევაში დამნაშავეც აუცილებლად დაისჯება.

**P.S. „პრაიმტაიმი“ დაუკავშირდა ღუდუშაურის კლინიკას, სამწუხაროდ, არც მთავარ ექიმთან და არც გიორგი სამხარაძის მკურნალ ექიმთან არ დაგვაკავშირეს. გვითხრეს, რომ, თუ ექიმები ჩათვლიდნენ საჭიროდ კომენტარის გაკეთებას, თავად დაგვიკავშირდებოდნენ.**

**ღუდუშაურის კლინიკის თანამშრომელი:**

**– დატოვეთ თქვენი პირადი ნომერი და თუ საჭიროდ ჩათვლის ჩვენი უფროსი დაკავშირებას, თავად დაგიკავშირდებათ. მე ახლა თქვენთან სალაპარაკოდ არ მცალია.**



საქართველო
გარდაცვალების მოწმობა
N 01137024646

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | სახელი: გიორგი | | | |
| 2 | გვარი: სამხარაძე | | | |
| 3 | მოქალაქეობა: საქართველო | 4 | პირადი ნომერი: 54001061461 | |
| 5 | დაბადების თარიღი: 28 მაისი 1994 წელი | | | |
| 6 | გარდაცვალების თარიღი: 20 ივლისი 2013 წელი | | | |
| 7 | გარდაცვალების ადგილი: საქართველო, თბილისი | | | |
| 8 | გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი: 21 ივლისი 2013 წელი | 9 | აქტის ჩანაწერი: N 01137009800 | |
| 10 | მოწმობის გაცემის თარიღი: 23 ივლისი 2013 წელი | | | |
| 11 | მოწმობის გამცემი ორგანო: სსგს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახური | | | |

www.psda.gov.ge

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა



14. ჩატარებული მკურნალობა: , ანტიბიოტიკო თერაპია, ინფუზიური ტრანსფუზიური,ფხვ. თერაპია, გასტროპროტექცია, ელექტროლიტური ცვლის კორექცია, ვაზოინოტროპული მხარდაჭერა,სედაცია ანალგეზია,სიმპტომური მკურნალობალაპარატომია (JASH00), ჰეპატორაფია (JJSA50) კუჭკოლინჯის და ჯორჯლის დაზიანებულ სისხლძარღვთა ლიგირებია, ღვიძლის და ზანივი კოლინჯის ჯორჯლის მჭიდრო ტამპონადა, მუცლის ღრუს რევიზია,სანაცია,დრენირება (JASK00), ლაპაროსტომის ფორმირება.მარჯვენა პლევრის ღრუს დრენირება.

15. მდგომარეობა სტაციონარში გაგზავნისას:

16. მდგომარეობა სტაციონარიდან გაწერისას: მოკვდა

17. სამკურნალო და შრომითი რეკომენდაციები

18. მკურნალი ექიმი (ექიმი-სპეციალისტი) /ი.კიკნაძე/

19. დაწესებულების ხელმძღვანელის/ხელმძღვანელის მოადგილის/მკურნალი ექიმის (ექიმი-სპეციალისტის) ხელმოწერა

20. ცნობის გაცემის თარიღი "20.07.2013"

ბეჭდის ადგილი

### ანა ქლენტი: „სწორად რომ წარმართულიყო გამოძიება, ექიმს ლიცენზიასაც ჩამოართმევდნენ, მუშაობაც აეკრძალებოდა და შეიძლება საპატიმრო სანქციაც განხორციელებულიყო მის მიმართ, რადგან მათ არასწორ ქმედებას სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სუბარის გუნდი ციხის ხუთ

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**ორგანიზაცია „ახალგაზრდები სამართლიანობისთვის“ მიერ 2012 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით გამოკითხულ მსჯავრდებულთა 73% ჯანმრთელობის პრობლემებს უჩივის. „სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში პატიმარს ოპერაცია სჭირდება“, „პატიმარმა თავი დაიზიანა“, „თვითმკვლელობა სცადა“, „პატიმრები ფსიქოტროპულ მედიკამენტებს ითხოვენ“, „რა გახდა მსჯავრდებულის გარდაცვალების მიზეზი“? „გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი დამოუკიდებელ ექსპერტიზას მოითხოვს“ - ასეთი ჰედლაინებით იწყება პერიოდულად ქართული საინფორმაციო გამოშვებები და ასეთივე სიხშირით ვრცელდება ის სოციალურ ქსელებში...**

მსჯავრდებულთა სიცოცხლეზე და მათ ყოფაზე პასუხისმგებელი უწყების ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტი სასჯელაღსრულების ჯანდაცვის რეფორმაა: პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობა, ინფექციების გავრცელება, ნარკოდამოკიდებული პირები, თვითდაზიანებები, ექიმების დამოუკიდებლობა, საავადმყოფოების განახლება, თანამშრომლობა სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორთან... ეს არის რეალობის ნაწილი, რომლის შეცვლასაც სუბარის უწყება ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობს.

9 თვის განმავლობაში პატიმართა შორის სიკვდილობა წინა წლებთან შედარებით 132-დან 15-მდე შემცირდა, თუმცა ამ მაჩვენებლის კიდევ უფრო შესამცირებლად ბევრი მუშაობაა საჭირო. მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რაც კი შეიძლება ამ სისტემის პასუხისმგებელმა პირმა საკუთარ თავზე აიღოს. სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, რომელიც, სხვათა შორის, მთავრობის წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, 30 წლის ჩინოვნიკია და თვლის, რომ მისია, რომელიც მან უწყების ახალ გუნდთან ერთად იკისრა, შესრულებადია. იმ რეფორმის დეტალებზე, რომლის შესასრულებლად 18 თვიანი ვადიდან 10 თვე დარჩა არჩილ თალაკვაძემ „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.



**„მთავრობა და საზოგადოება ფიზიზლად უნდა იყოს, რომ ადამიანის უფლებები როგორც პრიორიტეტი, ყველა ვითარებაში შევინარჩუნოთ“**

**არჩილ თალაკვაძე:** „მსჯავრდებული დღეს აღარ არის მეორეხარისხოვანი ადამიანი. ის აღარ ელოდება როდის მოიცლიან მისთვის, როდის შეიცვლება დირექტორი, ექიმი ან ხელისუფლება. სასჯელაღსრულების რეფორმა მთლიანად სწორედ ამ ღირებულებაზეა დაფუძნებული. მსჯავრდებულებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იგივე სამედიცინო მომსახურებაზე, რაზეც სხვა მოქალაქეებს. ჩვენი პირველი და უმთავრესი ამოცანა იყო, შეგვემცირებინა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული სიკვდილობის მაღალი მაჩვენებელი, რაც იყო 150-მდე გარდაცვალება წელინადში. დღეს ეს მაჩვენებელი, ცხრა თვის მონაცემებით, პრაქტიკულად ათჯერ, 15-მდეა შემცირებული. როგორ მივაღწიეთ ამ ცვლილებას და ამ შედეგს - ჩვენ დავუპირისპირდით ციხის ხუთ მთავარ „მკვლელს“: ტუბერკულოზს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, C ჰეპატიტს, ძალადობას და ასევე აივ ინფექცია/შიდსს. დღეს ჩვენს სისტემაში ტუბერკულოზის მკურნალობის იგივე სტანდარტია, რაც სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში - ტარდება სკრინინგი, იანვარში გაიხსნა ტუბერკულოზის ახალი ცენტრი, სადაც ტუბერკულოზის მკურნალობისთვის ყველა პირობაა შექმნილი: ეს არის დაავადების სხვადასხვა ფორმის სეპარაცია, ანუ გამიჯვნა ერთმანეთისგან; ეს არის მკურნალობის ზუსტად იგივე სქემა, რაც სამოქალაქო სექტორშია დანერგილი; აქ არის ვენტილაციის დამოუკიდებელი სისტემები; სპეციალური, გამდიდრებული კვება (მეტი რძის პროდუქტები, მეტი ხორცპროდუქტები, თაფლი, ხილი და სხვა), რომელიც შეესაბამება ამ დაავადებასთან დაკავშირებულ რისკებს; რაც შეეხება გულსისხლძარღვთა დაავადებების მართვას, ხანგრძლივი და რთული ამოცანაა და პირველადი ჯანდაცვის მოდელის დანერგვა უკვე მიმდინარეობს - ვერ გეტყვით, რომ ეს სისტემა ამ დროისთვის იდეალურად მუშაობს, რადგან, ზოგადად, პირველადი ჯანდაცვა საკმაოდ პრობლემურია მტელს მსოფლიოში და მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, რომ შედეგი გამოიღოს. მესამე პრობლემაა C ჰეპატიტი და მასთან დაკავშირებული ღვიძლის ციროზები. უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების განმავლობაში C ჰეპატიტის გავრცელებამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საგანგაშო ნიშნულს მიაღწია. ზოგიერთ კვლევაში ეს არის მსჯავრდებულთა 17 %, ზოგიერთ კვლევაში კი ეს პროცენტული მაჩვენებელი 50-ზე მაღალია, რაც ნიშნავს, რომ გარკვეული რისკის ჯგუფებში ყველა მეორე ადამიანი არის ინფიცირებული. ძალიან დიდი პრობლემა იყო დღემდე, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ღირებულება 12000 -15000 დოლარია, რის გამოც პრაქტიკულად მსჯავრდებულთა უმრავლესობას მასზე ხელი არ მიუწვდებოდა. პრემიერ მინისტრის და მთავრობის მხარდაჭერით ჩვენმა სამინისტრომ შეიმუშავა C ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი C ჰეპატიტის ინფექციის წინააღმდეგ. ეს გაკეთდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დახმარებით და ანალოგიური პროგრამის დამუშავება მიდის სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორშიც. ეს პროგრამა უზრუნველყოფს 12 000 მსჯავრდებულის ტესტირებას, 3 000 მსჯავრდებულის გამოკვლევას სიღრმისეულად, 500 მსჯავრდებულის მკურნალობას და 5 000 მსჯავრდებულის ვაქცინაციას B ჰეპატიტზე. შემუშავებულია სპეციალური კრიტერიუმები პაციენტების შესარჩევად, რომ თავიდან ავიცილოთ სახიფათო გართულებები და გავანეიტრალოთ დანაშაულის ხელოვნურად ჩადენის რისკი. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს პასუხი C ჰეპატიტის წინააღმდეგ.

შემდეგი „მკვლელი“ ძალადობაა. დღეს ძალადობა სისტემის „ბერკეტი“ აღარ არის და სამოქალაქო საზოგადოებამ, მონიტორინგის ორგანოებმა და ჩვენ - მთავრობამ, შემდეგი წლების განმავლობაში ეს რეჟიმი, ძალიან ფხიზლად უნდა შევინარჩუნოთ, რომ ძალადობა აღარასოდეს დაბრუნდეს საქართველოს რეალობაში, აღარ გახდეს მენეჯმენტის ნაწილი, რაც სამწუხაროდ წინა წლებში იყო და ეს პატიმრებს ხერხემალზე, ცხვირზე, თავზე და ფსიქიკაზე ეტყობათ.

ძალადობის რისკების აღმოფხვრა მოხდება მაშინ, როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტები მივა ბოლომდე, როდესაც ათასობით მსჯავრდებული ერთ სივრცეში არ იქნება უშინაარსოდ თავმოყრილი, როდესაც სასჯელის მოხდა და ადამიანების გამოსწორება კედლების და გისოსების გარდა შრომით, განათლებით, მკაცრი დისციპლინით და პერსონალის ნაყოფიერი მუშაობით მოხდება. ეს პროცესი დაწყებულია და რაც შეიძლება მალე მივიყვანთ. სანამ გვაქვს დიდი და უშინაარსო დაწესებულებები, სადაც 1 800 და 2 000 ადამიანი ერთ სივრცეში ცხოვრობს, ყოველთვის იქნება ძალადობის რისკი და შემთხვევები. როგორც ყოფილი უფლებადამცველი, ძალიან ფრთხილი ვარ განცხადებასთან, რომ ასეთი შემთხვევები საერთოდ აღარ მოხდება. ალბათ, იქნება ერთეული შემთხვევები, რომელსაც უნდა მოჰყვეს რეაგირება და დამნაშავეები მკაცრად დაისჯონ. მთავარია, ძალადობამ არ მიიღოს სისტემური სახე. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ძალადობა მიდგომა აღარ არის, სისტემა გახდა ადამიანური და ეს არის სოზარ სუბარის მიღწევა. მმართველობა ძალადობის გარეშე - ეს უნდა გახდეს სახელმწიფოს კულტურა და ტრადიცია.

**- რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა მსჯავრდებული, რატომ ვერ მოხდა მისი გადარჩენა?**

- ამ შემთხვევაში პირველადი დიაგნოზი მიოკარდიუმის გავრცელებული ინფარქტი იყო. მსჯავრდებული ცხოვრობდა სპორტული ცხოვრებით, ხშირად თამაშობდა ფეხბურთს, ყოფილი სპორტსმენი იყო. როდესაც მან ჩივილები გამოხატა, დროულად მივიდა ექიმი, წნევის გაზომვის შემდეგ ის დაუყოვნებლივ გადაიყვანეს სამედიცინო ნაწილში. კარდიოგრამამ ინფარქტის სურათი აჩვენა. ჩაუტარდა პირველი, აუცილებელი მკურნალობა. სამწუხაროდ, გულის უეცარი გაჩერება მაინც მოხდა და რეანიმაციული ღონისძიებებითაც კი ვერ მოხერხდა მისი გადარჩენა. ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი, თუმცა ასეთი შემთხვევებისგან არ ვართ დაზღვეულები. საავადმყოფოებშიც და სახლშიც ადამიანები კვდებიან სხვადასხვა დაავადებებისგან და ეს არის ადამიანური ტრაგედია. ჩვენი ამოცანა საპატიმროებში ასეთი შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანაა. სიკვდილის „განულება“ შეუძლებელია. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში, 16-75 წლის ასაკის ყოველ 10 000 მოსახლეში 51 გარდაცვალების ფაქტი ფიქსირდება წლის განმავლობაში. ასე რომ, რა თქმა უნდა, სიკვდილის „გაუქმება“ შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია საპატიმროებში მისი მინიმუმამდე დაყვანა. 1994 წლიდან მოყოლებული, 2013 წლის ჩათვლით, დღესდღეობით სასჯელაღსრულების სისტემაში სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია და ეს მაჩვენებელი უნდა შევინარჩუნოთ. რაც შეეხება კიდევ ერთ „მკვლელს“, ეს არის აივ ინფექცია/შიდსი, რომელზეც ასევე წარმატებული პროგრამა არსებობს. ეს პროგრამა ტესტირებაზე და მკურნალობაზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სახელმწიფოს ხარჯზე. ყველა მსჯავრდებული, რომელიც ინფიცირებულია, სახელმწიფოსა და დონორების მიერ დაფინანსებულ მკურნალობას გადის. ეს არის ჩვენი სტრატეგია ციხის „მკვლელების“ წინააღმდეგ, რომელიც მუშაობს დღეს და ვიტყოდი, რომ ეფექტურია - სიკვდილობის შემცირება ამ სტრატეგიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებლია, მაგრამ ამას გარდა არის ჯანდაცვის ბევრი სხვა ინდიკატორი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმატებას ვზომავთ. სასჯელაღსრულების ჯანდაცვის რეფორმა თვრამეტთვიანია, ის დაანონსებული იყო 2012 წლის დეკემბერში, უკვე 8-9 თვე გავიდა, წინ გვაქვს ძალიან დატვირთული ათი თვე, რომლის განმავლობაში უნდა მოხდეს კიდევ ბევრი ცვლილება და სისტემა უნდა მივიდეს თავის ლოგიკურ მდგომარეობამდე. ამ მომენტისთვის შედეგები ასეთია: სამედიცინო მომსახურება სამოქალაქო საავადმყოფოებში მიიღო 6 400-ზე მეტმა მსჯავრდებულმა პაციენტმა და მედიკამენტების დანახარჯი წელინადში 25 ლარიდან ერთ პატიმარზე გაიზარდა 187 ლარამდე. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ერთ-ერთ ბოლო კვლევაში ნათქვამია, რომ გამოკითხული 1600 მსჯავრდებულიდან 67,6 % თვლის, რომ უკვე მიიღო ნაწილობრივი ან სრული სამედიცინო მომსახურება და მათგან ვინც მომსახურება მიიღო 40,7 % თვლის, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. ეს უკვე არის შედეგი. სიკვდილობის მაჩვენებელი მკვეთრად არის შემცირებული. ინფექციების მართვის კუთხითაც ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. მაგალითად, ძალიან ეფექტური ინტერვენცია მოხდა ღორის გრიპზე, ნული იყო ინფექციის და ინფექციით გარდაცვალების შემთვევა პატიმართა შორის. ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ასევე, ძალიან ეფექტური ინტერვენცია მოხდა წითელას წინააღმდეგ. წითელაზე მასიური ვაქცინაციით ჩვენ თავიდან ავიცილეთ ეპიდემია.

**- რაც შეეხება საავადმყოფოებს, რა მდგომარეობაა დღეს?**

- ჩვენი სისტემა წლის ბოლოს შეხვდება ორი ან სამი ახალი სამედიცინო დაწესებულებით. ეს არის ახალი ტუბერკულოზის ცენტრი, რომელიც უკვე გაიხსნა. რესპუბლიკური, ცენტრალური მულტი-პროფილური საავადმყოფო, რომელიც ალიქურვება აბსოლუტურად ახალი აპარატურით და დაკომპლექტდება განახლებული პერსონალით. ახალი განყოფილებებით და ინფრასტრუქტურით ის უკვე ოქტომბერში გაეშვება ექსპლუატაციაში. მესამე პროექტი, რომლის შემუშავებაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს, მიხეილ ღურწკაიას დიდი წვლილი მიუძღვის, არის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც გააერთიანებს ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ სერვისებს. ეს ახალი სამი მძლავრი სამედიცინო ცენტრი მოემსახურება მსჯავრდებულებს მომავალში. რა თქმა უნდა, ეს საავადმყოფოები მინიმუმამდე დაიყვანს სამოქალაქო სექტორში ადამიანების გადაყვანის საჭიროებას, მაგრამ მაღალტექნოლოგიური ოპერაციები-

**„გარდაცვლილი მსჯავრდებულის პირველადი დიაგნოზი მიოკარდიუმის გავრცელებული ინფარქტი იყო. კარდიოგრამამ ინფარქტის სურათი აჩვენა. ჩაუტარდა საჭირო მკურნალობა. თუმცა, სამწუხაროდ, შემდეგ გულის უეცარი გაჩერება მოხდა და რეანიმაციული ღონისძიებების მიუხედავად მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი „მკვლელის“ წინააღმდეგ

**„ბოლო წლების განმავლობაში C ჰეპატიტის გავრცელებამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საგანგაშო ნიშნულს მიაღწია “**

# „ჩვენ გარდატეხა შევიტანეთ მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებაში“

# EXCLUSIVE

სთვის მსჯავრდებულები მაინც გადავლენ სამოქალაქო სექტორში, რადგან ჩვენთან ნეიროქირურგიული, კარდიოქირურგიული და ოფთალმოლოგიური ოპერაციების და სხვა მაღალტექნოლოგიური ჩარევების დანერგვა არ არის ხარჯთეფექტური. ამ მიზნით სამოქალაქო სექტორთან გავაგრძელებთ პარტნიორობას. მნიშვნელოვანი სიახლეებია სამედიცინო პერსონალთან მიმართებაში, ექიმის ხელფასი 750 ლარიდან 1 200 ლარამდე არის გაზრდილი, ექთნის ხელფასი 350 ლარიდან 600 ლარამდე. ჩატარდა კონკურსი, დაახლოებით სამასზე მეტი ვაკანსია გამოცხადდა და მოხდა პერსონალის განახლება, ზოგიერთ დაწესებულებაში 30 %-ით, ზოგიერთში კი 50 %-ით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განახლდა და შეიცვალა კვების სტანდარტი. კვება გახდა გაცილებით ნორმალური და მიზნობრივი, რადგან ქალი მსჯავრდებულებისთვის, არასრულწლოვნებისთვის, დახურულ დაწესებულებებში მყოფი და ღია დაწესებულებებში მყოფებისთვის არის სხვადასხვა რეჟიმები და ეს რეჟიმები შეესაბამება მათ ფიზიკურ აქტივობას და საჭიროებებს. რა თქმა უნდა, საკვებზე ყოველთვის იქნება პრეტენზიები, (მათ შორის რესტორნების კლიენტებსაც აქვთ ხოლმე რესტორნების მიმართ პრეტენზიები), ამიტომაც, ეს არის პროცესი, რომელსაც სჭირდება მუდმივი კონტროლი. კომპანია, რომელიც საკვებს ამზადებს არ უნდა მოდუნდეს, რომ ხარისხი არ გაუარესდეს. ადრე თუ კვებაზე საკითხი ასე იდგა: მისაღებია თუ მიუღებელი? დღეს საკითხი ასე დგას: შეიძლება თუ არა ულუფის დამატება და გემრიელად არის თუ არა მომზადებული?

**- რა პრობლემები რჩება, რომელსაც ჯერ ვერ გაუმკლავდით?**

- ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავაც რჩება, ვთქვი, რომ პირველადი ჯანდაცვის მოდელის დანერგვა მიმდინარეობს, როდესაც ერთი ექიმი მეთვალყურეობს 500 მსჯავრდებულს და იცის ვინ არის მათ შორის დაავადებული, ვინ არის პრაქტიკულად ჯანმრთელი და ფლობს პრაქტიკულად ყველაზე ინფორმაციას - ამის მიღწევა რთულია. ყველა მსჯავრდებული რომ ექიმთან თანამშრომლობდეს როგორც პაციენტი, საქმე უფრო კარგად იქნებოდა. მსჯავრდებულთა დიდი ნაწილი ხედავს დადებით ცვლილებებს, მაგრამ არის გარკვეული ნაწილი, რომელიც ჯანდაცვის მომსახურებას და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას აფერხებს და თავის მეგობარს, თანასაკნელს ხელს უშლის სამედიცინო მომსახურების პროცესში.

**- როგორ აფერხებენ, ისევ არის თვითდაზიანებების შემთხვევები?**

- თვითდაზიანებებს მიმართავენ საკმაოდ ხშირად და ყოველი თვითდაზიანება, რომელიც პატიმარმა საკუთარ თავს მიაყენა, არის ერთი სხვა ადამიანისთვის, რომელსაც რეალურად ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, სამედიცინო მომსახურების შეფერხება, დაგვიანება. მაშინ როცა ერთი მსჯავრდებული გეგმიურად არის მისახედი და ექიმმა უნდა ნახოს, სხვა მსჯავრდებული თვითდაზიანების შემთხვევაში მას უკეტავს გზას სამედიცინო მომსახურებისკენ. ამიტომ კარგი იქნება თუ მსჯავრდებულები გაითავისებენ, რომ რესურსები არის შეზღუდული და ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებისმიერი ხელოვნური გაუარესება, მათ გვერდზე მყოფი სხვა ადამიანის ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავს.

**- რამდენად ბევრია ისეთი პატიმარი, რომელსაც აღენიშნება ფსიქიკური პრობლემები?**

- ფსიქიკური ჯანმრთელობა უდიდესი ტვირთია სასჯელაღსრულების სისტემისთვის და ზოგადად საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის. საერთოდ, მთელს მსოფლიოში, სასჯელაღსრულების სისტემებში ფსიქიკური დაავადებების სიხშირე მკვეთრად აღემატება სამოქალაქო სექტორში იგივე მაჩვენებელს. საქართველოში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდია. ძალიან ბევრ ადამიანს იმ სტრესის გამო, რაც გამოიარა, აქვს ფსიქიკური პრობლემები. ამ ფსიქიკური პრობლემების დაფარვა მსჯავრდებულებში ხდებოდა ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბად მიწოდებით და ძალიან ხშირად ეს ხდებოდა სამედიცინო პერსონალის გვერდის ავლით. გვაქვს ბევრი ანგარიში, ბევრი პაციენტის ანამნეზი, რომლებიც ამბობდნენ, რომ ეს პრობლემები დაახლოებით 2007 წლიდან იჩენს თავს სისტემაში. სავარაუდოდ, მაშინ, როდესაც მსჯავრდებულების რაოდენობა იზრდება და ადმინისტრაციას უკვე მათი მართვა უჭირდა, იმატა მსჯავრდებულებისთვის ფსიქოტროპული მედიკამენტების მიწოდებამ. ეს მედიკამენტები ძირითადად არის სედატიური და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები, რომლებიც ადამიანის მოდუნებას ან რეალობიდან მის დაშორებას იწვევს. წლების განმავლობაში ამ მედიკამენტების უკონტროლოდ მიცემის გამო, დღეს მძიმე ვითარება გვაქვს. ასეულობით მსჯავრდებული არის დამოკიდებული ამ მედიკამენტებზე და ჩვენი მხრიდან მექანიკურად ამ წამლების შეწყვეტა არის შეუძლებელი, იმიტომ რომ ასეთ დროს ადამიანები თვითდაზიანებებსა და თვითმკვლელობებს, ღია აგრესიას მიმართავენ. ჩვენ გვიხდება ყოველთვიურად ათეულობით მსჯავრდებულის გადაყვანა ნარკოლოგიურ კლინიკაში და ბევრი ადამიანი ადგილებზეც გადის ამ მკურნალობას. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ყველა არის მოტივირებული, ამ მკურნალობით ისარგებლოს და ამ პრობლემას თავი დააღწიოს. ფსიქოტროპულ პრეპარატებზე დამოკიდებულება ურთულესი პრობლემაა და სასჯელაღსრულების სისტემაში ამ საკითხის სრულყოფილ მოგვარებას წლები დასჭირდება. ფსიქიკური ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ მედიკამენტური მკურნალობა. ეს არის გარემო, ფიზიკური აქტივობები, განათლება, განვითარების შესაძლებლობები, შრომა და თანმიმდევრული სამედიცინო მომსახურება. თავისთავად დიდ გამოწვევად რჩება წამების მსხვერპლთა სამედიცინო და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. ამ ადამიანების რეაბილიტაციის კუთხით ძალიან მცირე გამოცდილებაა სასჯელაღსრულების სისტემაში და ქვეყანაშიც მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს ეფექტურად. პრობლემად რჩება ასევე სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი და მისი გაუმჯობესება, პერსონალის კვალიფიკაციის უწყვეტი გაუმჯობესება, პაციენტის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა. მას შემდეგ, რაც ახალი საავადმყოფოები დაიწყებს ფუნქციონირებას განახლებული პერსონალით, აუცილებელია უკვე ვიფიქროთ სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლის მექანიზმებზე. ეს არ არის მარტო მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილება, ან მარტო სიკვდილობის შემცირება, ეს არის ფაქტორების მთელი კომპლექსი, რომელიც აჩვენებს, რომ სამედიცინო მომსახურება არის ხარისხიანი, პაციენტის უსაფრთხოება არის დაცული. ამაზე საუბარი და ფიქრი დღეს უკვე დაწყებულია.

**- რაც შეეხება ნარკომანიას და ციხეში ნარკოტიკების შეტანას, ეს საკითხი კვლავ რჩება პრობლემად...**

- მსოფლიოში ნარკოტიკებისგან თავისუფალი ციხე არ არსებობს. სადაც არიან ნარკომანები იქ არის ნარკოტიკიც - მეტი ან ნაკლები. არც ერთი განვითარებული ქვეყნის სასჯელაღსრულების სისტემა არ ამბობს, რომ ციხე ნარკოტიკებისგან აბსოლუტურად სტერილურია. სახელმწიფოს ფუნქცია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასა და მოხმარებასთან ბრძოლაა. 2006-დან 2012 წლამდე სასჯელაღსრულების სისტემაში ნარკოტიკების უკანონო შეტანის და მოხმარების 503 ფაქტი იყო რეგისტრირებული, რაც ნიშნავს, რომ ეს არ არის ახალი პრობლემა. ეს პრობლემა დღესაც არსებობს. წამალდამოკიდებულება იმდენად დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მოთხოვნას ქმნის, რომ ადამიანები მიმართავენ ყველანაირ გზებს ნარკოტიკების მოსაპოვებლად. ალბათ გახსოვთ, რომ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა მნახველმა მსჯავრდებულთან ნარკოტიკის სხეულის ერთი ნაწილით შეტანა სცადა, იყო შემთხვევა, როდესაც ნარკოტიკი კატას მიამაგრეს და გალავანზე გადაისროლეს... ასეთი „ინოვაციური“ ბევრი მეთოდია, მაგრამ ჩვენი ამოცანაა ამას დავუპირისპირდეთ და ყველა ფაქტი გამოვავლინოთ. მიწოდებას ეფექტურად ებრძვიან სამართალდამცავი ორგანოები, მოთხოვნას კი სამედიცინო და ფსიქოსოციალური სერვისები უნდა დავუპირისპიროთ, რომელიც არასოდეს არ არის საკმარისი. ეს არის კომპლექსური პრობლემა, რომელსაც თუ არ მოაგვარებ მიიღებ უფრო სავალალო შედეგებს - ადამიანები გააზიარებენ ნახმარ შპრიცებეს, გაიკეთებენ სინთეზურ ნარკოტიკებს, შეეცდებიან, რომ ფსიქოტროპული მედიკამენტებით დაიკმაყოფილონ მოთხოვნა და სხვა.

**-მსჯავრდებულთათვის მედიკამენტების მიწოდებას რაც შეეხება, რა ვითარება ამ მხრივ?**

- მედიკამენტებზე არის ძალიან სერიოზული სპეკულაციები. იმის მიუხედავად, რომ ერთ პატიმარზე წლიური ფარმაცევტული დანახარჯი 25-დან 187 ლარამდე გაიზარდა, წამლები მაინც ხდება ბევრი მსჯავრდებულის პრეტენზიის საგანი. ბევრი ამბობს, რომ მედიკამენტები არ აქვს და არ ყოფნის. ფაქტი არის ის, რომ ხარჯი და მიწოდება გაზრდილია. ბუნებრივია, მოთხოვნაც გაიზარდა, იმიტომ, რომ მკურნალობა მეტ ადამიანს მიეწოდება. გარდა ამისა, როდესაც ჩატარდა მოულოდნელი ჩხრეკები საკნებში, ძალიან ბევრ მსჯავრდებულს წამლის მარაგები აღმოვუჩინეთ. ისინი ამბობენ - რა ვიცით რა ხდება მომავალში და წამლის მარაგი საჭიროაო. ზოგადად ცნობილია, რომ წამლები ციხეში ხშირად ვალუტის ფუნქციას ასრულებს, ამიტომ მედიკამენტების კონტროლი არის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა. ვერ ვიტყვით, რომ ეს ამოცანა დღეს სრულად არის გადაჭრილი. მიდის მუშაობა პირველადი ჯანდაცვის მოდელის დანერგვაზე და მისი ერთ-ერთი ასპექტი სწორედ მედიკამენტების რაციონალური მოხმარება და კონტროლია. განვითარებულ სისტემებში ცალკე აღებული ფაქტი, რომ მედიკამენტების დანახარჯი გაიზარდა, სულაც არ ნიშნავს პროგრესს. პირიქით, თანამედროვე მიდგომებით, პაციენტის უსაფრთხოების კონცეფცია, გულისხმობს იმას, რომ მედიკაცია უნდა იყოს მინიმალური და დამზოგველი. როდესაც მსჯავრდებულები ითხოვენ მეტ მედიკამენტებს, ჩვენ ამ მოთხოვნას ყოველთვის არ დავაკმაყოფილებთ. ეს ეწინააღმდეგება იმ კურსს, რაც ჩვენ ავირჩიეთ.

მინისტრი და სამინისტროს ყველა თანამშრომელი ბევრს ვშრომობთ, რომ დასახულ მიზნებს მივაღწიოთ. მადლობა მინდა ვუთხრა ექიმებს და განსაკუთრებული მადლობა ექთნებს, რომლებიც ამ სამუშაოს დიდ ნაწილს ასრულებენ და მომავალში უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევთ. ჩვენ გადავამზადებთ მათ და ექთანი გახდება წამყვანი ფიგურა სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემაში. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ექიმსა და პაციენტს შორის პარტნიორობა. ის პატიმრები, რომლებიც ექიმებს აბრკოლებენ, მოქმედებენ საკუთარი ჯანმრთელობის წინააღმდეგ და წყვეტენ მკურნალობას ან ხელოვნურად იზიანებენ თავს, ბუნებრივია, სამედიცინო მომსახურების შედეგებს ნაკლებად მიიღებენ და ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მეტწილად მათ დაეკისრებათ და არა ექიმებს და ექთნებს.

კიდევ ერთი სიახლე, რომლის დანერგვასაც შემდეგ თვეში ვაპირებთ, არის სამედიცინო მომსახურების ელექტრონული რიგი. თითოეული მსჯავრდებული, რომელიც მიმართავს სამედიცინო სამსახურს და მისი მოთხოვნის დამუშავების შემდეგ ჩაითვლება, რომ მას მართლაც სჭირდება გეგმიური სამედიცინო მომსახურება, მიიღებს რიგის ნომერს და ამ რიგის ნომრით ყოველთვის შეეძლება გადაამოწმოს მისი საავადმყოფოში გადაყვანის სავარაუდო დრო, გადაამოწმოს თუ რამდენი პაციენტია მის წინ რიგში. ეს პრინციპი შეეხება მხოლოდ გეგმიურ პაციენტებს, რომელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს მოლოდინის რეჟიმი საფრთხეს არ უქმნის. ეს იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი გამჭვირვალობის და სამართლიანობისკენ.

**„მმართველობა ძალადობის გარეშე - ეს უნდა გახდეს სახელმწიფოს კულტურა და ტრადიცია“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შალვა ნათელაშვილი: „რამდენჯერაც მხარი არ დამიჭირეს,

ნინო დათაშვილი

**მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრება „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი და საპრეზიდენტო მარათონის ერთ-ერთი მონაწილე შალვა ნათელაშვილი:**

**– ბატონო შალვა, მუდმივად იყო საუბარი, რომ არჩევნებში იურიდიული თვალსაზრისით დატოვებული იყო ხვრელები, ხელისუფლებას ხელი რომ შეეშალა ოპონენტებისთვის სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის წარმოებაში. ახალმა ხელისუფლებამ არ შეცვალა არც საარჩევნო სიები, არც კოდექსი, რამდენად სამართლიანად შეიძლება წარიმართოს ეს პროცესი?**

– სამართლიანობაზე ოცნებაც კი ზედმეტია. რასაც ებრძოდა მთელი ოპოზიცია, მთელი პროგრესული კაცობრიობა და მათ შორის ივანიშვილის ბლოკში შემავალი პარტიები და თვითონ ივანიშვილი, ის საარჩევნო კანონმდებლობა და წესები დარჩა უცვლელი და კიდევ დარჩა მათ მიერ მოფიქრებული მარაზმები, რომ არჩევნები კარგად გააყალბონ. ერთხელ კიდევ ვიმეორებ თქვენი ავტორიტეტული გამოცემის მეშვეობით: თუ აგვისტოში პარლამენტის საგანგებო სესიაზე არ მოხდა კანონმდებლობაში ცვლილებები, რომლის თანახმადაც, არჩევნებში მონაწილეობა ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო იქნება... სასამართლოში გამოცხადება ხომ არის სავალდებულო და ხომ იჭერენ, თუ არ გამოცხადდება მოწმის რანგში? ქვეყნის გადარჩენაზე მეტი რა პროცესი უნდა ჩატარდეს, რომ არჩევნებზე არ მოვიდეს მოქალაქე? არჩევნებზე არმისვლაზე კი არანაირი სანქცია არ არის. ეს იმიტომ, რომ არ აწყობთ ხალხის მოსვლა. ბევრი ხალხის მოზღვავება უბნებთან გაყალბებაში ხელს შეუშლით. საბერძნეთსა და თურქეთში არჩევნებში არგამოცხადება ციხით ისჯება. ციხეს არ მოვითხოვთ, მაგრამ ერთი ლარი მაინც იყოს ჯარიმა, რომ ეს ხალხი მოვიდეს, მოიხადოს თავისი ვალი და თანაც გავიგოთ, ვინ არის ამომრჩეველი. სია არ არსებობს. ერთი მილიონი დამატებულია. როდესაც სავალდებულო მონაწილეობის წესი ამოქმედდება, უკვე გავიგებთ, ვინ არის ამომრჩეველი და ვინ – არა. ისევე როგორც, უნდა შევიდეს კანონში ცვლილება, რომ დავის შემთხვევაში, დახურული ბიულეტენები გაიხსნას და გადაითვალოს, რათა გამყალბებლებს ჰქონდეთ შიში, რომ მათ ამხელენ. ასევე, უნდა იყოს თანასწორობა საარჩევნო კომისიებში. ადრე ერთი გველეშაპი გვყავდა, ახლა ორთავიანი გველეშაპია – სააკაშვილი და ივანიშვილი. და რაც გინდა მოიგე, რაც გინდა წააგე, ვინ დაგიწერს, ვინ დაგითვლის, ვინ გაღიარებს, ვინ შეგიცვლის, ვინ დაგიდგება გვერდში? არავინ, გამორიცხულია. საარჩევნო სუბიექტებს უნდა ჰყავდეთ თითო წევრი კომისიაში, მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი ხელმისაწვდომობა სარეკლამო გაშუქებაში. მე საიდან ვიხადო რეკლამაში 5000 ლარი? გამოვა, რომ შვიდი მილიარდის პატრონი ივანიშვილი თავის „შემოულაწუნეს“, ასე დავარქვი მარგველაშვილს, იმ შვიდ მილიონ ლარს მოახმარს და გადაიხდის რეკლამაში. ისევე როგორც, რას ჰქვია საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მომცენ დაფინანსება? საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ აქეთ მივცემ დაფინანსებას, ოღონდ გლდანის ციხეში.

**– ვის დაემუქრეთ?**

– ივანიშვილს... დავაზუსტებ, ამომრჩეველს ბოიკოტი შეუძლია ყველა კანდიდატს გამოუცხადოს. საარჩევნო ბიულეტენში არის გრაფა, არავის არ ვაძლევ ხმას და ის შემოხაზოს... არჩევნებზე ყველა უნდა გავიდეს, რომ ბიულეტენი გამყალბებლის ხელში არ აღმოჩნდეს, რის გამოც საქართველოს ისტორია იცვლება და ნადგურდება. ის 40%, ვინც არჩევნებზე არ დადის, არის საქართველოს ყველაზე დიდი მტერი. ვერც აცნობიერებს, რას

## „ფაქტობრივად, ივანიშვილმა გადაარჩინა „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც ის ოპოზიციად გამოაცხადა“

სჩადის, მერე ყველაზე გრძელი ენა იმათ აქვთ. გამოდი, რა, შე მამაცხონებულო, გარეთ, ჰაერი ჩაყლაპე.

**– რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, თქვენ წარმატებული მაშინ იყავით, როდესაც განსხვავებული სოციალური პროგრამა გქონდათ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ბევრი კონკურენტი გამოგიჩნდათ, ნინო ბურჯანაძის ან კობა დავითაშვილის სახით? განსხვავებულს რას სთავაზობთ ელექტორატს?**

– რამდენჯერაც მხარი არ დამიჭირეს, ქვეყანა თავზე შემოგვენგრა. ახლა საერთოდ დაგვემხობა. რის კონკურენტები, ვინ არის ჩემი კონკურენტი? ხელისუფლებაში თხუთმეტჯერ ნამყოფი ხალხი, მერე უკან მოტრიალებული, მერე ისევ იქ გადაბარგებული, ბლოკიდან ბლოკში ნარბენი, ფულნაშოვნი, ვაჭარი, ორკაციანი პარტიის ლიდერი, ხან პრორუსული, ხან პროამერიკული? რა არის ეს, რა უბედურებაა. წავიდნენ, ხელს მაინც ნუ მიშლიან. დასხდნენ სახლში. რაც დაგვიშავეს, ის იკმარონ.

**– რაც შეეხება საარჩევნო პროგრამას, რა იქნება სამი მთავარი მამოძრავებელი თქვენი, როგორც პრეზიდენტის?**

– იგივე, რაც არის. ცხოვრების გადაქცევა ასატან მოვლენად. რომ იყოს ადამიანური ტარიფი, იყოს ადამიანური განათლებისა და მკურნალობის უფლება. დაიწყოს ტერიტორიების დაბრუნება, დაიწყოს ყაჩაღი ბანკების ნეიტრალიზაცია და იპოთეკარების გამოხსნა, სახელმწიფო სტრუქტურებში დაიწყოს ნამდვილი კადრების მოყვანა ნეპოტიზმისა და ქრთამის გარეშე. დღეს ვისაც პოლიტიკური ნიჭი აქვს, ის გაძევებულია პოლიტიკიდან, ან ქვეყნის გარეთ არის გაქცეული. უნდა მოხდეს საქართველოს იმ კაშხლის დანგრევა, რომელიც აგუბებს ანკარა წყალს და აჭაობებს ჩვენს ქვეყანას. მე ამას დავანგრევ.

**– სოციალურ კვლევებს თუ ატარებთ? როგორია თქვენი მხარდამჭერების სურათი?**

– ერთადერთი ჩვენ ვართ, ვისი რეიტინგიც იზრდება, დანარჩენებს აქვთ შეყინული რეიტინგი, რომელიც აღარ გადნება. 26% აქვს ამ „შემოულაწუნეს“ და ჩვენ გვაქვს 15%, რომელიც ზრდადია.

**– ანუ თქვენ ხართ მეორე ადგილზე?**

– დიახ. ბაქრაძეს აქვს 13%, ადრე ჰქონდა 10% და შემდეგ გაეზარდა.

**– ბურჯანაძე ამბობს, რომ თავად არის მეორე პოზიციაზე...**

– ეგ ქალბატონი რომ მეორე პოზიციაზე იყოს, საქართველო უნდა დამთავრდეს. მაშინ საქართველოში ყველას უნდა დაემართოს სკლეროზი, არ უნდა ახსოვდეს, როგორ გადაარჩინა ამ ქალბატონმა ზურაბ ჟვანია, როგორ გახდა პარლამენტის თავმჯდომარე და როგორ უზრუნველყო სააკაშვილის გამეფება, „ვარდების რევოლუცია“, პარლამენტის შტურმით აღება, როგორ შეჭამა მისმა ოჯახმა 30 მილიონი, მისი მამა როგორ გვაჭმევდა ბაღლინღოიან პურს, როგორ იყო ორჯერ პარლამენტის თავმჯდომარე და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, როგორ გადაარჩინა სააკაშვილი 2007 წლის შემდეგ გადადგომას, როგორ აიღო ერთ ლარად 10-მილიონიანი აგარაკი და მერე, რომ წაართვეს, როგორ გადავიდა ოპოზიციაში და ასე შემდეგ. სირცხვილია.

**– როგორ თვლით, მის პოლიტიკურ ფიგურას რამე დადებითი აქვს, რის გამოც ნინო ბურჯანაძემ პრეტენზია უნდა განაცხადოს პრეზიდენტობაზე?**

– ნინო ბურჯანაძე უნდა მივიდეს მღვდელთან და ჩააბაროს აღსარება. რა დადებითზე შეიძლება ლაპარაკი, დააქცია ქვეყანა. სხვა ქვეყნებში ასეთი პიროვნებები საერთოდ ვერ ყოფენ ცხვირს გარეთ. მიხედოს ოჯახს.

**– რაც შეეხება კოჰაბიტაციას...**

– ეს არის სამარცხვინო. ეს არის ერის ღალატი, ქვეყნის გაყიდვა. სწორედ ამიტომაა, რომ ციხიდან პანტაპუნტით უშვებენ დამნაშავეებს და ყველას გამოაშვებინებენ, რადგან, როცა ოპოზიციად აცხადებ ლიდერს და პოლიტიკურ პარტიას, რაც ივანიშვილმა გააკეთა; როდესაც უარს ამბობ, რომ პრეზიდენტზე ააგორო იმპიჩმენტის პროცედურა, ეს ნიშნავს, რომ შენ აკეთებ ამ პოლიტიკური ძალის უკვდავებას და მას ხელშეუხებელს ხდი... თუ ასე გააგრძელა ივანიშვილმა, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და სააკაშვილს მეორედ მოიყვანენ.

**– ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ მას სურს აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“...**

– ეს, ალბათ, ჩვენგან გაიგო. ადრე ვთქვი, რომ აიკრძალა თურქეთში ერბაქანის პარტია, იტალიაში ბერლუსკონის აეკრძალა 7 წლით პოლიტიკური თანამდებობის დაკავება. ეს არის გავრცელებული პრაქტიკა, რომ, თუ პოლიტიკოსს ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა. ფაქტობრივად, ივანიშვილმა გადაარჩინა „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც ის ოპოზიციად გამოაცხადა და ამაზე ერი პასუხს აუცილებლად მოსთხოვს. ის ერი, რომელმაც თავის დროზე ასეთი სიყვარულით მისცა ხმა.

**– ბევრი შეფასება გაკეთდა სააკაშვილზე, მის რეჟიმზე, პარლამენტზე და ა.შ. თქვენი შეფასებით, ახალ და ძველ ხელისუფლებებს შორის იკვეთება თანამშრომლობა, წინააღმდეგობა? როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ ურთიერთობა ახალი ხელისუფლების შტოებს შორის?**

– მათ აერთიანებთ საერთო პასუხისმგებლობა. მათ სასტიკად არ უნდათ „ლეიბორისტული პარტიისნაირი“ ახალი ძალის მოსვლა, რომელიც არ არის გასვრილი მათ პოლიტიკურ საქმიანობაში და მოსთხოვს პასუხს და ნულიდან დააწყებინებს ანგარიშის ჩაბარებას იმაზე, თუ რა დაუშავეს ქვეყანას. მათ აერთიანებთ საერთო ინტერესი. ყველაფერს გააკეთებენ, რომ თვითონ დარჩნენ ხელისუფლებაში, როგორც ორპოლუსიანი მოვლენა, ან როგორც კოჰაბიტირებული და გოგლიმოგლივით გათქვეფილი. თქვენ ხომ არ გაგიკვირდებათ, რომ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და ალასანიამ ბოკერიასა და „ნაცმოძრაობის“ ლიბერალურ ჯგუფებთან შექმნან საერთო საპარლამენტო და სამთავრობო ალიანსი. როგორც ამბობენ, მოლაპარაკებები დაწყებულია. თურმე მაჭავარიანი და ბერძენიშვილები დღე და ღამე ერთად სხედან და რაღაცას წერენ ამის თაობაზე. პარლამენტიდან გამოჟონილ ინფორმაციას გეუბნებით. ამდენად, ისინი ოფიციალურ გაერთიანებაზეც წავლენ. იციან, რომ ჩვენი ხალხი ცოტა გულმავიწყია პოლიტიკურად და ავიწყდება, ვინ სად იყო. 15 პარტია აქვთ გამოცვლილი დავითაშვილს, ცაგარეიშვილს, „მრეწველებს“, „ფორუმს“ და „კონსერვატორებს“. შესაბამისად, მათთვის არანაირი მორალური წინაღობა არ არის გუშინდელის დავიწყება, საკუთარი დაფურთხებულის ალოკვა. ერთი სიტყვით, ქართულ პოლიტიკას ზნეობა საერთოდ არ გააჩნია. მსოფლიო პოლიტიკაში ზნეობის დეფიციტია, ხოლო ქართულ პოლიტიკას ზნეობა სა-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქვეყანა თავზე შემოგვენგრა. ახლა საერთოდ დაგვემხოშა“

## „პრეზიდენტი არის ჰაერში, ივანიშვილი – შუშის სასახლეში ან ურეკში. სამსახურში არც ერთი არ დადის, ჩვენ კიდევ ღმერთი გვარჩენს“

EXCLUSIVE

# „ნინო ბურჯანაძე უნდა მივიდეს მღვდელთან და ჩააბაროს აღსარება“

ერთოდ არ გააჩნია.

**– თქვენი აზრით, ასეთი გაერთიანება მზადდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში?**

– ბიძინა ივანიშვილი არც მოსულა პოლიტიკაში. მან ბიზნესგადათამაშება გააკეთა. 2 მილიარდი „დაირტყა“ იმ ქონებით, რომელიც რუსეთში ააღებინეს და ახლა ზის ფლოსტებში და არ გამოდის ურეკიდან. თქვენ გინახავთ რომელიმე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, რომელიც კაბინეტში არ შედის და დასასვენებელ ადგილებში იმყოფება? პრეზიდენტი არის ჰაერში, ივანიშვილი – შუშის სასახლეში ან ურეკში. სამსახურში არც ერთი არ დადის, ჩვენ კიდევ ღმერთი გვარჩენს.

**– ივანიშვილის წასვლის თემას რომ დავუბრუნდეთ...**

– მე ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება მალე წავიდეს. შემოდგომაზე მისი გადაყენების მოთხოვნით მიტინგები დაიწყება, იმდენ სისულელეს აკეთებს და იმდენ ანტიხალხურ გადაწყვეტილებას იღებს... „გადაგდებული“ ხალხი, ვისაც დაპირებები არ შეუსრულა, ჩვენთან დარბის ოფისში. შემოდგომაზე ივანიშვილს მიტინგები არ ასცდება და მერე უფრო შერცხვენილი წავა.

**– თქვენ ხომ არ აპირებთ ამ მიტინგებს სათავეში ჩაუდგეთ?**

– არაფერი გამორიცხული არ არის. არ ჩავდგომივარ მიტინგებს თუ რა?

**– მე არ მახსოვს...**

– ყველას აბსოლუტურად. პირველი მიტინგი ბუშის ჩამოსვლის დღეს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ 10000-კაციანი... რატომ არასდროს არ იმჩნევთ ჩემს დამსახურებას? ვინ ჩაატარა რესპუბლიკის მოედანზე მიტინგი, ბუში რომ არ გავატარეთ... ლილოს აქციები და საკასო აპარატების მიტინგი ვინ დაიწყო, არ გახსოვთ? არ გახსოვთ 7 ნოემბრის მიტინგები ვის მიჰყავდა, ვის უკრავდა ხალხი ტაშს, ვის გამოედევნენ მერე მოსაკლავად და პატრიარქთან რომ მივიდა ბურჯანაძე და უთხრა ჩემზე, ცხინვალშია უკვე გაქცეულიო...

**– კი, და ისიც მახსოვს, სტადიონზე რომ მიხვედით, როგორ ადგა ხალხი და ტაში დაგიკრათ...**

– ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ის სტადიონი რეალურად ჩემი იყო და ელემენტარული სიტყვით გამოსვლის უფლება არ მომცეს ჩემმა ძვირფასმა კოლეგებმა, რომლებიც მაშინ ოპოზიციაში იყვნენ, ახლა მმართველობაში არიან და დარჩნენ იგივე შავი გულის პატრონები, რაც იყვნენ.

**– ვისზე ამბობთ?**

– მთელ ამ ოპოზიციად წოდებულ ხალხზე.

**– მაგალითად, „გრეჩიხებზე“?**

– არა, მაგათზე შავ გულს ვერ ვიტყვი. ალალი გულის ბიჭები არიან, მაგრამ დანარჩენები ვინც არიან, რესპუბლიკელები, კონსერვატორები, „ფორუმი“, კუკავები და ასე შემდეგ. ადამიანურად მესმის, მაგრამ პოლიტიკაში ასეთი ბოღმით არ შეიძლება.

**– რით ახსნით „რესპუბლიკური პარტიის“ წინააღმდეგ აგორებულ შავ პიარს?**

– ეს რეალურად იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფია. საქართველოში პრაქტიკულად ორი პოლიტიკური მიმართულებაა. ეს არის ლეიბორისტული და რესპუბლიკური. ყველა ის პარტია, რომელსაც ჰგონია, რომ „ოცნებაა“, კონსერვატორია, მემარჯვენეა, „ფორუმია“, ყველა არის რესპუბლიკური იდეის მატარებელი. არის მეორე იდეოლოგია – ეს არის სოციალურ-ეროვნული სიამაყე, ღირსება და სამართლიანობა, ეს არის ლეიბორისტული მიმართულება. დანარჩენი არის პატარ-პატარა სატელიტები. ამიტომ რესპუბლიკელებს ყველაზე მეტი ხვდებათ. ისევე როგორც ივანიშვილი არის რესპუბლიკელი. ივანიშვილი არის რესპუბლიკელებზე დიდი რესპუბლიკელი თავისი ლიბერალური იდეებით, დაწყებული ერთსქესიანთა ქორწინებით და დამთავრებული მსხვილი ბანკების დაცვით.

**– კობა დავითაშვილის კოალიციიდან გასვლის ფაქტს როგორ აფასებთ?**

– კობა რის კობაა, რომ ასე არ გაეკეთებინა. კობა პირველი ხედავს მსხვრევისა და დაშლის ნიშნებს კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაში და პირველი ტოვებს ჩასაძირად განწირულ გემს. შესაბამისად, კობა არის სიმპტომი და არა მიზეზი.

**– თუმცა საუბარია დაფინანსებაზე.**

– კობამ დაფინანსება მიიღო. მიზეზი ეს არ არის.

**– კობაზე არ ვამბობ, ჟორჟოლიანზე და გაჩეჩილაძეზე...**

– ვიწვები მაგათი საცოდაობით, დაიცადონ ცოტა, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა, ჩაჯდნენ პროცესში. სირცხვილია, ჩემზე იმდენივე დაფინანსების გაცემა, რაც მისცეს ორკაციან პარტიებს, რომლებსაც ბუღალტერიც ოჯახის წევრი ჰყავთ და მთელ ფულს სახლებში მიაქანებენ. მე კიდევ 70 სამუშაო ადგილი მაქვს.

**– დაბოლოს, ირაკლი კაკაბაძე შემოდგომაზე აჯანყებას აანონსებს...**

– ირაკლი კაკაბაძე ჭკვიანი კაცია და გრძნობს საზოგადოების პულსს. მან კი არ თქვა, იგრძნო, რომ ამისთვის ხალხი ემზადება. ისევე როგორც მე ვგრძნობ ამას ყოველდღიურად.

**– თქვენ გრძნობთ ხალხის შემობრუნებას თქვენკენ?**

– რას ჰქვია ვგრძნობ. რეალური რეიტინგი ჩვენია.

## „შემოდგომაზე ივანიშვილს მიტინგები არ ასცდება და მერე უფრო შერცხვენილი წავა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მუზეუმებიდან გაუჩი

**my View**
მირიან ბოქოლიშვილი

**კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფოს მუზეუმებიდან დაკარგული უნიკალური ნივთების მოძიების საქმეში გააქტიურებას სთხოვენ. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გასული წლების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ძეგლი დაიკარგა, 90-იან წლებში არაერთი მუზეუმი გაიძარცვა, საიდანაც უნიკალური ფერწერული ტილოები და ანტიკური ხანის ნივთები გაიტაცეს, თუმცა ამ დრომდე მათი ეფექტური მოძიება არ ხდება. არ არსებობს დაკარგული ნივთების ერთიანი ცენტრალიზებული ბაზა.**

## ნიკა რურუა: „კულტურის სამინისტროში დაკარგული ნივთების ერთიანი სია ნამდვილად არ არსებობდა არასოდეს“

## გააააქტიურებს თუ არა სახელმწიფო მუშაობას მოპარული ექსპონატების მოძიების კუთხით?

**გურამ ადამაშვილი, „საქართველოს ხელოვნების კომპანია“:**

„1990-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს მასშტაბით არსებული მუზეუმებიდან მოპარულია ხელოვნების არაერთი ნიმუში, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მილიონებადაც კი ფასობს. მაგალითად, ეროვნული მუზეუმიდან გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდა არაერთი ფერწერული ტილო, დანყებული ჟან ბატისტ შარდენით და დამთავრებული ადრიან ვან ნიულენდით. სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე ტილოს დაბრუნება მოხერხდა, დანარჩენის ადგილსამყოფელი დღესაც უცნობია. ვფიქრობთ, საქართველოს სამართალდამცველმა უწყებებმა ახლა მაინც უნდა გააააქტიურონ მუშაობა უნიკალური ნივთებისა და ფერწერული ტილოების მოძიების კუთხით. ყველა ეს ნივთი ძიებაზე უნდა გადაეცეს ინტერპოლის ცენტრალურ ბიუროს. ეს არის ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც, სამწუხაროდ, არც ერთი ხელისუფლების დროს განსაკუთრებული ყურადღება არ ეთმობოდა“.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ჯერ კიდევ ადეიშვილის მინისტრობის დროს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ შეისწავლა ისტორიისა და კულტურის ძეგლების დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევები. შედეგები კი საკმაოდ არასახარბიელო აღმოჩნდა.

ჩვენ შევეცადეთ, მკითხველისთვის დაახლოებითი წარმოდგენა მაინც შეგვექმნა, თუ რა სახის კულტურული ფასეულობის ნივთებზეა საუბარი. მანამდე კი გეტყვით იმას, რომ საქართველოში ამჟამად, 193 მუზეუმი თუ სამუზეუმო გაერთიანებაა რეგისტრირებული. 90-იან წლებიდან მოყოლებული ეს დაწესებულებები ერთმანეთის მიყოლებით იძარცვებოდა, დაწყებული ეროვნული მუზეუმიდან, დამთავრებული დადიანების სასახლით. სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა დღემდე გაუხსნელია. მაგალითად: ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ქურდობა ყვარელში (გაქურდულია სამჯერ), აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის ქურდობა სხვიტორში (გაქურდულია სამჯერ), კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმის ქურდობა (გაქურდულია ორჯერ) და ა.შ.

გატაცებული ისტორიული და კულტურული ფასეულობებით, ზოგ შემთხვევაში, ღიად ვაჭრობენ არა მარტო საზღვარგარეთ (ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმიდან გატაცებული ოქონის ხატის გახმაურებული ისტორია აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა), არამედ ქვეყნის შიგნითაც, საკომისიო მაღაზიებსა თუ სახელდახელოდ გამართულ ბაზრობებზე. სამწუხაროდ, დღემდე ისიც კი არ არის სრულყოფილად მოძიებული და აღწერილი, რა დაიკარგა ბოლო 15-20 წლის განმავლობაში.

ჩვენი ინფორმაციით, 1990-2008 წლებში ოფიციალურად რეგისტრირებულია მსგავსი კატეგორიის 80 დანაშაული, თუმცა ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ეს ციფრი არაზუსტია. აღმოჩნდა, რომ იმ უწყებებში, რომელთა კომპეტენციაშიც შედის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, წლების განმავლობაში ინფორმაციული ვაკუუმი ყოფილა. ბევრ მათგანს არაფერი სმენია ისეთ რეზონანსულ ფაქტზეც კი, როგორიცაა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის გაძარცვა. ცნობილია, რომ 1991-1994 წლებში ეს მუზეუმი არაერთგზის გაიქურდა და დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მარტო ამ ერთი განძთსაცავიდან 14 ფერწერული ტილო გაიტაცეს, მათ შორის მსოფლიო კულტურის ისეთ აღიარებულ მოღვაწეთა შედევრები, როგორიცაა: ჟან ბატისტ შარდენი, ადრიან ვან ნიულენდი, ლუკას კრანახ უფროსი, ანჟელიკა კაუფმანი, იაკობ ვან რეისდალი, ბენუა, პეროვი, აივაზოვსკი, მალიავინი და სხვა. სულ 14 ფერწერული ტილო. აქედან მხოლოდ ორი ექსპონატის დაბრუნება შეძლეს სამართალდამცავებმა, მათ შორისაა ლუკას კრანახის ტილო. დანარჩენი 12 შედევრის ადგილსამყოფელი, რომელთა საერთო ღირებულება მილიონობით ლარს შეადგენს, დღემდე უცნობია.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის შესაბამისად მოქმედებს ძეგლთა აღრიცხვის რეესტრი, თუმცა აშკარაა, რომ რიგი სახელმწიფო უწყებები ამ კანონს ან არ, ან ვერ ასრულებენ. კერძოდ, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 2008 წლის

**„ყველა აუქციონს უნდა გაეგზავნოს ამ ნამუშევრების ჩამონათვალი და ფოტოები, რადგან ოფიციალურად არ მოხდეს მათი გადაყიდვა“**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნარეზული ძედვრები

ოქტომბერში, მთავარმა პროკურატურამ თხოვნით მიმართა რამდენიმე უწყებას, მოეწოდებინათ ინფორმაცია, მათ დაქვემდებარებაში შემავალი დაწესებულებებიდან 1990-2008 წლებში ისტორიული და კულტურული ფასეულობების გატაცების, აგრეთვე, მათი დაზიანება-განადგურების ფაქტების შესახებ.

ჩვენ დავინტერესდით, რომელმა უწყებამ რა უპასუხა ამ მიმართვაზე. აი, მაგალითად, საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა პროკურატურას ატყობინებდა, რომ 1990-2008 წლებში მათთან „ისტორიული და კულტურული ფასეულობების გატაცების, აგრეთვე, მათი დაზიანება-განადგურების ფაქტები არ მომხდარა“. ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკარები ან აშკარა ტყუილს ამბობენ, ან საერთოდ ვერ ერკვევიან საკითხში. მათი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, რადგან ვინმე აქირთავა სამართალდამცველების მიერ 2007 წელს სწორედ ეროვნული ბიბლიოთეკიდან 5000 ლარად შეფასებული, განსაკუთრებული ისტორიული ღირებულების მქონე წიგნის ქურდობაში იქნა მხილებული.

კულტურის სამინისტროს პასუხიდან კი ირკვევა, რომ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ნიმუშების ჩამონათვალი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე მილიონს აჭარბებს, მათ უწყებაში არ ინახება. ამასვე ადასტურებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას **კულტურის ყოფილი მინისტრი, ნიკა რურუა:**

„ამ ნივთების აღწერა ხდებოდა და ეს ბაზა აქვს ყველა მუზეუმს. თუ თქვენ მეკითხებით, კულტურის სამინისტროში არსებობდა თუ არა ასეთი ჩამონათვალი, გეტყვით რომ – არა და არც ამჟამად არსებობს. ერთიანი ბაზა საკუთრივ აქვთ მუზეუმებს. კულტურის სამინისტროში დაკარგული ნივთების ერთიანი სია ნამდვილად არ არსებობდა არასოდეს“.

მისივე თქმით, მოპარული ფერწერული ტილოების შესახებ სამართალდამცველმა უწყებებმა კიდევ ერთხელ უნდა მიმართონ აუქციონებს და გადასცენ მათ აღნიშნული ტილოების სრული ბაზა, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ ტილოების ოფიციალური გადაყიდვა.

„საქართველოს სამართალდამცველმა უწყებებმა კიდევ ერთხელ ყველა აუქციონს უნდა გაუგზავნოს ამ ნამუშევრების ჩამონათვალი, ფოტოები, რადგან ოფიციალურად არ მოხდეს მათი გადაყიდვა. როგორც წესი, აუქციონებზე ყველაზე ძვირად იყიდება ხოლმე მსგავსი ფასეულობები. მათი საქმის კურსში ჩაყენება, რომ ეს ნამუშევრები რეალურად არის მოპარული და ეკუთვნის საქართველოს, კარგი იქნებოდა. ჩვენ ინტერპოლის წევრი ქვეყანა ვართ და ცხადია, ეს არ უნდა იყოს რთული პროცედურა“, – ამბობს ნიკა რურუა.

ხშირია შემთხვევა, რომ მუზეუმებიდან გაუჩინარებული ექსპონატების საქმეში, უშუალოდ დაწესებულების ხელმძღვანელობის ბრალეულობა იკვეთება. მაგალითად, მარტო ოზურგეთის ისტორიული მუზეუმიდან 1991-2004 წლებში ამავე მუზეუმის დირექტორის მიერ 2000-მდე დასახელების სამუზეუმო ექსპონატი იქნა მითვისებული, კერძოდ: ხმლები, მათ შორის მეფე ერეკლეს ნაქონი, კაჟიანი თოფები, მონეტები, სურათები, ჯვრები და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას ჩოხატაურის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობაზეც, რომლებმაც 2002-2005 წლებში, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, მიითვისეს სამუზეუმო ექსპონატები.

**„საქართველოს მასშტაბით არსებული მუზეუმებიდან მოპარულია ხელოვნების არაერთი ნიმუში, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მილიონებადაც კი ფასობს“**

როგორც წესი, წლების განმავლობაში საკმაოდ დაბალი იყო ამ კატეგორიის დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. სერიოზული პრობლემები იკვეთებოდა დანაშაულებრივი გზით გატაცებული ხელოვნების ნიმუშების დაძებნისა და კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებითაც. ჩვენი ინფორმაციით, 127 ფაქტიდან, ინტერპოლის ბიურო სისხლის სამართლის მხოლოდ 13 საქმეშია ჩართული. ინტერპოლის ბიუროს მიერ არ იძებნება ისეთი უიშვიათესი ექსპონატებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, 1990 წლის დეკემბერში ვანის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმიდან გატაცებული „ნაყოფიერების ღვთაების“ ბრინჯაოს ქანდაკება (ჩვ.წ.აღ-დე III საუკუნე); 1992 წლის აგვისტოში სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის გაძარცვისას გატაცებული ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილოები: „ლურჯა ცხენები“ და „მერი“; 1992 წლის 16 იანვარს ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გაქურდვისას გატაცებული: ჭავჭავაძეების საგვარეულო ჯვარი, საგვარეულო ბეჭედი, მაცხოვრის ხატი და ილიას მეუღლის, ოლღა გურამიშვილის კუთვნილი ოქროს საათი, 1993 წლის 14 ივნისს იმავე მუზეუმიდან ასევე ფარულად გატაცებული გუდიაშვილის ფერწერული ტილო „აჩრდილი“. 1996 წლის 30 აპრილს, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმიდან ფარულად გატაცებული ანტიკური ხანის 73 დასახელების სამუზეუმო ექსპონატები, რომლებიც ეროვნულ საგანძურს განეკუთვნებოდნენ; 2003 წლის 24 აპრილს ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის ე.წ. „ოქროს სეიფიდან“ მოპარული ანტიკური ხანის ოქროს სამკაულები. ეს და მრავალი სხვა უნიკალური ექსპონატი, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ დღემდე არ იძებნება, ვინაიდან ბევრ მსგავს შემთხვევაზე ხანდაზმულობის გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ძარცვა უშუალოდ ეკლესია-მონასტრებიდან ხდება. მაგალითად, 2005 წელს ქვემო ბეთლემის ეკლესიიდან ფარულად იქნა გატაცებული XVIII-XIX საუკუნეებში დაწერილი წმინდა ნიკოლოზის ხატი, რომელიც მოგვიანებით ე.წ. „მშრალი ხიდის“ ბაზრობაზე იპოვეს და ეკლესიას დაუბრუნეს. თუმცა, იმავე წელს ხატი ხელმეორედ გაიტაცეს. 2004-2005 წლებში ამაღლების ეკლესიიდან წმინდა ნინოსა და წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ხატები დაიკარგა; წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან 2004 წელს გაიტაცეს XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილი ჯვარცმის ხატი, ასევე, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიიდან 2006 წელს წმინდა გიორგის XVII საუკუნეში დაწერილო ხატი.

მრავალ კითხვას წარმოშობს უნიკალური ნივთების შემფასებელთა კვალიფიკაცია და ის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც ხდება გატაცებული, დაზიანებული თუ განადგურებული ძეგლების ღირებულების განსაზღვრა. ასე მაგალითად, 2007 წელს 200 ლარად იქნა შეფასებული ბაღდათში, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმიდან მოპარული პოეტის აკვანი. და ეს მაშინ, როდესაც 150 ლარადაა შეფასებული 1999 წელს ზესტაფონის ხელოვნების გიმნაზიიდან გატაცებული ორი ცალი ფანდური. მეტიც, სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმიდან 2002 წელს გატაცებული პირადი ნივთები (ჭურჭელი, ნოხი და ა.შ) მხოლოდ 35 ლარადაა შეფასებული; ზუსტად იმ ფასად, რამდენადაც 2007 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში აფხაზთა საგვარეულო სახლიდან მოპარული 6 ცალი ხის კოჭი; ვანის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმის ექსპონატი „ოქროს სამკაულის საკიდის ნაწილი“, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნით თარიღდება, 2000 აშშ დოლარადაა შეფასებული. მხოლოდ 1500 აშშ დოლარადაა შეფასებული 1990 წელს ამავე მუზეუმიდან მოპარული, ანტიკური ხანის „ნაყოფიერების ღვთაების“ ბრინჯაოს ქანდაკება და სხვა. მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება, რაც ცალსახად მიგვანიშნებს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების როგორც შემფასებელთა კომპეტენცია, ისე შეფასების კრიტერიუმები საფუძვლიან გადახედვას, როგორც მინიმუმ, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას მაინც საჭიროებს.

სამართალდამცველ უწყებებში, განმარტავენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დანაშაულებრივი ხელყოფის ფაქტების აღკვეთისა და ამ სფეროში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის დაკარგული ნივთების მოძიების მიმართულებით.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როგორ გახდა დავით კირვალიძე გელა ხვ…

# „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ „ტრაქტორების საქმეზე“ დაპატიმრებულ ბრალდებულთან

მარიამ ნადირაძე

**ბოლოს და ბოლოს, ამ ინტერვიუთი ჩვენი მკითხველი ყველაფერს დაწვრილებით გაიგებს, რაც მოხდა ე.წ. ტრაქტორების საქმეზე, ვინაიდან ჩვენი რესპონდენტი ამ საქმის ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ პატიმრობა 10-ათასლარიანი გირაოთი შეუცვალეს. შესაბამისად, შესაძლებლობა მოგვეცა, მასთან ექსკლუზიური და საკმაოდ სკანდალური ინტერვიუ შემოგთავაზოთ.**

**ამგვარად, ყოველგვარი წინათქმის გარეშე, ვსაუბრობთ ჩეხური კომპანია „ზეტორის“ წარმომადგენელთან საქართველოში და ამავდროულად შპს „ტექაგროსერვისის“ მენეჯერთან, ბატონ გია ქაიხოსროშვილთან:**

– სამი წელია, ამ კომპანიას წარმოვადგენ საქართველოში და „ზეტორს“ ბოლო დრომდე არც ერთ ტენდერში არ მიაღებინეს მონაწილეობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეზოშიც კი არ გვიშვებდნენ ხოლმე.

**– ასეთი რა დააშავეთ?**

– მოგეხსენებათ, ტენდერები მაშინ მონოპოლიზებული იყო. სოფლის მეურნეობის ტენდერებს ძირითადად ორი კომპანია იგებდა – „ჯი-თი ჯგუფი“ და „მსოფლიო ტექნიკა“. ზოგიერთი ინფორმაციით, ერთს გიგი უგულავა ლობირებდა, მეორეს – ვანო მერაბიშვილი.

**– როდის დაიწყო თქვენი ურთიერთობის დათბობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან?**

– არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, მაგრამ მაშინ პრემიერ-მინისტრი ჯერ კიდევ ნიკა გილაური იყო. ის ვიზიტად ჩავიდა ჩეხეთში და ჰქონდა შეხვედრა „ზეტორის“ ხელმძღვანელებთან, სადაც მათ შესთავაზა, საქართველოში ჩამოსულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში. ასეც მოხდა. „ზეტორის“ ხელმძღვანელები ჩამოვიდნენ, შეხვედრა ჰქონდათ ეკონომიკის სამინისტროში, სოფლის მეურნეობის სამინისტროში და რა თქმა უნდა, შეხვედრა უნდა დაგეგმილიყო შპს „მექანიზატორის“ დირექტორთანაც, რომელიც იმ დროისთვის გახლდათ თეთვაძე (მოგვიანებით, „ტრაქტორების“ საქმეში თეთვაძე უკვე ახალი დირექტორის, ვაჟა ნახუცრიშვილის მოადგილეა. – მ.ნ.). როდესაც მას დავუკავშირდით, ბოდიში მოგვიხადა, ვანო მერაბიშვილთან მაქვს შეხვედრაო. როცა დაგვირეკა, მართალია, საღამო იყო, სტუმრები სასტუმროში გვყავდა უკვე მიყვანილი, მაგრამ, მათივე თანხმობით, ეს შეხვედრა შედგა. შევთანხმდით, რომ „ზეტორს“ სპეციფიკაციები უნდა წარედგინა და ამიერიდან მონაწილეობა მიეღო ტენდერებში. თუმცა მას შემდეგ, ძველი ხელისუფლების პირობებში, ასეთი ტენდერი აღარ დაგეგმილა.

**– თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, პირველი ინფორმაცია წარსადგენი ტრაქტორების სპეციფიკაციების შესახებ თქვენ ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების პირობებში მიიღეთ...**

– ეს არჩევნების შემდეგ მოხდა, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ძირითადი ხელმძღვანელი რგოლი ისევ ძველი სახით იყო. შესაბამისად, თეთვაძეც ჯერ თავის პოზიციაზე რჩებოდა. ამ ინფორმაციაში აისახა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინტერესებული იყო ტრაქტორებით, რომლის ცხენის ძალა 110 იყო. სხვათა შორის, მოგვიანებით, ჩვენებებში თეთვაძე ხაზს უსვამს, რომ ამ ინფორმაციის გამოგზავნა ჩვენთან მისთვის დეპარტამენტის უფროსს, კონსტანტინე ხუცაიძეს მოუთხოვია. საინტერესოა, ისედაც რატომ არ უნდა გამოეგზავნა? ჩვენ მზად ვიყავით, ასეთი ტრაქტორის სპეციფიკაციები წარმოგვედგინა. ამის შემდეგ სამინისტროში მოდის მინისტრად კირვალიძე თავისი გუნდით.

**– მის გუნდში შედის კონსტანტინე ხუცაიძეც?**

– დიახ.

**– სხვათა შორის, პროკურატურის მთელი ბრალი ამ საქმეში თქვენი და კონსტანტინე ხუცაიძის ნათესაურ კავშირზეა აგებული, რაც თითქოს გახდა იმ „შეთქმულების“ საფუძველი, რომელმაც ასეთი სკანდალური სახე მიიღო...**

**რა გარიგებაში ადანაშაულებენ იტალიელები უგულავასა და მერაბიშვილის დალობირებულ კომპანიებს?**

– პროკურატურა იმასაც ამბობს, რომ თითქოს მექანიზატორის ახალი დირექტორი, ვაჟა ნახუცრიშვილი ჩემი ცოლისძმაა. ეს არის სრული აბსურდი და არა მგონია, ასეთი „ნათესაური კავშირების“ დადგენით შორს წავიდეს გამოძიება. მე ამ სფეროში ბევრ ადამიანს ვიცნობდი. ახლა რომ აპელირებენ, თითქოს რაღაც კავშირი მქონდა კირვალიძესთან, ეს აბსურდია. მე წინა ხელისუფლების პირობებში მინისტრებთან, მოადგილეებთან, დეპარტამენტის უფროსებთან უფრო მეტად ხშირი ურთიერთობა მქონდა, ვიდრე ახლა. ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ შულავერში მაქვს ჩემი კერძო მეურნეობა და როცა გოროზიას, კვეზერელს, ცინცაძესა და სხვებს სტუმრები ჩამოსდიოდნენ, მათ შორის უცხოელი ჟურნალისტებიც, ჩემს მეურნეობაში მოჰყავდათ ხოლმე საჩვენებლად. ასე გავიცანი თავის დროზე „მექანიზატორის“ მაშინდელი ხელმძღვანელი თეთვაძეც, რომელიც ამ სისხლის სამართლის საქმეში საკმაოდ საინტერესო პერსონად გვევლინება.

**– რა მხრივ?**

– სწორედ თეთვაძე გამოთქვამს ეჭვს, რომ თითქოს კონსტანტინე ხუცაიძის დავალებით შეიცვალა სპეციფიკაციები და მოითხოვა ტრაქტორები 110 ცხენის ძალის ნაცვლად, 115 ცხენის ძალით და ზემოთ. შემდეგ ამაზე ააგო გამოძიებამ ყველაფერი, რომ თითქოს ეს ყველაფერი ჩემი და ხუცაიძის ინტერესების გამო მოხდა.

**– სინამდვილეში რატომ შეიცვალა? გამოძიება ამაში დაინტერესებას ნამდვილად ხედავს...**

– ვერ გეტყვით, ეს ჩემი კომპეტენცია სულაც არ არის, ამ სპეციფიკაციებს მისი დამდგენი კომისია ადგენდა. თუმცა, ამ კომისიის წევრები მოგვიანებით განმარტავდნენ, რომ ვინაიდან სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი ასეთი მნიშვნელოვანი იყო, უნდა დარიგებულიყო ვაუჩერებიც, არ იყო გამორიცხული, რომ გლეხებს ყამირი მიწების მოხვნაც მოენდომებინათ. ამიტომაც ამ საქმეს უფრო ძლიერი ტექნიკა დასჭირდებოდა, უფრო მაღალი ცხენის ძალით.

**– ბატონო გია, მაქვს ინფორმაცია, რომ სამინისტრომ დილერებთან ურთიერთობა არ ისურვა და პირდაპირ მწარმოებელზე გასვლა ითხოვა...**

– ასეთი რამ გაცხადდა პირველ შეხვედრაზე სამინისტროში. თითქმის ყველა წარმომადგენელიც იყო. იყო „ჯი-თი ჯგუფიც“, „მსოფლიო ტექნიკაც“, იტალიური „ნარდიც“ და სხვ. მათგან მარტო „მსოფლიო ტექნიკის“ ხელმძღვანელს ვიცნობდი, რომელიც მანამდე ვიცოდი, რომ მსგავს ტენდერებში წარმოადგენდა გერმანულ მწარმოებელ კომპანია „კლასს“. სწორედ ამ შეხვედრაზე გვითხრეს, რომ სამინისტრო პირდაპირ კონტაქტზე აპირებდა გასვლას მწარმოებელზე.

**– თანხების ეკონომიის მიზნით?**

– ალბათ. ამან დილერების უკმაყოფილება გამოიწვია, ვინაიდან საშუამავლოს მიღების შესაძლებლობა მოგვისპეს.

**– გამოდის, რომ წარმომადგენლებს დაინტერესება აღარ რჩებოდათ...**

– რჩებოდა ერთადერთი დაინტერესება, რომ თუ კომპანია გაიმარჯვებდა, რომელსაც წარმოვადგენდით, მის ტექნიკაზე სერვისი ჩვენი გახდებოდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გამარჯვებული კომპანია სხვას რატომ ანდობდა სერვისს?

**– ეს ინტერესი სხვანაირად იკვეთება სისხლის სამართლის საქმეში. ივანიაძე თავის ოფიციალურ ჩვენებაში ხაზს უსვამს, რომ ამ სეგმენტში დიდი ფული კეთდება...**

– სიცრუეა ეს. თავად განსაჯეთ, შეიძლებოდა მთელი ეს შეთქმულება იმიტომ დაგეგმილიყო, რომ, ვთქვათ, გია ქაიხოსროშვილს ხელფასი მომატებოდა? თან ესეც არავინ იცის დაზუსტებით, ასე მოხდებოდა თუ არა... ყოველ შემთხვევაში, ხელფასი იმდენით არ გამეზრდებოდა, რომ კიდევ ვილაცისთვის ფული მეხადა. გამოძიება კი ამას ისე წარმოადგენს, რომ თითქოს ორი კომისია იმიტომ შეიქმნა, რომ მერე მე მისი წევრებისთვის რაღაც უნდა მეხადა.

**– და ასე თუ მოხდებოდა, რამდენით გაიზრდებოდა თქვენი ხელფასი?**

– მაქსიმუმ, 300 ლარით, შეიძლება პრემია ყოფილიყო, შეიძლება – არც არაფერი... კაცმა არ იცის...

**– თუმცა, არსებობდა სხვა ეჭვიც, რომ რეალურად თქვენ „ტექაგროსერვისის“ მენეჯერი კი არა, მისი დამფუძნებელი ხართ, ანუ ის თქვენი საკუთრებაა.**

– სიცრუეა. ამ ფირმას ჰყავს თავისი დამფუძნებელი, რომელიც იმავდროულად დირექტორიც არის. ის მამაჩემის მეგობარი იყო და მე მერე გვერდით დავუდექი.

**– მაგრამ „ზეტორის“ გამარჯვების შემთხვევაში მამათქვენის მეგობრის ფირმა რამდენი ხნის განმავლობაში იღებდა სამუშაოს ამ ტრაქტორების სერვისზე?**

– ტრაქტორები შემოვიდა 2 წლის გარანტიით. სხვათა შორის, ამაზეც დიდი დავა იყო მწარმოებელთან. მანამდე ყველა მწარმოებელს ტექნიკა მხოლოდ ერთი წლის გარანტიით შემოჰქონდა. თუმცა, ამ შემთხვევაში სამინისტრომ პირობა ორი წლის გარანტიაზე წამოაყენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობას ვერ მივიღებდით და ბოლოს ყველა წამოვიდა ამ პირობაზე – „ზეტორიც“, გერმანული „კლასიც“ და „ნიუ ჰოლანდიც“ (ეს უკანასკნელი სწორედ ის კომპანიაა, რომელიც გამოთქვამს პრეტენზიას, რომ მას იგივე შესაძლებლობების ტრაქტორების შემოყვანა გაცილებით დაბალ ფასში შეეძლო, თუმცა ამის შესახებ ქვემოთ უფრო კონკრეტულად გიამბობთ. – მ.ნ.).

**– თუ ყველა თანაბარ პირობებში იყავით, რამ გაანაწყენა თქვენი კონკურენტები და კონკრეტულად ვინ იყო მომჩივანი?**

– კონკრეტული მომჩივანი არსად ჩანს. თუმცა, რამდენიმე დეტალზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. როდესაც მწარმოებელთა წარმომადგენლები პირველად დაგვიბარეს, გვერდზე გამიხმო „მსოფლიო ტექნიკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ახლანდელმა თავმჯდომარემ, ზვიად ბრეგვაძემ და მითხრა, თუ აქ დაიწყებენ დაბლოკვებს, პირდაპირ მისასვლელი გზა მაქვს ბიძინა ივანიშვილთანო და დამაკავშირებლად დაასახელა გელა ხვედელიძე, გაიჟღერა ნოდარ ჯავახიშვილის სახელმაც.

**– სხვათა შორის, ეს სახელი და გვარი ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა გააჟღერა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და ჟურნალისტებს მოუწოდა, დაინტერესებულიყვნენ ამ პიროვნებით...**

– ზვიად ბრეგვაძე წლების განმავლობაში წარმოადგენდა გერმანულ კომპანია „კლასს“, რომელიც წინა წლებში „ჯი-თი ჯგუფთან“ ერთად იგებდა სხვადასხვა ტენდერებს... სხვათა შორის, როგორც მერე გაირკვა, ზვიად ბრეგვაძე „კლასს“ გაუგდია.

**– რატომ?**

– ალბათ, ჰქონდა მიზეზი, ამაზე აღარ დავკონკრეტდები.

**– თუ „კლასის“ წარმომადგენელი არ იყო, ამ შეხვედრას რატომ ესწრებოდა?**

– ამ შემთხვევაში ის მონაწილეობდა გუთნებისა და მისაბმელების ნაწილში. სხვათა შორის, ადრე მე მომიტანა „მსოფლიო ტექნიკამ“ კულტივატორი ჩემი მეურნეობისთვის, რომელსაც თავისი ერთი ნაწილი აღარ უყენია. ყველაფერი გაფუჭდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ზვიად ბრეგვაძეს დაპირისპირება ჰქონდა სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძესთან...

**– სქემა ასე უნდა გავიგოთ: ბრეგვაძისა და ხვედელიძის კავშირი მიგვანიშნებს დავით კირვალიძის წინააღმდეგ აგორებული სკანდალის მიზანმიმართულობაზე?**

– მე ვერაფერს გეტყვით. დასკვნები თავად გამოიტანეთ.

**– და მაინცდამაინც თქვენ რატომ გიხმოთ ამ შეხვედრაზე ზვიად ბრეგვაძემ?**

– ვიცნობდით ერთმანეთს და პოზიცია გამიზიარა. ამას გარდა, მე მქონდა ინფორმაცია, რომ „ჯი-თი ჯგუფს“ ისევ ლობირებდნენ...

**– ვინ?**

– ისევ ის ხალხი, ვინც წინა წლებში ლობირებდა. სამინისტროშიც და „მექანიზატორშიც“ იყო ხალხი დარჩენილი, ვისაც ამ კომპანიასთან სერიოზული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ელდელიძის „მსხვერპლი“? – სქემა იკვეთება!

**„ნასჯდკა“, რომელთანაც ჩემამდე ივანიაძე იჯდა, მეუბნებოდა, შენ და ვაჟა ნახუცრიშვილს არაფერი გიშველით ერთადერთი რამის გარდა, კირვალიძეს შენ დაადო ხელი, ნუ ჩაყვები საფლავშიო“**

**„პროკურატურა იმასაც ამბობს, რომ თითქოს „მექანიზატორის“ ახალი დირექტორი, ვაჟა ნახუცრიშვილი ჩემი ცოლისძმაა. ეს არის სრული აბსურდი და არა მგონია, ასეთი „ნათესაური კავშირების“ დადგენით შორს წავიდეს გამოძიება“**

გია ქაიხოსროშვილი




ურთიერთობა ჰქონდა.

**– კორუფციულ ურთიერთობას გულისხმობთ?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ, როგორც ვიცი, არსებობს ჩანაწერი, სადაც ასახულია დიალოგი ზვიად ბრეგვაძესა და „მექანიზატორის“ ყოფილი დირექტორის მოადგილეს შორის. ეს ჩანაწერი სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად მიიღო და ყველაფერი სასამართლოში არსებითი განხილვის დროს გაირკვევა.

**– ბოლოს და ბოლოს, „ზეტორის„ გამარჯვება ტენდერში ბრეგვაძემ გაასაჩივრა?**

– ზუსტად ვერ გეტყვით, თუმცა იყო ასეთი ნიუანსიც: ერთ დღეს დამირეკა „ჯი-თი ჯგუფის“ წარმომადგენელმა და მითხრა, ვამზადებთ საპრეტენზიო ნერილს და მობრძანდით ხელის მოსაწერადო. როდესაც მივედი და შინაარსს გავეცანი, მივხვდი, რომ ჩემთან შეცდომით დარეკეს, ვინაიდან იქ წარმოდგენილი წერილის შინაარსი ზუსტად ის იყო, რაც შემდგომ გამოძიებამ ბრალად წარმოადგინა. განსაკუთრებით აქტიურობდა იქ ზვიად ბრეგვაძე. ხელი რამდენიმე კომპანიამ არ მოაწერა ხელი. რა თქმა უნდა, მათ შორის ვიყავი მეც.

**– მერე როგორ განვითარდა მოვლენები?**

– რეკომენდაციების კომისიამ გასცა რეკომენდაცია სპეციფიკაციებზე და შემდეგ ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ფასსა და ვადებს. შეიკრიბა შესყიდვების კომისია და სახელმწიფო კანცელარიიდან მოიწვიეს გიორგი ქარსელაძე მთავარ შემსყიდველად. ქარსელაძემ მართლა ისე იბრძოლა ყველა მწარმოებელთან სათითაოდ, რომ მინიმალურ ფასებზე წამოიყვანა ყველა. მაგალითად ჩემები მეუბნებოდნენ, ყველაზე დაბალი ფასი დავუდეთ და იმაზეც გვევაჭრაო. ვთქვათ, ასე: ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, რომ ტრაქტორები ადგილზე უნდა ყოფილიყო 1-ელ აპრილს. ყველა მწარმოებელს ეკითხებოდა, ამ ვადაში რამდენი ტრაქტორის მოწოდებას შეძლებდა რეალურად. ჩვენებმა ითხოვეს კიდევ ერთი კვირის დამატება, რომ 50 ტრაქტორის ჩამოყვანა შეძლებოდათ. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაშიც კი 200 ევროთი დააწევინა ფასი. ისე, თუ გინდათ სიმართლე, როგორც ირკვევა, „ზეტორი“ სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ამ პროექტში. როგორც ირკვევა, ქარსელაძეს უნდოდა, რომ მთელი ლოტი ერთ კომპანიას აეთვისებინა და არჩევანი გერმანულ „კლასზე“ ჰქონდა შეჩერებული. მაგრამ ამ კომპანიამ მოთხოვნილ ვადაში ვერ მოახერხა 160 ტრაქტორის გარანტიის მიცემა, მხოლოდ 110-ზე შეთანხმდნენ და ამიტომაც მოუხდა კომისიას დარჩენილი 50-ის „ზეტორით“ შევსება. საბოლოოდ კი გაირკვა, რომ „კლასის“ ტრაქტორებმა ჩამოსვლა 2 თვით მაინც დააგვიანა. არადა წინასწარ ვიყავით ყველა გაფრთხილებული, რომ ადგილი არ ჰქონოდა რაღაც ეშმაკობებს.

**– კონკრეტულად რას?**

– ვადის გადაცილებაზე იდებოდა ჯარიმები. თუმცა ზოგჯერ მწარმოებელს აწყობს, გადაიხადოს ჯარიმა და ამის ფასად უფრო მეტი ტექნიკის რეალიზება მოახდინოს.

**– გამოდის, რომ შესყიდვების კომისიამ არჩევანი მაინც უფრო ძვირადღირებულ ტექნიკაზე შეაჩერა. რამდენადაც ვიცი, „კლასის“ ფასი თქვენს ფასს 3000-ით აღემატებოდა...**

– მართალი ბრძანდებით და ჩვენ აუცილებლად ვიბრძოლებთ, გავარკვიოთ, რატომ გააკეთეს ეს არჩევანი და რატომ აზარალეს ბიუჯეტი ამ სხვაობით.

**– ანუ იგივეს გაკეთებას აპირებთ, რაც „ნიუ ჰოლანდის“ წარმომადგენელმა თქვენი მისამართით გააკეთა?**

– აქ დიდი სხვაობაა. „ჯი-თი ჯგუფი“ საქართველოს სთავაზობდა 110-ცხენისძალიან თურქული წარმოების ტრაქტორს 28500 ევროდ. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ მოთხოვნებში იდო კონდიცირება, სიმძიმეები და გარკვეული ტიპის დისკები, რაც თითქმის 3000 ევროთი სწევდა ფასს ზევით. ეს არც ერთი არ გააჩნდა ამ თურქულ ტრაქტორებს. ჩვენი და „კლასის“ შემთხვევაში კი თანაბარი შესაძლებლობებით ვიყავით წარმოდგენილნი, მაგრამ შესყიდვების კომისიამ გაცილებით ძვირ შემოთავაზებაზე გააკეთა არჩევანი და ამით დაახლოებით 300 ათასი ევროთი იზარალა ბიუჯეტმა. კიდევ ერთი საკითხი, საიდან მოიტანა ეს ფასი – 28500 ევრო „ჯი-თი ჯგუფმა“, ვინ მოითხოვა, ან ვინ განიხილა ეს ფასი? ან ვის შესთავაზეს? ასეთ ტექნიკას ჩვენ იქნებ უფრო ნაკლებ ფასად ვაძლევდით სახელმწიფოს?

**– სისხლის სამართლის საქმეში არის ერთი საინტერესო ციფრი – 2 მილიონი, რომლითაც თურმე სახელმწიფო ბიუჯეტმა იზარალა ამ „შეთქმულებით“. თუ თქვენ მხოლოდ 50 ტრაქტორი შემოიყვანეთ და თუნდაც „ნიუ ჰოლანდის“ 110-ცხენისძალიან ტრაქტორებთან თქვენი ტექნიკის ფასის სხვაობა 5000 ევროს არ აღემატება, გამოდის, რომ სახელმწიფოს 250 ათასი უნდა ეზარალა და არა 2 მილიონი. საიდან მოვიდა ეს ციფრი?**

– ვერ გეტყვით. უფრო მეტიც, გამოძიება საერთოდ არ ახსენებს მთავარ გამარჯვებულს – „კლასს“, რომლის ფასიც იგივე გათლით „ნიუ ჰოლანდთან“ შედარებით 8000 ევროთი მეტი იყო. ამ შემთხვევაში იგივე ლოგიკით სახელმწიფოს უნდა ეზარალა 880 ათასი ევრო. გამოდის, რომ „კლასის“ ტრაქტორებიც ჩვენ მიგვათვალეს იმ დროს, როდესაც ამ კომპანიის ხსენებაც არ არის საქმეში? სხვათა შორის, იტალიური კომპანია „ნარდი“ ამზადებს სარჩელს შარშან ჩატარებულ 17-მილიონიან ტენდერზე, რომელიც „მსოფლიო ტექნიკამ“ და „ჯი-თი ჯგუფმა“ გაიყვეს. ამ ტენდერში „ნარდი“ იგივე სახის ტექნიკას საქართველოს 13 მილიონად სთავაზობდა. არჩევანი კი 4 მილიონით ძვირადღირებულ ტექნიკაზე შეჩერდა რატომღაც.

**– ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რატომ უვლის გამოძიება გვერდს „კლასს“?**

– ვერ გეტყვით.

**– ესეც ზვიად ბრეგვაძის დამსახურებაა? ის ხომ წლების განმავლობაში ამ კომპანიას წარმოადგენდა?**

– დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით. დასკვნები თქვენმა მკითხველმა გააკეთოს.

**– ბატონო გია, მოდით, კონკრეტულ ბრალებზე გადავიდეთ. გამოძიება თქვენ ექსპერტებზე ზეწოლაში გადანაშაულებთ. რაში გამოიხატებოდა ეს?**

– როდესაც შევიტყვე, რომ ექსპერტიზა ჩატარდა და ექსპერტების ვინაობაც გაირკვა – ბედია და შაფაქიძე, რომლებიც წერდნენ, რომ თურმე „ზეტორს“ უფრო დაბალი წონა აქვს, ვიდრე „ნიუ ჰოლანდის“ თურქულ ტრაქტორს და იმიტომ ბუქსაობს. შაფაქიძე არის ჩემი მასწავლებელი და მე მასთან მივედი, როგორც ჩემს მასწავლებელთან, რომ გამერკვია, რა მონაცემებს დაეყრდნო. იქვე იყო ბედიაც. შაფაქიძემ ეგრევე ზვიად ბრეგვაძის გინება დაიწყო, ეს რა მიქნა, სად გამაყოფინა თავი, მე რა მინდოდა აქ ექსპერტადო.

**– აქ ბრეგვაძე რაღა შუაში იყო?**

– გამოძიებას, ანუ ანტიკორუფციულ დეპარტამენტს, რომელსაც გელა ხვედელიძე ხელმძღვანელობდა, ზვიად ბრეგვაძემ ექსპერტად შესთავაზა შაფაქიძე. ბოლოს გამომიტყდა შაფაქიძე, ეს მონაცემები გამოძიებამ დამიდო. არც ერთი მწარმოებლის სახელი არ ვიცოდით, უბრალოდ ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა დაგვეწერა, რომელი ტრაქტორი აჯობებდაო.

**– თქვენი მომდევნო ბრალია მონაცემების გაყალბება, ანუ საქმე ეხება „ზეტორის“ საიტზე მონაცემების გაქრობას თქვენი სატელეფონო კავშირის შემდეგ ჩეხურ მხარესთან...**

– ამ საიტზე, როგორც სხვა ევროპელი მწარმოებლების საიტზე, მითითებულია ორი სტანდარტი. ერთ-ერთია ISO, რომლის მიხედვითაც ის ტრაქტორი, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ, 117 ცხენის ძალით არის წარმოდგენილი. მეორე სტანდარტით სხვა ციფრი წერია. ეს იგივეა, რომ ტემპერატურა ფარენგეიტით სხვანაირად გამოისახება, ცელსიუსით კი – სხვა ციფრით. ამაში ვერ გაერკვნენ „მექანიზატორში“ და მთხოვეს ჩეხურ მხარესთან დაკავშირება. მათ ყველაფერი ახსნეს და საბოლოოდ, რაკი ჩათვალეს, რომ ეს გაუგებრობას იწვევდა, მეორე სტანდარტი მოგვიანებით საერთოდ ამოიღეს საიტიდან. ეს ყოფილა თურმე გაყალბება. თუმცა ჩეხური მხარის გადაწყვეტილებასთან მე კავშირი საერთოდ არ მქონია.

**– ბატონო გოგი, რატომ ამბობს გამოძიება, რომ „ზეტორს“ დაბალი რეპუტაცია აქვს?**

– გამოძიებას სწორედ ასე უნდა მისი წარმოდგენა, რომ მთელი შეთქმულების თეორია ამაზე ააგონ. დაინტერესებული პირები ყველაფერზე მიდიოდნენ. იმისთვის, რომ დაედასტურებინათ, თითქოს ჩვენი ტექნიკა არ ვარგოდა, საბოტაჟებზე მიდიოდნენ – სადღაც სიჩქარის კოლოფი ჩაიშალა და შემდეგ ევროპული ექსპერტიზის დასკვნით გაირკვა, რომ იქ უცხო მეტალის ნაწილაკები აღმოჩნდა, სადღაც – რკინა ჩაადგეს და ა.შ. ყველაფერზე მიდიოდნენ, ჩვენი ტრაქტორები მწყობრიდან რომ გამოეყვანათ, და ამით ხაზი გაესვათ, რომ ისინი უვარგისები იყო და შემდეგ ეყვირათ, – აი, რაში გადაიხადეს ამხელა ფული იმ დროს, როდესაც „ნიუ ჰოლანდი“ 5000-ით ნაკლებს სთავაზობდაო. მთელი ჩანაფიქრი ეს იყო.

**– თქვენ, სხვებთან ერთად, დაგაკავეს, მაგრამ ყველაზე გვიან გამოგიშვეს. „მექანიზატორის“ დირექტორის მოადგილე ივანიაძე თავისუფლებაზე გამოსვლის შემდეგ პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე ალაპარაკდა. თქვენზეც იყო ასეთი ზეწოლა?**

– არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორ თვე-ნახევარში შვიდი კამერა მომატარეს.

**– რატომ?**

– ვერ გეტყვით, ალბათ, იმიტომ, რომ ეს იყო ზეწოლის ერთგვარი სახეობა. მოვხვდი კამერებში, სადაც ჩემს თვალწინ პატიმრები საკუთარი ხელით იჭრიდნენ ვენებსა და მუცელს.

**– რატომ?**

– სხვადასხვა მოთხოვნებით. ძირითადად ფსიქოტროპულ წამლებს ითხოვდნენ. მთელი ციხე გაბრუებული დადის. ბოლოს შემიყვანეს ერთ კამერაში, სადაც ერთი კაცი დამხვდა. თავშივე გავარკვიე, რომ „ნასედკა“ იყო. ზეპირად იცოდა ჩემი საქმე. რომ გავიკვირვე, მითხრა, აქ შენს მოსვლამდე ივანიაძე იჯდა და მისგან ვიცი ყველაფერიო. ეს ის დრო იყო, როცა ივანიაძე გაათავისუფლეს და არავინ ვიცოდით, რა ჩვენება მისცა მან გამოძიებას. ამ „ნასედკისგან“ გავიგე ყველაფერი. მაგან რაც მითხრა, ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა. მითხრა, ხვალ კოტე ხუცაიძეს დაიჭერენო და მართლა ასე მოხდა. როგორც გაირკვა, მის წინააღმდეგ ივანიაძეს მიუცია ჩვენება, თუმცა სასამართლომ ის გირაოთი გაუშვა. ეს პატიმარი მეუბნებოდა, შენ და ვაჟა ნახუცრიშვილს („მექანიზატორის“ დირექტორი. – მ.ნ.) არაფერი გიშველით ერთადერთი რამის გარდა, კირვალიძეს უნდა დაადო ხელი, ნუ ჩაყვები საფლავშიო. გადიოდა, შემოდიოდა, თითქოს მირკვევდა რაღაცებს....

**– თავისუფლად დადიოდა კამერის გარეთაც?**

– კი. ბოლოს, რომ მიხვდა, ამის გამკეთებელი არ ვიყავი, აიკრიფა გუდა-ნაბადი და ქსანში გადავიდა.

**– თქვენი გამოშვება თომას ჰამერბერგმა მოითხოვა. როგორ ფიქრობთ, მისი რეკომენდაცია გახდა თქვენთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მიზეზი?**

– რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის მას. სხვათა შორის, როდესაც ჩემთან არასამთავრობოები შემოდიოდნენ, მეკითხებოდნენ, ვის ენდობი – პროკურატურას თუ სასამართლოსო. პროკურატურა რასაც აკეთებს, ყველასთვის ადვილი დასანახია. ნამდვილად არ მინდა ვიფიქრო, რომ ამ ქვეყანაში სამართალი აღარსად აღარ რჩება.

**ვინ არის ზვიად ბრეგვაძე და რა პირდაპირი გზა აქვს მას ბიძინა ივანიშვილთან?**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პატარა პარტიები ივა

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**უმრავლესობას დაშლის ძალიან ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ბაჩო ახალაიას მეუღლემ იხუმრა კიდეც, „ოცნების“ წევრები ყოველ გამამართლებელ განაჩენზე კოალიციას თუ დატოვებენ, მალე ის თვალსა და ხელს შუა შემოგეშლებათო. ახალაიას გამო დაწყებული სკანდალი კოალიციაში ფინანსური „კრიზისის“ თემით გაგრძელდა. კოალიციის უფულოდ დარჩენილი მხარდამჭერი სუბიექტები პარტიების დაფინანსების წესს აპროტესტებენ. კობა დავითაშვილმა თუ გაბედა და საპროტესტო მარშით დატოვა უმრავლესობა, იგივე პროცესს საეჭვოდ წელავს „მწვანეების“ ლიდერი, გია გაჩეჩილაძე. თუმცა მისი შემართება თავიდან არანაკლებ მწვავე იყო. დავითაშვილსა და გაჩეჩილაძეს შორის, პრინციპში, დიდი სხვაობაც არის. დავითაშვილმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე გადადგა ნაბიჯი. თქვა და გააკეთა. გაჩეჩილაძემ კი იბობოქრა და ჯერჯერობით კომენტარისგანაც თავს იკავებს. არადა გაცეცხლებულ გულზე „სამზარეულოდან ამბების“ გამოტანა დაიწყო. აღმოჩნდა, რომ, დაფინანსების გარდა, გაჩეჩილაძე სხვა საკითხებზეც ყოფილა დაბოღმილი. მაგალითად, ის ითხოვდა ევროპის საპარლამენტო დელეგაციის ჯგუფში ჩასმას, იქ ბევრი მეგობარი მყავსო, მაგრამ ამას უმრავლესობაში ყოფნითაც ვერ მიაღწია...**

**გია გაჩეჩილაძე, „მწვანეების“ ლიდერი:**

– პარტიების დაფინანსების შესახებ ახალი კანონპროექტით გადაწყდა, რომ, ვინც დაფინანსებას იღებდა, იმათ დაემატოს და ვინც გარეთაა დარჩენილი, იმათაც მიეცეს. აი, ამ 18 პარტიაში ვერაფრით ვერ მოხვდა „მწვანეთა პარტია“, რომელიც პარლამენტშია წარმოდგენილი. რადგან ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და „მწვანეთა პარტია“ გაწირეს სიკვდილისთვის, შესაბამისად, „მწვანეთა პარტია“ მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. თუ ვინმე იქ ინტრიგებს ხლართავთ, თქვე კაი ადამიანებო, მაშინ უშიშროების სამსახურებმა რეალურად შეისწავლონ, რა ხდება საქართველოში. თუ ვინმე ფიქრობს, „მწვანეთა პარტიას“ დააყენებს განადგურების პირას, იმაზე რატომ არ ფიქრობს, რა რეაქცია მოჰყვება ევროპაში ამას? შეიძლება იციან კიდეც, მაგრამ სპეციალურად აკეთებენ კიდეც. ასეთი დამოკიდებულება გუნდის შიგნით არის შეუძლებელი და თუ ვინმემ დაგეგმა, რომ „მწვანეთა პარტია“ და „სოციალ-დემოკრატიული პარტია“ უნდა გაქრეს ამ ქვეყნიდან, მაშინ ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ისტორიამ აჩვენა, რომ ამას ვერავინ შეძლებს და ნურც იოცნებებთ ამაზე“.

როგორც ამბობენ, ივანიშვილის ურეკის რეზიდენციაში დაფინანსების წესზე საუბრისას გაჩეჩილაძე ყველაზე აღშფოთებული და აგრესიულიც კი ყოფილა. პრინციპში, მწვანეების ლიდერი მხარდაჭერაში ითხოვს ფულს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი რეიტინგით ის ვერც ერთ საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავდა. ზოგადად, ყველა მსგავსი პარტია დღეს ასეთ პოზიციაზეა. ისინი ირწმუნებიან, რომ მხოლოდ და მხოლოდ „ოცნების“ სასარგებლოდ თქვეს უარი საკუთარ მომავალზე და არჩევნებში მონაწილეობაზე... თავად დარწმუნებულები არიან, რომ არჩევნებში ბარიერს არათუ გადალახავდნენ, არამედ სერიოზულ შედეგსაც დადებდნენ. ასე რომ არ არის, ეს ყველამ იცის. მათ შორის თავად ლიდერებმაც, მაგრამ დღეს მათი პოზიცია ასეთია, იმიტომ რომ ასე აწყობთ. როგორც ჩანს, ხმამაღალმა სიტყვებმა შედეგიც გამოიღო და მათ მართლაც დაიჯერეს, რომ რეალურ ძალას წარმოადგენენ. მაგალითად, გია გაჩეჩილაძეს სერიოზულად სჯერა, რომ მის პარტიას ანგარიშსწორებით ემუქრებიან და ამ პროცესს სწორედ დაფინანსების გარეშე დატოვებით იწყებენ. თანაც დარწმუნებულია, რომ უმრავლესობას მსგავსი ნაბიჯის გადადგმის გამო ევროპაში აუცილებლად მოუწევს პასუხის გაცემა. ისტორია საბოლოოდ დაფინანსების მოპოვებით ვერა, მაგრამ უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერისგან ბოდიშის მოხდით კი ნამდვილად დასრულდა.

**ზაქარია ქუცნაშვილი:**

– წარმოდგენილი ფორმულით, იმ პარტიებს, ვინც ხელი არ შეგვიშალა და ამ მიზნით არ გაიარა საარჩევნოდ რეგისტრაცია, პირიქით, ხელი შეგვიწყო, ინდივიდუალურად არ ეძლევათ დაფინანსება. ეს ასეა, მე ვერც ვერაფერს დავამატებ და ვერც გამოვაკლებ. ჩვენ ვამაყობთ და მიგვაჩნია, რომ გია გაჩეჩილაძის სახით პარლამენტს ჰყავს ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული სპეციალისტი გარემოს დაცვის კუთხით. მე ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ ფორმულამ ვერ გაითვალისწინა მხარდამჭერი პარტიების დაფინანსების საკითხი და პრინციპები დარჩა იგივე პრინციპებად. რეგისტრაცია, არჩევნებში მონაწილეობა და შედეგები არის დაფინანსების მიღების განმსაზღვრელი და არა პოლიტიკური მხარდაჭერის კომპონენტი.

გაჩეჩილაძის მსგავსად, დაფინანსების გარეშე დარჩა გია ჟორჟოლიანიც. თუმცა კოლეგასთან შედარებით ჟორჟოლიანი ბევრად მოკრძალებულია. სამაგიეროდ ის თანაგუნდელებს ეჯიბრება და ირწმუნება, ჩვენ ბევრად მეტი მხარდამჭერი გვყავს, ვიდრე ნებისმიერ დაფინანსებამოპოვებულ პარტიებსო... პრინციპში, ამით რესპუბლიკელებსაც წაჰკრა კბილი და არამარტო მათ.

**გია ჟორჟოლიანი, უმრავლესობის წევრი:**

– ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში, ჩვენი საზოგადოება 2010 წელს დაფუძნდა, მაშინ როცა არჩევნები უკვე ჩატარებული იყო. დღეს ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული მხარდაჭერა. ჩვენს პლატფორმას, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც სერიოზული მხარდაჭერა აქვს. ჩვენ თუ მივისწრაფით ევროპისკენ, ევროპა აღიქმება როგორც სოციალ-დემოკრატიულ წესრიგზე დამყარებული. დაფინანსების პრინციპი არის შემდეგი: ეს არის ხალხის ფული და ხალხი ფულს იხდის იმისთვის, რომ განვითარდეს ის პარტიები, რომელსაც ისინი მხარს უჭერენ. ეს არჩევნებიდან არჩევნებამდე იცვლება. დღეს ჩვენს პარტიას აქვს ბევრად მეტი მხარდაჭერა, ვიდრე იმ პარტიებს, რომლებიც დაფინანსებას იღებენ. მაგრამ არსებობს სამართლებრივი პრინციპები, რომელთა შეცვლა საკმაოდ რთულია. თუმცა კარგი იქნება, თუ შეიცვლება. არ ვიცი, როგორ უნდა გაკეთდეს ეს და მიმაჩნია, რომ უახლოეს მომავალში ამის გაკეთება გაძნელდება.

**– ამაზე საუბარი კოალიციაში მიდის?**

– საუბარი იყო ამაზე, მაგრამ სიმართლე გითხრათ, მეც კი არ ვიცი, რაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ცვლილება. არ არის ისე, რომ ჩვენ გვქონდეს რაიმე პრინციპი და უმრავლესობის რომელიმე წევრი გვეწინააღმდეგებოდეს.

**– ცვლილება ხომ თქვენივე ინტერესში შედის?**

– კი, ასეა, მაგრამ არ არის ადვილი, ამის შეცვლა. არჩევნები არის ფორმალური საზომი ამისთვის. ერთი შემიძლია, გავიმეორე, უეჭველია, რომ ჩვენ გვაქვს ბევრად მეტი მხარდაჭერა, ვიდრე დაფინანსებად პარტიებს. შეიძლება რაღაც მექანიზმები შემოვიღოთ, მაგალითად, პარლამენტში წარმომადგენლობის მიხედვით, თუმცა ეს ყველაფერი უნდა გაანალიზდეს. სიმართლე გითხრათ, მე ვიცოდი, რომ ეს ასე დამთავრდებოდა. ჩვენ მცდელობაც გვქონდა, რომ რაიმე ტიპის სამართლებრივი მექანიზმი გვეპოვა მაგრამ ეს ვერ მოვახერხეთ.

**– ვისთან ერთად გქონდათ ამის მცდელობა?**

– მათ შორის უმრავლესობის პარტიებთან ერთადაც, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. მეორე საკითხია, როგორ განვითარდება პოლიტიკური კონიუნქტურა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. თუ რაიმე გზა მოიძებნა ამის შესაცვლელად, რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს დავუჭერთ. მთლიანობაში მგონია, რომ სახელმწიფოსგან პარტიების დაფინანსების ეს პრინციპი მნიშვნელოვნად ასუსტებს საზოგადოებისა და პარტიების ურთიერთობას. სიტყვა პარტია ნიშნავს ნაწილს, იგულისხმება, რომ პარტია არის საზოგადოების ნაწილი. თუმცა მესმის, რომ ადამიანებს არ ჰქონდათ იმედი, რომ მათი აქტიურობა იყო შედეგის მომტანი, ეს პირველი ოქტომბრის შემდეგ შეიცვალა და იმიტომაც არის, რომ ჩვენს პარტიაში ასე გააქტიურდნენ, ცდილობენ თანამშრომლობას და შემოსვლას.

**– რის საფუძველზე ამბობთ, რომ უფრო დიდი მხარდაჭერა გაქვთ, ვიდრე სხვა პარტიებს?**

– ჩვენ გვაქვს შეხვედრები რეგიონებში და ეს კარგად ჩანს. ხალხის განწყობები ემთხვევა სოციალ-დემოკრატების განწყობებს, ჩვენ გვაქვს 30-ზე მეტ რეგიონში რაიონული ორგანიზაციები, ადამიანები თავიანთ სახლებში, მეგობრების სახლებში ხსნიან ოფისებს, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, საკუთარი ინიციატივებით.

**– ასე არ ხდება ხოლმე, როგორც წესი.**

– იმიტომ ხდება ასე, რომ ადამიანები ფიქრობენ, რომ ეს პარტია სწორედ მათია.

**– ასეთი აქტიურობა როდიდან არის?**

– პირველი ოქტომბრიდან.

**– ხომ არ უკავშირებთ ხალხის გააქტიურებას იმ ფაქტს, რომ თქვენ**



## გია ჟორჟოლიანი: „დღეს ჩვენს პარტიას აქვს ბევრად მეტი მხარდაჭერა, ვიდრე იმ პარტიებს, რომლებიც დაფინანსებას იღებენ“

## თემურ შაშიაშვილი: „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემი პარტია და ნინო ბურჯანაძის პარტია ბევრ ხმას ვერ ავიღებდით, ძალიან ცდება. ქუთაისში მე რომ მეყარა კენჭი, „ოცნების“ წარმომადგენელი ვერ გაიმარჯვებდა“

## „ბოდიშს გიხდით იმის გამო, რომ ფორმულამ ვერ გაითვალისწინა მხარდამჭერი პარტიების დაფინანსების საკითხი და პრინციპები დარჩა იგივე პრინციპებად“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კოალიციის უფუღლოდ დარჩენილი მხარდამჭერი სუბიექტები პარტიების დაფინანსების ღეს აპროტესტებენ

**კოალიციასთან ასოცირდებით?**

– და სხვები არ არიან კოალიციასთან? მე არ ვამბობ, რომ სხვებს არ ჰყავთ მხარდამჭერები, უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ხალხი თავისი მოქმედების შედეგს ხედავს.

**– თქვენ ამბობთ, რომ თქვენი ამომრჩევლების რიცხვი ძალიან გაიზარდა, არჩევნებში დამოუკიდებლად გასვლის შემთხვევაში ეს ხომ დაფიქსირდება. არ აპირებთ ცალკე გასვლას?**

– რა თქმა უნდა, დაფიქსირდება. მაგრამ ჩვენ მხარს ვუჭერთ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას. როგორ განვითარდება მოვლენები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და რა კონფიგურაცია შეიქმნება თვითმმართველობის არჩევნებისთვის, ამაზე დღეს საუბარი ნაადრევია. ცვლილებებიც რომ მოხდეს, ჩვენ მზად ვართ, მჭიდროდ ვითანამშრომლოთ კოალიციის წარმომადგენელ პარტიებთან, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სულ სხვა კონფიგურაცია დალაგდეს თვითონ კოალიციის მიერ, შესაძლოა, სხვანაირი დაჯგუფებები იყოს. რა თქმა უნდა, მიმაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატიული წესრიგი იდეალურია ქვეყნისთვის, მაგრამ ასე ყველა არ ფიქრობს, ამიტომ ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან. გარკვეულ ეტაპზე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, საერთაშორისო, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის პლატფორმები შესაძლოა ერთმანეთთან გარკვეულ კონკურენციაში შევიდეს, თუმცა წინ უნდა წამოვიდეს შინაარსი და არა ის, თუ ვინ ვისთან არის, ან ვისი მეგობარია...

**„არ გამოვრიცხავ, რომ სულ სხვა კონფიგურაცია დალაგდეს თვითონ კოალიციის მიერ, შესაძლოა, სხვანაირი დაჯგუფებებიც იყოს“**

**– ხომ არ გეგმავთ ის ძალები, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის გამო, დაფინანსების გარეშე დარჩით, შეიმუშაოთ ცვლილებები და შესთავაზოთ ხელისუფლებას?**

– როგორც გითხარით, ჩვენ გვქონდა ამაზე საუბარი, ალბათ, ამაზე ფიქრი გაგრძელდება, მაგრამ რამდენად იქნება ეს შესაძლებელი უახლოეს პერიოდში, არ ვიცი.

**– თუ მოხდა ისე, რომ კონფიგურაციები შეიცვალა, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ფიქრობთ, რომ ეს თქვენს რეიტინგზე არ იმოქმედებს?**

– კონფიგურაციის შეცვლა გარკვეულ ცვლილებებს მოიტანს ყველასთვის და როგორი იქნება ეს ცვლილებები, ამაზე სჯობს, შემდეგში ვისაუბროთ.

ასევე, დაფინანსების გარეშე დარჩენილი „თეთრების“ ლიდერი მთელ პასუხისმგებლობას უმრავლესობის წევრს, ზაქარია ქუცნაშვილს აკისრებს. მისი ინფორმაციით, ივანიშვილი აღნიშნული წესის წინააღმდეგი იყო, თუმცა საბოლოოდ „ოცნების“ მხარდამჭერი ძალები მაინც აუტსაიდერებად დარჩნენ. შაშიაშვილი ყველაზე მეტად სწორედ ამას ნანობს.

**თემურ შაშიაშვილი, „თეთრების“ ლიდერი:**

– ის პრინციპი, რაც პარტიების დასაფინანსებლად შემუშავდა, არის ზაქარია ქუცნაშვილის სირცხვილი. ამბობენ, რომ ივანიშვილი ძალიან განიცდის ამას და არასწორად მიაჩნია. საქართველოში დაფინანსება ხმების რაოდენობის მიხედვით არ შეიძლება, რადგან, ვინც ხმებს აყალბებდა და ვისაც ამის გამო პასუხი უნდა ვაგებინოთ, სწორედ ისინი იღებენ ფულს. გაგიგიათ ასეთი უზნეობა? თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა მილიონი მისცა ამ პარტიებს და თანაც კოალიციაში მოხვდნენ, დანარჩენებს, ვინც გარეთ აღმოვჩნდით, ომი გამოგვიცხადეს, არ ეკადრება ეს ივანიშვილს. ბიძინა ივანიშვილს ვკითხავდი, სურს თუ არა სამართლიანობის აღდგენა? წინასაარჩევნოდ გამოვიდა და გვითხრა, მოხსენით კანდიდატურები, ნუ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, მომეცით საშუალება, დავასრულო „ნაციონალური მოძრაობაო“. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩემი პარტია და ნინო ბურჯანაძის პარტია ბევრ ხმას ვერ ავიღებდით, ძალიან ცდება. ქუთაისში მე რომ მეყარა კენჭი, „ოცნების“ წარმომადგენელი ვერ გაიმარჯვებდა. მე ამ შემთხვევაში ღირსეული ნაბიჯი გადავდგი. არ დავუპირისპირდი ლევან სანიკიძის შვილს. გამოვიდა, რომ ბიძინა ივანიშვილის მოწოდებას მხარი დავუჭირეთ, 26 მაისის სიმძიმემ ჩვენს ბეჭებზე გადაიარა, ივანიშვილმა თავად აღიარა, რომ 26-მა მაისმა შემოიყვანა პოლიტიკაში და ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ დავრჩით... ჩვენ საკითხს ვაყენებთ ასე: არის მეცნიერებათა აკადემია, მე ვითხოვ, რომ მეცნიერებათა აკადემიამ შეიმუშაოს ზომები, რას ნიშნავს საქართველოში პარტია – იმას, ვინც ხალხი მოატყუა და ამ გზით მიიღო მეტი ხმა, თუ იმას, ვისაც რეალურად აქვს ქვეყნის განვითარების პროგრამები, აქვს ანალიზი და ბევრი ამომრჩეველი ჰყავს. ზოგიერთ პარტიაში ორი-სამი კაცია და იმათ აძლევენ 300-400 ათასს, ეს სირცხვილია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Second Life Weekend Festival

## ანუ მცირე ექსკურსი ეროვნულ ეკონომიკაში

**საქართველოს ერთადერთი გადარჩენის გზა ტურიზმია. არა ისეთი ტურიზმი, მაგალითად, მდიდარი თურქი ბიძია რომ ჩამოვა ბათუმში, კაზინო „მშვიდობაში“ წააგებს 10 000-ს და წავა უკან, პირდაპირ „შერატონიდან“. ქვეყანას გადაარჩენენ ზურგჩანთიანი, 16-დან 35 წლამდე ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ არიან კაზინოში ნამყოფები და რატომღაც ურჩევნიათ, რომ ტობა ვარჩხილზე ავიდნენ, მუსიკას მოუსმინონ ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტზე, წამოგორდნენ ბალახზე, მოწიონ, ცოტაც დალიონ და შეძვრნენ სადმე კარავში ან ჰოტელში.**

ასეთი ტიპის ტურისტებს არ აქვთ ფული. ბევრი ფული არ აქვთ, სამაგიეროდ მათი სახელია ლეგიონი და მათ თითო დახარჯულ ლარიანს შეუძლია ჩვენი უკანალში მყოფი ეკონომიკა გამოაძროს.

საქართველო მთავრობითა და მოსახლეობითურთ ვალდებულია გაუფრთხილდეს და იზრუნოს თითოეულ ტურისტზე, რომ მერე იმათ, ჩვენი ქვეყანა ხალისით გადაარჩინონ.

ერთ-ერთი მთავარი პირობა ზურგჩანთიანი ახალგაზრდების უწყვეტი დინებისთვის ფესტივალებია: ღვინის ფესტივალი, ხინკლის, საზამთროს, ძმობის ფესტივალი, ჩახუტების... ყველაფერი! მაგრამ არის მთავარი, ელექტრო მუსიკის ფესტივალი, რომელიც დღეისათვის მსოფლიო ახალგაზრდული ტურიზმის მამოძრავებელი ძალაა. ელექტრონული მუსიკა საქართველოში უკვე მეინსტრიმად იქცა და მას მხოლოდ ტაქსის მძღოლები არ ემორჩილებიან, უსმენენ რა რადიო „დარდიმანდს“.

ელექტრონული მუსიკის გარიჟრაჟი საქართველოში 90-იანების დასაწყისში იყო, როცა სერგი გვარჯალაძე, ნიკა მაჩაიძე, ლადო ბურდული, დადა დადიანი და სხვა ღრმად პატივცემული ადამიანები მუსიკას გენერატორის დენზე აკეთებდნენ.

მათ შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია, დღეს გვაქვს რამდენიმე კარგი ხარისხის ფესტივალი, გვყავს რამდენიმე მშვენიერი არტისტი და ასე თუ ისე განათლებული აუდიტორია.

16-17 აგვისტოს Second Life Festival მის უფროს ძმასთან, The Weekend - თან გაერთიანდება და გონიოს ციხის რომაულ კედლებს ჯანსაღი ტექნოთი შეაზანზარებს.

მუსიკის გარდა ფესტივალზე იქნება ბიერგარდენი, ფრისბის ჩემპიონატი, ბადმინტონი, ომობანა საწუწაო თოფებით და სიხარული, რაც ასე საჭიროა ფესტივალზე.

ქართველ არტისტებთან ერთად დაუკრავენ არგენტინელი ტექნოს გენიოსი ბარემ (Minus) და ტადეო (Cyclical Tracks). მათი მუსიკა გონიოს ულამაზეს ციხეში ემოციების ფოიერვერკს მოგიწყობთ და ღირსეულად გახსნის ბათუმის ფესტივალების სეზონს, რომელიც წელს გამორჩეულად კარგია.

როცა Second Life Festivals ვიწყებდით, ძალიან გამოუცდელები და მიამიტები ვიყავით, გვინდოდა, რომ ერთ წელში უზარმაზარი სამდღიანი ფესტივალი დაგვედო. მელტ! ფესტივალისნაირი ან თუნდაც ისეთი როგორც სონარია ბარსელონაში. რამდენიმე ივენთის მერე მივხვდით, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა და ბევრი წლის შრომა და აუდიტორიის გამოზრდა სჭირდება, ასევე რიანეარის ან კიდევ სხვა იაფი ავიახაზების შემოსვლა ქვეყანაში, რომ ადამიანმა ჩამოსვლა შეძლოს ვალის აღების გარეშე.

Second Life Weekend Festival სხვა მოძმე ფესტივალებთან ერთად დიდი ნაბიჯებით, შეუჩერებლად მიიწევს იმ იდეალური მომავლისკენ, სადაც 30 000 კარვით დახუნძლულ მინდორს Underworld-ის სანატრელი ხმა ბრიზივით გადაეფარება.

მოდი Second Life Weekend ფესტივალზე გონიოში, 16-17 აგვისტოს.

**შენ სამშობლოს სჭირდები.**

**დეტალები ფეისბუქზე: Second Life Weekend Festival**

## SAMSUNG-ის პრეზიდენტმა საქართველოში კომპანიის პირველი მაღაზია და სმარტ სკოლა გახსნა

**9 აგვისტოს საქართველოს საგანგებო ვიზიტით კომპანია SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი (Boo-Keun Yoon) ესტუმრა. მსოფლიოში ტექნიკის ბაზარზე ლიდერი კომპანიის პრეზიდენტმა ერთდღიანი ვიზიტის დროს საქართველოში SAMSUNG-ის პირველი ოფიციალური მაღაზია და კომპანიის ინვესტიციით გაკეთებული სმარტ სკოლა გახსნა.**

ვიზიტის ფარგლებში ბი ქეი იუნმა, საზეიმო ვითარებაში, სრულიად ახალი კონცეფციის მქონე პრემიუმ კლასის მაღაზია ჭავჭავაძის N48-ში გახსნა. ახალ მაღაზიაში წარმოდგენილი ტელევიზორების, მობილურების, ფოტოაპარატებისა და სხვა ტექნიკის ასორტიმენტი წარმოადგენს მოწინავე ტექნოლოგიებსა და პრემიუმ კლასის მოდელებს. „ამ მაღაზიაში აქცენტი გაკეთდება არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. მომხმარებლებს მოემსახურებიან SAMSUNG-ის კონსულტანტები ე.წ. „ელჩები“, რომლებიც დაწვრილებით გააცნობენ და აუხსნიან პროდუქციის უპირატესობებსა და ფუნქციებს. ამ მაღაზიით ჩვენ წარმოვადგენთ ახალ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს პრემიუმ კლასის მაღაზია და მომსახურება“, - აცხადებს SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი.

მაღაზიის გახსნის ცერემონიის შემდეგ, „სამსუნგის“ პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა, სადაც განათლების და ეკონომიკის მინისტრებთან და რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად სმარტ სკოლის კლასი გახსნა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ეს არის პირველი პროექტი, რომელიც SAMSUNG-მა საქართველოში განახორციელა. სმარტ სკოლა წარმოადგენს სასწავლო აუდიტორიას, რომელიც აღჭურვილია SAMSUNG-ის მაღალი ტექნოლოგიის „თაჩ სქრინით“ და ქსელურად მასზე მიბმული პლანშეტებით. სექტემბრისთვის ანალოგიურ კლასს SAMSUNG-ი GIPA-შიც გახსნის. მსგავსი კლასების მოწყობა პირველ საჯარო სკოლაში და პროფესიულ სასწავლებლებშიც იგეგმება.

„მოხარული ვართ ბატონი ბი ქეი იუნის საქართველოში სტუმრობით, მივესალმებით კომპანია SAMSUNG-ის მიერ განხორციელებულ პროექტს და სამომავლო გეგმებს. განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობა განათლების სამინისტროს სტრატეგიულ ნაწილს წარმოადგენს. ვფიქრობ ახალგაზრდების სწავლის დონის ამაღლებაში კომპანია დიდ წვლილს შეიტანს“, - განაცხადა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„მოხარული ვართ, რომ სმარტ სკოლის პირველი კლასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპანია Samsung-ის მხარდაჭერით გაიხსნა. ეს არის კერძო კომპანიის და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი და იმედი გვაქვს, სმარტ სკოლის გახსნა უნივერსიტეტში ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის დასაწყისი იქნება. ეს სიახლე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში“, - განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„მოხარული ვარ საქართველოში სტუმრობით. სოციალური პასუხიმგებლობის პლატფორმის ფარგლებში სმარტ სკოლა არის ჩვენი პირველი პროექტი, რომელსაც ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და უფრო მასშტაბურს გავხდით. ვაპირებთ ასევე დავაწესოთ SAMSUNG-ის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის და ხელი შევუწყოთ განათლების დონის ამაღლებას“, - განაცხადა SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ბი ქეი იუნმა.

ბი ქეი იუნი SAMSUNG-ის გენერალურ დირექტორად და პრეზიდენტად 2012 წელს დაინიშნა. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდა SAMSUNG-ი LED ტელევიზორების, მონიტორების, მოწინავე ტექნოლოგიების, 3D TV, Smart TV-ს და სხვა მიმართულებების მხრივ № 1 კომპანია მსოფლიოში.

კომპანია SAMSUNG-ი 1938 წელს შეიქმნა და სადღეისოდ, ელექტროტექნიკის მწარმოებელ უდიდეს კომპანიას წარმოადგენს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როდის იყო გულწრფელი ირაკლი ალასანია?

ხათუნა მგალობლიშვილი

**ავტორის სახელისა და გვარის გარეშე, განცხადებას მარტივად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, მივაწერდით გოგი თოფაძეს, ან ზურაბ ტყემალაძეს, „მწვანეების“ ლიდერ გია გაჩეჩილაძეს, უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას, ან სულაც კახა კუკავას. მაგრამ მთელი ინტრიგა სწორედ ისაა, რომ აღნიშნულ განცხადებას, რომელიც 2011 წლით თარიღდება, უკვე ჰყავს ავტორი და ის თავდაცვის დღევანდელი მინისტრი ირაკლი ალასანიაა...**

**ირაკლი ალასანია, 2011 წლის 21 სექტემბერი:**

– ჩვენი ეროვნული ინტერესების უმთავრესი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა. სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე აქცენტების გაკეთებისგან კი თავი უნდა შევიკავოთ... საერთოდ, რეალისტური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ დღეს და მით უმეტეს, სააკაშვილის ნაბიჯებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, NATO-ში გაწევრიანება არის განუხორციელებელი ამოცანა; მაგრამ, მეორე მხრივ, NATO თვითონ განიცდის ტრანსფორმირებას. NATO ვერ იქნება იგივე, რაც იყო 50 წლის განმავლობაში. ისიც შეიცვლება. ამიტომ, სწორი საგარეო პოლიტიკური აქცენტებითა და რეალისტური პოლიტიკით, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ დიალოგის აღდგენას აფხაზებთან, ოსებთან; სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და პოლიტიკური დიალოგის დაწყებას, შემდგომ უკვე პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან...

ეს განცხადება არავის ახსოვს, სავარაუდოდ, თავად მის მთქმელსაც. შესაბამისად, ვერავინ გვპასუხობს, რატომ, რა მიზნით და ვის გასაგონად ითქვა თითქოს დასავლური ორიენტაციის მქონე მაშინდელი ოპოზიციონერის მიერ მსგავსი ტექსტი...

**ირაკლი ალასანია, 2013 წელი:**

– ვიზიარებ პოზიციას, რომ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ყველა მცდელობა, რომ მოხდეს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, პირველ რიგში, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, ჩვენი კონფლიქტი, ალბათ, ძალიან მტკივნეულად კიდევ დიდხანს დარჩება ორ ქვეყანას შორის უდიდეს პრობლემად, ვიდრე რუსეთის ფედერაცია არ მივა დასკვნამდე, რომ მათ მოუწევთ აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სარკოზისთან მიღწეული შეთანხმების ბოლომდე შესრულება, ვიდრე საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიას არ დატოვებს. თავდაცვის სამინისტრო ვაგრძელებთ განვითარებას, ნატოს სტანდარტებთან მიახლოებას, აქედან გამომდინარე, ვერანაირი განცხადება ჩვენს სწრაფვასა და პრაქტიკულ დაახლოებას ნატოსთან და, საბოლოო ჯამში, გაწევრიანებას, წინ ვერ დაუდგება

**ირაკლი ალასანია, 2011 წელი:**
**„ჩვენი ეროვნული ინტერესების უმთავრესი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა, სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე აქცენტების გაკეთებაზე კი თავი უნდა შევიკავოთ“**

**EXCLUSIVE**

**„NATO-ში გაწევრიანება არის განუხორციელებელი ამოცანა; მაგრამ, მეორე მხრივ, NATO თვითონ განიცდის ტრანსფორმირებას. NATO ვერ იქნება იგივე, რაც იყო 50 წლის განმავლობაში“**

ეს უკვე დღევანდელი ალასანიაა – დასავლური ორიენტაციით გაჟღენთილი და დამაჯერებელი ტონით მოსაუბრე. ამ გაორების შემდეგ ერთადერთი კითხვა რჩება, როდის იყო ირაკლი ალასანია გულწრფელი?

პრინციპში, ასეთ მომენტში თავად ალასანიას თანაგუნდელები ყოველთვის ერთ პოზიციას ირჩევდნენ. მათი უმრავლესობა, „ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის“, პრინციპით მოქმედებდა. საკუთარი ლიდერის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თითქმის არასოდეს აფასებენ. გამონაკლისი არც ზურაბ აბაშიძეა. კითხვის მოსმენისთანავე პრესსამსახურთან გადაგვამისამართა და თანაც დაამატა, რაც არ მახსოვს, იმაზე რა გელაპარაკოთო...

ექსპერტ კახი კახიშვილის განცხადებით, ქართველ პოლიტიკოსებს, ზოგადად, სჩვევიათ აზრების ხშირი ცვლა და სწორედ ამ თვისებით ახსნა ალასანიას ქმედებაც...

**კახი კახიშვილი, ექსპერტი:**

– არ მახსოვს ეს განცხადება და სჯობია, ამის შესახებ თავად ირაკლი ალასანიამ გიპასუხოთ, რატომ გააკეთა მსგავსი განცხადება, ან შემდეგში რატომ შეცვალა ის. უმჯობესია, მანვე გასცეს ამ კითხვას პასუხი.

**– თავის დროზე ზურაბ ნოღაიდელთან, სერგეი ლავროვთან ურთიერთობების გათვალისწინებით რამდენად შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მისი დასავლური პოლიტიკური ორიენტაცია?**

– ერთი რამ შემიძლია გითხრათ, სამწუხაროდ, ჩვენთან ისეთი ვითარებაა, რომ პოლიტიკოსები, რომლებიც მოღვაწეობენ, დღეს ძალიან ხშირად და ადვილად ცვლიან თავის როგორც ღირებულებებს, ასევე დამოკიდებულებებს. ასეა არა მარტო ირაკლი ალასანია, არამედ პოლიტიკოსების უმრავლესობა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ალასანია არ არის გამონაკლისი. შეიძლება მაშინ, როცა ეს განცხადება გააკეთა, ასეც ფიქრობდა და შემდეგ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, მოსაზრება შეიცვალა.

გიორგი მარგველაშვილს გვირილით თამაში ნამდვილად არ სჭირდება. მას საპრეზიდენტო მარათონის ფინალში გასვლის გარანტია თვით ბიძინა ივანიშვილმა მისცა. ირაკლი ალასანიას კი ურჩევენ, ბევრი გვირილა მოიმარაგოს და „რამაშკით თამაში“ რაც შეიძლება მალე დაიწყოს. როგორც კულუარებში ამბობენ, ალასანიას მთავარი მიზანი ამ ეტაპზე ერთადერთი გარანტიის მიღებაა – საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მინისტრთა კაბინეტში დატრიალებულ „კარუსელში“ არ მოხვდეს. მისთვის ამ ეტაპზე უმთავრესი – პოსტია, არა თავდაცვის მინისტრის, არამედ ზოგადად მინისტრის სტატუსის შენარჩუნება. თუმცა, როგორც ამბობენ, ამის გარანტია ალასანიას ივანიშვილისგან ჯერჯერობით არ მიუღია და, სავარაუდოდ, არც მიიღებს. სწორედ ამიტომ ის ცდილობს, რაც შეიძლება დადებითი შთაბეჭდილება დატოვოს ივანიშვილზე, არ გააღიზიანოს მისი გარემოცვა და რაც მთავარია, საგულდაგულოდ გადამალოს საკუთარი ამბიციები. მოკლედ, დროებით გახდეს უჩინარი. ეს მცდელობა აშკარაც არის. თუმცა კულუარებში ირწმუნებიან, რომ თავდაცვის მინისტრს სხვა სამოქმედო გეგმაც აქვს შემუშავებული და მას ერთადერთ შემთხვევაში აამოქმედებსო. ეს გეგმა საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი თავის წარდგენაა და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში აამოქმედებს, როცა ზუსტ ინფორმაციას მიიღებს, რომ მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში მას თანამდებობას აღარ შეუნარჩუნებენ.

**ირაკლი ალასანია, 2013 წელი:**
**„თავდაცვის სამინისტრო ვაგრძელებთ განვითარებას, ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებას. აქედან გამომდინარე, ვერანაირი განცხადება ჩვენს სწრაფვასა და პრაქტიკულ დაახლოებას ნატოსთან და, საბოლოო ჯამში, გაწევრიანებას, წინ ვერ დაუდგება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანა შონია

# „გმირი“ - ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნის უკვდავსაყოფად

**გაზეთ „პრაიმტაიმის“ და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ ინიციატივით, ავღანეთში დაღუპული ქართველი გმირების სახელის უკვდავყოფის მიზნით სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ წიგნის „გმირი“ მესამე ნაწილის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში ალექსანდრე პეტრიაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დარჩიაშვილი და ის სამხედროები დაესწრნენ, რომლებმაც ავღანეთის ოპერაციის დროს სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღეს.**

წიგნის „გმირის“ მესამე ნაწილი გაზეთმა „პრაიმტაიმმა“, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთასთან“და საქველმოქმედო ფონდ „წითელი ყაყაჩოსთან“ ერთად გამოსცა. მასში ასახულია ავღანეთში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ცხოვრება.

„პრაიმტაიმის“ ინიციატივით, წელს პირველად, პროექტში ყველა წამყვანი მედიასაშუალების ცნობილი სახეები, ჟურნალისტები ჩაერთვნენ, რომელთა შეხედულებები და მოსაზრებები წერილების სახით დაიბეჭდა წიგნში „გმირი“.

სპეციალურად უსინათლოთა საზოგადოებისთვის, გამოიცა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი „გმირი“, რომლის პრეზენტაციაც იმავე საღამოს გაიმართა.

**ალექსი პეტრიაშვილი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში:** „ყველა ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება იქითკენ, რომ მოხდეს ჩვენი გმირების სახელების უკვდავყოფა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე ჩვენი ქვეყნის მომავალს შესწირეს ჩვენი შვილების უკეთეს ცხოვრებას, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ამიტომაც დღევანდელი ღონისძიება და ამ წიგნის გამოშვების იდეაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

**მიხეილ დარჩიაშვილი:** „ძალიან ძნელია სიტყვებით იმ გრძნობის გადმოცემა, რაც მე დღეს მეუფლება. მე ამაყი ვარ, რომ წარმოვადგენ ისეთ ქვეყანას, რომელსაც ასეთი გმირები ჰყავს. მე ქედს ვიხრი მათი და მათი ოჯახის წევრების წინაშე. მათ წვლილს, მათ მიერ გაწეულ მსხვერპლს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ. ქედს ვიხრი იმ სამხედრო მოსამსახურეების წინაშე, რომლებიც დღეს იმყოფებიან ავღანეთში. აქ არიან ჩვენი დაჭრილი სამხედროები და ჩვენ ყველა მათგანს უნდა მოვეფეროთ. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გააკეთებს ყველაფერს ამ ადამიანებისთვის. ყველას ძალიან დიდი მადლობა ამ ღონისძიებისთვის“.

**თამარ ფხაკაძე, გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი:** „საქართველო მართო სახელებითა და გვარებით არ უნდა იცნობდეს თავის გმირებს. ჩვენ მიერ გამოცემული სამივე წიგნი ემსახურება იმას, რომ ყველამ, ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ იმ ადამიანების ისტორია და ბიოგრაფია, ვინც შეძლეს და დადგნენ იქ, სადაც მათ სამშობლო ეძახდათ“.

**კლარისა შუკვანი (გმირის, მუხრან შუკვანის დედა):** „ძალიან დიდი მადლობა ამ ღონისძიების ორგანიზატორებს იმისთვის, რომ ისინი არ ივიწყებენ ჩემი შვილის გმირობას. ჩვენი შვილების უკვდავსაყოფად ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. დედის გული მკვდარია, მაგრამ ჩვენი შვილები უკვდავი იქნებიან“.

გაზეთი „პრაიმტაიმი“, უკვე მეოთხე წელია, პროექტ „გმირის“ფარგლებში, აგვისტოს ხსოვნის კვირეულში, ქართველი გმირების ხსოვნის პატივსაცემად ღონისძიებებს მართავს. საქართველოში პირველი წიგნიც, სახელწოდებით „გმირი“, 2010 წელს სწორედ გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ გამოსცა, სადაც ასახული იყო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გმირობა, მათი ცხოვრება, დაბადებიდან - გმირულად გარდაცვალებამდე. ამ პროექტმა საფუძველი ჩაუყარა ხსოვნის კვირეულს, რომელიც აგვისტოს პირველ კვირას აღინიშნება და მისი სიმბოლო გახდა „წითელი ყაყაჩო“, რომლის ეგიდითაც დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი „წითელი ყაყაჩო“.

2011 წელს გამოიცა „გმირის“ ინგლისურენოვანი წინგი - HERO, რომლის პრეზენტაციაც, ლონდონში რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე გაიმართა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მშობლო გვეძახის





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პოემუსი“ გორში - აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის საღამო

my View
თამარ გონგაძე

**ფესტივალი „პოემუსი“ 8 აგვისტოს მაყურებლის წინაშე თავისი რიგით მეორე ღონისძიებით გორის კულტურის სახლში წარსდგა. საღამო ბუნებრივია, აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნასა და დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერი იყო. როგორც ფესტივალის ორგანიზატორი და მონაწილე, ბექა ელბაქიძე ამბობს, ღონისძიება სახეშეცვლილი ფორმით ჩატარდა. ამას კი თავისი მიზეზი ჰქონდა.**

**ბექა ელბაქიძე:** „სამწუხაროა, რომ გორის აქცია ისეთი არ გამოვიდა, როგორიც დავგეგმეთ. საღამო ღია ცის ქვეშ თეატრის წინ უნდა ჩაგვეტარებინა. სიმბოლურად იმ ადგილას, სადაც ხუთი წლის წინ ნაღმები ჩამოცვივდა. გორის მუნიციპალიტეტთან ორი თვე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას. პროგრამაც ვრცელი და თემატიკის შესაბამისი გვქონდა. ამ დღისთვის შეიქმნა ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებები. ბევრად უფრო მასშტაბური ღონისძიება გვინდოდა, ვიდრე გამოვიდა. პროგრამის შეცვლა სამი დღით ადრე მოგვიხდა. მიზეზი კულტურის სამინისტრო გახლდათ. სამინისტროს თავიდან ჰქონდა მზაობა, რომ ამ პროექტში ჩართულიყო. მაგრამ პროექტმა რამდენიმე დეპარტამენტი მოიარა და ვერანაირი პასუხი ვერ მივიღეთ - არც თანხმობა, არც უარი. მანამდე ბიუჯეტი შეგვამცირებინეს. ღონისძიება ერთ ქალაქზე გააკეთეთო, ასეც მოვიქეცით. პროგრამა გადავუგზავნეთ და პასუხი არ მიგვიღია. მათგან გვჭირდებოდა თანხა სცენისთვის, განათებისთვის, გახმოვანებისთვის... მონაწილეები ჰონორარის გარეშე რომ მიგყავს, ტრანსპორტირება და კვება უნდა ჰქონდეთ. მოკლედ, ღონისძიება მაინც ჩატარდა, მაგრამ არა ღია ცის ქვეშ, არამედ კულტურის ცენტრში, თეატრი რემონტდება და ცენტრში გადავინაცვლეთ. ცვლილების გამო საღამოში მონაწილეობა ვერ მიიღო საქართველოს შეირაღებული ძალების საჯარისო დანაყოფმა. ნატო მეტონიძესაც უნდა ემღერა, მაგრამ პროგრამის ცვლილების გამო უარი ვუთხარით.

დიდი მადლობა გორის კულტურის ცენტრს, რომელმაც 8 აგვისტოს განსაკუთრებულად მოგვეხმარა და ღონისძიებას უმასპინძლა.

მადლობა კომპანია „ნატახტარს“, რომელმაც უზრუნველყო საღამოს ორგანიზება. მადლობა „პიარ რუმს“, „ზოდს“ და თავდაცვის სამინისტროს, რომელმაც ტრანსპორტირებით უზრუნველგვყო“.

საღამოზე გალაკტიონის ლექსი „დროშები ჩქარა“ ექვსმა მსახიობმა წაიკითხა. მუსიკა, რომელიც ფონად გასდევდა ჯგუფმა „ქამელეონმა“ დაწერა. ასევე წაიკითხეს ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, გალაკტიონის, მურმან ლებანიძის ლექსები...

**ბექა ელბაქიძე**: „ვითამაშეთ ფრაგმენტი პიესიდან „ალისფერი აგვისტო“, რომელიც მე 2009 წელს რადიოსპექტაკლად გავაკეთე. პიესაში რეალური ისტორიები დავწერე. მათ შორის იმ ქალბატონზე, რომელსაც ორი შვილი მოუკლეს და მათი საფლავები არ აქვს. ლექსებზე პერფორმანსები გვქონდა გაკეთებული. „დროშები ჩქარა“ ძალიან ემოციური გამოვიდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა“.

**ლექსებს კითხულობდნენ: ლევან ხურცია, ნაირა გელაძე, ვალერი კორშია, ნატო გაგნიძე, ია სუხიტაშვილი, ბექა ელბაქიძე, მამუკა ჩარკვიანი, აჩიკო ნიჟარაძე, ნიკუშა ფხაკაძე, „ქამელეონი“. პოეტი ჯარჯი შუქიაური, გიორგი რუხაძე. საღამო დასრულდა მამუკა ჩარკვიანის სიმღერით „გავაზაფხულეთ“.**

„მაყურებელი თავიდან ცოტა დაძაბული იყო, არ იცოდნენ რა მოხდებოდა სცენაზე. მერე უკვე იყო ცრემლები, ემოციები... საღამო გამოვიდა - არტისტების ხმა ხალხს! ომს კანონები არა აქვს. ის ერთი კაცის ინტერესებით ხდება. ამ დროს მთავარი ხალხია, ვის თავზეც გადაიარა ამ ყველაფერმა. ამიტომ ვღელავდით, არ ვიცოდით, როგორ მიიღებდა საზოგადოება ჩვენს პერფორმანსებს. მაგრამ შესაბამისი ემოციები იყო. მოდიოდნენ საგრიმიოროში და მადლობას გვიხდიდნენ. განსაკუთრებით საპასუხისმგელო და ემოციური ორსაათიანი საღამო გამოვიდა“.

**ნატო გაგნიძე:** „ყველა მონაწილე კმაყოფილი ვართ. კეთილგანწყობილი, თბილი და ცოტა სევდიანი მაყურებელი იყო. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა 8 აგვისტოს ამ ღონისძიებაში მონაწილეობას და იმ ადამიანებთან ყოფნას. ბატონ ვალერი კორშიასთან ერთად მირზა გელოვანის ხუთი ლექსი წავიკითხე“.

**ვალერი კორშია:** „შთამბეჭდავი და საჭირო საღამო იყო. ყველა დამუხტული წავიდა. იქ იყო ერთი ახალგაზრდა პოეტი, ჯარჯი შუქიაური, ძარღვიანი ახალგაზრდა კაცია და ძარღვიანი ლექსები აქვს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. „ქამალეონში“ კარგი მუსიკოსები არიან. საერთო ჯამში კარგი საღამო იყო“...

**აჩიკო ნიჟარაძე:** „მე ვიმღერე „ხმალი ავლესოთ“ და ლილიკო ნემსაძის „ბიჭებო“, რომელიც 20 წლის წინ დაწერა და აფხაზეთის ომში დაღუპულ ჯარისკაცებს მიუძღვნა. საღამოს თემატურად შევურჩიე სიმღერები. მამუკამ თავისი პატრიოტული სიმღერები შეასრულა. საერთოდ, ძალიან კარგი ფესტივალია. ერთად შეგვკრიბა ამდენი ხელოვანი. შვიდი წელია საქართველოში პოეზიის და მუსიკის ნაკლებობაა. ახალგაზრდებისთვის კარგია ეს საღამოები მოისმინონ და მომავალ თაობას გადასცენ“.

ფესტივალის ღონისძიებები აგვისტოს მეორე ნახევრიდან უნდა ჩატარდეს ქალაქებში - ბორჯომი, ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი და თბილისი. „პოემუსი“ 15 სექტემბერს სრულდება.

**ბექა ელბაქიძე:** „ბათუმის ღონისძიება მიეძღვნება დიტო ცინცაძის სახელობის ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა ფონდს. რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი, რომ ამ ფონდს ფული გადაურიცხოს.

მედია აქტიურად აშუქებს ჩვენს ფესტივალს. მადლობა ყველა თქვენგანს ასეთი ერთსულოვნებისთვის“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წიგნი „გმირი“ - ღირსეული ცხოვრების მაგალითი

ნანა შონია

სასჯელაღსრულების სამინისტრომ და პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ხსოვნის კვირეულის ფარგლებში, აგვისტოს ომსა და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში დაღუპულთა პატივსაცემად, პირობით მსჯავრდებულებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უმასპინძლა და „პრაიმტაიმის“ მიერ გამოცემული წიგნი „გმირი“ საჩუქრად გადასცა. ღონისძიებას სამინისტროს პირველ პირებთან და პრობაციონერებთან ერთად, ავღანეთში დაღუპული ქართველი გმირების ოჯახის წევრები და პროექტ გმირის ავტორები დაესწრნენ.

**სოზარ სუბარი, სასჯელაღსრულების მინისტრი:** „ჩვენ ამ გმირების ზურგზე მოვედით, რომ არა ისინი, დღეს აქ არ ვიქნებოდით. სამწუხაროდ, ჩემმა თაობამ უკვე მეორე ომი ნახა. თითოეულ ომს ჰყავს თავისი გმირები, წიგნი „გმირი“, რომელიც დღეს პრობაციონერებს დაურიგდათ მათთვის კარგი მაგალითი იქნება“.

**გრიგოლ გიორგაძე, სასჯელაღსრულების მინისტრის პირველი მოადგილე:** „ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ამ ადამიანებს სჭირდებათ სათანადო პატივის მიგება და ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ეს წიგნი. ეს წიგნი ეკუთვნის ყველა ადამიანს, ვისაც სამშობლო უყვარს. დღეს ჩვენ პრობაციონერებს მოვუყევით მათი გმირობის შესახებ და ეს მაგალითი უნდა იყოს იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა შეცდომა არასოდეს დაუშვან“.

**გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი:** „ძალიან სასიამოვნო და სიმბოლურია, რომ წიგნ „გმირის“ დღევანდელ პრეზენტაციას სწორედ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა მასპინძლობს. ეს არის ისტორია, რომელიც არასოდეს დაიკარგება და წიგნის სახით მომავალ თაობას ამ ადამიანების, ქართველი გმირების სახელები და გვარები ყოველთვის დარჩება. მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მნიშვნელოვან საქმეში მიიღო მონაწილეობა“.

**თამარ ფხაკაძე, „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტი, პროექტ „გმირის“ ავტო-**






**რი:** „ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი ღონისძიება, სასიამოვნოა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩაერთო ამ აქციაში, მე მინდა ამისთვის მათ მადლობა გადავუხადო. ეს არის წიგნის „გმირი“ მესამე ნაწილი, რომელიც „პრაიმტაიმმა“ გამოსცა. ეს არის წიგნი, რომელიც ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს და ჩვენი მთავარი მიზანი არის ის, რომ ამ გმირების სახელები და გვარები შემორჩეს ისტორიას. ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი ღონისძიება, რადგანაც სასჯელაღსრულების სამინისტრო ჩაერთო ამ აქციაში“.

**ფიქრია ნარინდოშვილი, გმირის მიხეილ ნარინდოშვილის დედა:** „მე ერთადერთი შვილი მყავდა მიხეილი, რომელიც ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად სამხედრო სამსახურში წავიდა. მას სამი შვილი დარჩა. იქ წასული მეუბნებოდა, რომ ჯარის ფორმას არასდროს გაიხდიდა და ბოლომდე სამხედრო სამსახურში დარჩებოდა, მაგრამ ცოტა ხანში ეს უბედურება დამატყდა თავს. მე მინდა მადლობა გადავუხადო თავდაცვის სამინისტროს, რუსთავის მერიას რომელიც გვერდში მიდგას, ამ წიგნების ავტორებს, „პრაიმტაიმს“ ამ წიგნის და ჩემი შვილის უკვდავყოფისთვის. მე მინდა მივმართო ყველა ახალგაზრდას, საქართველოს სჭირდება თქვენი თანადგომა და ამიტომაც სამშობლოსთვის უნდა ვიზრუნოთ ყველამ“.

**ნუგზარ რუხაძე, ჟურნალისტი:** „ეს წიგნი არის ქართველი გმირების ნათელი მომავლისადმი მიძღვნილი, ის მინიშნებაა იმისა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ. არ არის არც ერთი ადამიანი, ამ პატარა საქართველოში, ვისი დაკარგვის უფლებაც გვაქვს. ამიტომაც ამ ადამიანების სახელები და გვარები ყველამ ზეპირად უნდა იცოდეს. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვაქვს ასაშენებელი და ამიტომაც დღეს არ არის ციხეში ჯდომის დრო. მე მინდა მადლობა ვუთხრა ამ გმირების ოჯახებს, ამ წიგნის ავტორებს „პრაიმტაიმის“ და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდს „ოქროს ფრთას“. ეს წიგნი არის ამ გმირების სისხლით ნაწერი წიგნი და მას წაკითხვა და დაფიქრება უნდა. ეს არის პირდაპირი გამოძახილი სიბრძნეთა სიბრძნის“.

**არჩილ გამზარდია:** „მე გახლავართ ერთ-ერთი წერილის ავტორი, რომელიც ამ წიგნშია შესული და მინდა ვთქვა, რომ ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის. ჩვენ, ყველა, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, როგორ ვცხოვრობთ და როგორ წარვმართოთ ჩვენი საქმიანობა. ჩვენმა საამაყო ილია ჭავჭავაძემ, თავის დროზე, წარმოგვიდგინა ყველაზე დიდი ფასეულობები, რაც გაგვაჩნია, ეს არის ენა, მამული, სარწმუნოება. ჩვენ რომ გადავხედოთ ჩვენს ისტორიას და ცხრა ძმა ხერხეულიძის ცხოვრებას, ვნახავთ, რომ მის დედას არც ერთხელ არ განუკითხავს ის, თუ რამდენად სწორი იყო მათი საქმე და ის ბრძოლა, რომელზეც მათ გასწირეს თავი. მან თავისი მოვალეობა ღვთისა და ერის წინაშე პირნათლად შეასრულა. სულ ვფიქრობ, დღეს არიან თუ არა ასეთი ადამიანები, მე ჩემს თავს მოვუწოდებ ამ ადამიანების ცხოვრება იყოს ნიმუში. ყველაზე მეტად მინდა ვისწავლო ამ ადამიანებისგან საკუთარ თავზე მაღლა დგომა“.

**თამარ გორთამაშვილი „გმირის“ ავტორი:** „ჩემთვის და დარწმუნებული ვარ თითოეული გმირის ოჯახის წევრისთვის დასაფასებელია ის ყურადღება, რაც ამ შემთხვევაში პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ გამოიჩინა, პროექტ „გმირის“ მიმართ. ამ წიგნს, რომელიც ავღანეთში დაღუპული 29 გმირის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს, თავის მხრივ ორი მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, ერთი ის, რომ უკვდავყოფილია გმირების სახელები და მეორე ის, რომ მათი ცხოვრება სამაგალითო უნდა იყოს თითოეული ჩვენთაგანისთვის. ყველას გმირობას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ამ გმირების ცხოვრება კარგი მაგალითის მომცემი უნდა იყოს ჩვენთვის. ავღანეთში დაღუპული 28 წლის მუხრან შუკვანი თავის ერთ-ერთ ჩანაწერში ამბობს - მინდა უკვდავი ვიყო და ვიცოცხლო მაშინაც კი, როდესაც დედამიწაზე გარდავიცვლები - მან ეს შეძლო, ის დღეს გმირია, რომლის სახელიც და გვარიც უკვდავი გახდა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს წიგნი და ეს პროექტი, მთლიანად ამართლებს თავის იდეას“.

**თათია პაჭკორია, ჟურნალისტი:** „როდესაც ადამიანები სხვისი ბედისადმი არ ვიქნებით გულგრილი ეს ყოველთვის აგვამაღლებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, მე მინდა მადლობა ვუთხრა სოზარ სუბარს და ამ წიგნის ავტორებს. მე მინდა ვთქვა, რომ პოლიტიკოსებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ჩვენ თავიდან ავიცილოთ ომი“.

**ვახტანგ გოდერძიშვილი, პრობაციონერი:** „ძალიან მომეწონა დღევანდელი ღონისძიება, მინდა ყველას მადლობა ვუთხრა ამ ყველაფრისთვის“.

ღონისძიების ბოლოს სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა პრობაციონერებს წიგნი „გმირი“ საჩუქრად გადასცა. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ კი მათ მცირე ექსკურსია მოუწყო, სამკითხველო დარბაზები და ექსპონატები დაათვალიერებინა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „კვალიაშვილების ოჯახი“ - კამერულ ო

my View
თამარ გონგაძე

**„კვალიაშვილების ოჯახი“ - ასე იცნობს მათ გარკვეული საზოგადოება. ეს მუსიკალური ოჯახია, სადაც ექვსი შვილია და ექვსივე მუსიკოსი. ოჯახის უფროსი კომპოზიტორია. გიორგი კვალიაშვილი ლექსების ავტორიც არის. ნინო ბერიანიძე ავტორ-შემსრულებელია. ღმერთმა მუსიკის ნიჭი და სიყვარული მშობლებისგან შვილებს გადასცა. და ოჯახში სულ მუსიკა ისმის, ბევრი მუსიკა... ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ექვსივე შვილი სხვადასხვა ინსტრუმენტს ფლობს. ეს კამერულ ორკესტრად შეკრული ოჯახის ისტორიაა. საოცარ სანახაობას ქმნის დედისა და და-ძმების ერთობლიობა სცენაზე. 5 აგვისტოს კვალიაშვილებმა წიგნ „გმირის“ მესამე ნაწილის პრეზენტაციაზე რამდენიმე კომპოზიცია დაუკრეს. არაჩვეულებრივი ფონი შექმნეს. მუსიკის ჯადოსნურობაში დასარწმუნებლად კლასიკური მუსიკის მოსმენა საკმარისია. მაგრამ როცა ამ ჯადოსნურ სამყაროში ერთი ოჯახის ანსამბლს შეჰყავხარ, სულ სხვა ემოციასაც გძენს. ინსტრუმენტებით ჰარმონიას ბავშვების თვალებით საუბარიც ერთვის თან. ესეც ჯადოსნურია... კვალიაშვილებს 15 წლის მანძილზე 7 ალბომის მასალა დაუგროვდათ, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ გამოსცეს. მათი რეპერტუარი საკმაოდ ჭრელი და ფართოა. კლასიკის გარდა ასრულებენ ხალხურ სიმღერებს, ფოლკლორს, აქვთ კარატისა და ქორეოგრაფიის ნომრები... დისკების გარდა ეს ერთი მასშტაბური პროექტის პროგრამაც არის. ნინო ბერიანიძეს კულტურის სამინისტროსთან წინადადება აქვს, თანამშრომლობა სურს...**

**„პედაგოგებმა რამდენ ხანს უნდა მოგამზადონ უანგაროდ? იმიტომ მინდა პროექტის გაკეთება, რომ ამ ბავშვებს ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ მინიმუმ სამი პედაგოგი ჰყავდეთ. ინსტრუმენტები ძვირი ღირს, ვერ ვიძენთ“**

**„მინდა კულტურის სამინისტროს დახმარებით პროექტი გავაკეთო. ასეთი შემადგენლობის ანსამბლი საქართველოში არ არის. ეს ჩემი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება არ არის. ამ ბენდის პროგრამა რომ გაკეთდეს, ჩვენ ქვეყანას ვასახელებთ“**

### პატარა საქართველო ერთ ოჯახში

80-იან წლების ბოლოს, როგორც ავტორ-შემსრულებელი, ნინო ბერიანიძე ფილარმონიის სოლისტი იყო. მეუღლესთან ერთად დაწერილი აქვს ათეულობით სიმღერა. პირველი ქორწინებიდან ერთი ვაჟი ჰყავს, მეორე ქორწინებიდან ექვსი შვილი. სახლში პატარა საქართველო მაქვს, სხვადასხვა ამბიციებითა და მიმართულებებითო, ხუმრობს... 23 წლის ოჯახი ვაკეში ცხოვრობს, პაპის დანატოვარ აგურის სახლში. „ჩვენი სახლი გარედან მტერს უფსებს თვალს, შიგნით მოყვარეს. ძალიან ვიწროდ ვცხოვრობთ, ყოველდღიური ყოფა და რუტინა ძალიან რთულია“. „კვალიაშვილების ოჯახი“ ძირითადად საქველმოქმედო კონცერტებს მართავს. ბავშვები პედაგოგებსაც საჭიროებენ და ინსტრუმენტების გამოცვლასაც, მაგრამ... ასეთი მრავალშვილიანი ოჯახი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. დედა იმედს არ კარგავს. ბენდის სახელზეც ფიქრობს, ერთი ვერსიაა „კვალი“, გვარიდან გამომდინარე.

**უნივერსიტეტის სცენიდან**

**ნინო ბერიანიძე:** „ფილოლოგი ვარ. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ პარალელურად უნივერსიტეტის სცენაზე ვატარებდი ამ ხუთ წელს. ცნობილი კურსი გვქონდა. ბევრი ვმღეროდით, ნიჭიერი ბავშვების თაიგული იყო. ლია ხორბალაძე, ხათუნა დონდუა, ნინო დათუკიშვილი, გია ნიკოლაძე („ნიკოლაშოუ“), რეზო კიკნაძე, ნანა კალანდაძე, ზურა გოშაძე, მიშა ჩიკვილაძე - ერთად ვიყავით თავმოყრილი. სულ სიმღერა და ტაშ-ფანდური გვქონდა, სანახევროდ სცენაზე ვიყავით. „ჩაის სახლი“ მაშინ კლუბივით იყო. გიტარა გადაკიდებული დავდიოდი...

მე და ჩემი მეუღლე, გიორგი კვალიაშვილი უნივერსტეტში დავმეგობრდით. სულ ერთად ვიყავით. არაჩვეულებრივი სიმღერების და ლექსების ავტორია. გიორგის ტექსტზე ბევრი სიმღერა მაქვს დაწერილი. არის ისეთი სიმღერები, რომელსაც გიორგიმ მერე დაუწერა ტექსტები. საერთო ტექსტი და საერთო მუსიკაც გვაქვს. რუტინის გამო დღეს ნაკლებად ვიცლით სიმღერების დასაწერად. ყველაზე დიდი სიხარული მაინც მუსიკაა ჩვენთვის. საოცარი სამყაროა... ჩემი სიმღერებიდან? გამოვარჩევდი „ბედუინს“. დავჯექი და პირდაპირ დავუკარი. გიორგიმ მეორე დილას ტექსტი მომიტანა. არ ვტრაბახობ, ეს სიმღერა შედევრია. ამას ყველა აღიარებს. ბევრი სიმღერა გვაქვს ისეთი, რომელიც არ ჩაგვიწერია, არსად გაჟღერებულა.

შარშან „ბრავო რეკორდსმა“ თამთა ცხვიტავას დისკისთვის შემიკვეთა სიმღერა. დავუწერე „შემოდგომის ტანგო“. დისკში შევიდა სახელით „ტანგო“ და ცოტა გავნაწყენდი“.

**„ასე აღმოვჩნდით ბორტს მიღმა“**

„მინდა ეს ისტორია მოგიყვეთ. „ნიჭიერის“ რეკლამები რომ დაიწყო, ძველი ბრაზი ისევ მომერია. ჩვენი ისტორია გამახსენდა და მინდა ეს თემა ისევ ამოვატივტივო. „ნიჭიერის“ მეორე სეზონზე გავედით და სრული ფურორი მოვახდინეთ. გიორგი წინააღმდეგი იყო, არც ბავშვები იყვნენ დიდად აღფრთოვანებული. მე კიდევ „ნიჭიერში“ გამოჩენა ბავშვების რეკლამისთვის მინდოდა. პროდიუსერებმა გვითხრეს, პროექტში ასეთი რამ არ გვქონია. გვყავს ოქრო და ვერცხლი, მაგრამ თქვენ ბრილიანტი ხართო. გადავედით კი არა, „გადავჯლიგინდით“ შემდეგ ტურზე. სამი „კი“, დარბაზი ფეხზე ადგა და დიდი კომპლიმენტებით გავიარეთ კასტინგის პირველი ტური. ჩვენი გამოსვლა ტელევიზიით რომ უნდა გასულიყო (ანონსში მთელი კვირა ვიტრიალეთ) და ორშაბათს ნახევარი საქართველო რომ გველოდებოდა, გადაცემაში აღარ გაგვიშვეს. სალამოს ექვს საათზე სახლში დამირეკა ვიღაც ქალმა, სოციოლოგიური გამოკვლევის მსგავსი თემით და პოლიტიკური შეკითხვები დამისვა. მე ღიად ვპასუხობდი. ყველამ იცოდა, რომ მაშინ ოპოზიციონერი ვიყავი. არ მომწონდა გარშემო არსებული სიტუაცია... თქვენ ხომ „ქართული დარბაზის“ წევრი ბრძანდებოდითო, მითხრა ამ ქალმა. ეს არის ჭაბუა ამირეჯიბის დაარსებული არაპოლიტიკური ორგანიზაცია, ინტელექტუალთა კლუბი, სადაც წლების წინ, ჩემ მეგობრებთან ერთად, გავერთიანდი. ჩვენი ეთერში არ გასვლის მიზეზად საოცარი ფრაზა დამისახელეს, „ძალიან კარგი გამოსვლა გქონდათ, მაგრამ ტექნიკური წუნი აქვს და ვერ გავუშვებთო“. როგორც ჩანს, ჩემი პასუხები გახდა იმის მიზეზი, რომ ჩვენ ამ შოუში არ გამოვჩენილიყავით. ვანო ჯავახიშვილი თავჩაღუნული იჯდა, ბოლოს, ძლივს თქვა - „თქვენ ვერ გადახვედითო“. მეგონა, ხუმრობდა. მაგრამ აშკარად არ ეღიმებოდა. აჭრილი იყო. „მართლა-მეთქი?“- მეც ვცადე „ხუმრობით“ მეკითხა. თავი ჩაქინდრა, მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა. ბავშვებს ვერ გადავხედე. მათი სახე რომ დამენახა, ცუდად გავხდებოდი... ვერ გადავიტანდი. ისედაც ვგძნობდი, რომ გაფითრდნენ... აი, ასე აღმოვჩნდით ბორტს მიღმა. საერთოდ, ძალიან აქტიური და ემოციური ადამიანი ვარ. ყველგან გამოვდიოდი, სულ წინა ხაზზე ვიყავი და მაფიქსირებდნენ. გაშიფრული ვიყავი და სამაგიერო ჩემს ოჯახზე მწარედ გადამიხადეს. 9 აპრილსაც შემთხვევით გადავრჩი. მეზობელმა მთხოვა ნემსის გაკეთება, ღამის სამ საათზე უნდა გამეკეთებინა და მიტინგიდან იმ დროისთვის მივედი სახლში. ასე უნებურად გადავარჩინე საკუთარი თავი, თორემ იქ შევაკვდებოდი“.

**„გადაირია ხალხი, ფილარმონიაში არ მიგვიღია ასეთი სიამოვნებაო. სულ შვიდი საქველმოქმედო კონცერტი გვაქვს გაკეთებული“**

### წალკის საქველმოქმედო კონცერტები

უფროსი ქალიშვილი თიკო ფლეიტაზე უკრავს, რუსუდანი მევიოლინეა, სალომე ჰობოისტი, მირიანი ჩელოზე უკრავს, ია - ვიოლინოზე, გიგო - ფლეიტაზე.

სალომე საქართველოს ნაკრების წევრია კარატეში. შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატზეც იყო. შავი ქამარი აქვს. შავი ქამრის მფლობელია მირიანიც, კარატეზე დადიან იაც და გიგოც.

**ნინო ბერიანიძე:** „წალკაში ცხრა წელი ვცხოვრობდით. გიორგი იქ მუშაობდა, გამგებელი იყო. ჩავედით ორი შვილით და ექვსით დავბრუნდით უკან. სერიოზულ ემიგრაციაში ვიყავით. იქ ქართველი არ ცხოვრობდა. რა უნდა გვეკეთებინა, ისედაც მუსიკის გარეშე არ შემიძლია. ამიტომ ფორტეპიანოსა და გიტარაზე ვუკრავდი და ვმღეროდით. იქ დაიწერა ბევრი სიმღერა. რთული პერიოდი იყო და მუსიკამ და ბავშვებთან ურთიერთობამ გადამატანინა. აზროვნება რომ დაიწ-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ორკესტრად შეკრული ოჯახის ისტორია

## „რთული პერიოდი იყო და მუსიკამ და ბავშვებთან ურთიერთობამ გადამატანინა“

ყეს და მივხვდი, მუსიკალური მონაცემების ბავშვები იყვნენ, სადილზე და ვახშამზე დასხდომისას მეუღლესთან ვიწყებდი საუბარს - გიორგი, მოდი, წავიდეთ თბილისში; ბავშვებს მუსიკალური განათლება უნდა მივცეთ, თორემ დანაშაული იქნება-მეთქი. მათში ზუსტად იმ ინსტრუმენტალისტს ვხედავდი, რომელსაც მომავალში დაეუფლნენ, ეს ჩელისტი იქნება, ის ჰობოისტი, ეს მევიოლინე-მეთქი... წალკაში თავს რითი ვირთობდით - საღამოების მოწყობა დავიწყეთ. ჩემი მეგობრები სულ ჩამოდიოდნენ. ზაფხული ისე არ დამთავრებოდა, ერთი დიდი კონცერტი რომ არ ჩაგვეტარებინა. ჯერ სახლიდან დავიწყეთ. თოჯინების თეატრი, ბალეტი, ცეკვა, სიმღერა - ყველაფერი გვქონდა... კონცერტში ვრთავდით სტუმრებსაც. ვახალისებდით სამეზობლოს. მერე მასშტაბები გაიზარდა და გადავედით ეზოში. ბოლოს კი დარბაზებში გადავინაცვლეთ. პირველი საქველმოქმედო კონცერტი ფანტასტიკური გამოვიდა. ბავშვები კამერულ ნომრებს ასრულებდნენ, გვქონდა ცეკვები, სახუმარო ნომრები. ვახო კობახიძე - წალკაში უძლიერესი ვოკალისტია. საქართველოში რატომ არ ჩანს, არ ვიცი. საოცრად მღერის. მან დაასრულა საღამო სიმღერით - „შენ გიმღერი, ჩემო თბილის ქალაქო“. საპატრიარქოს არხს არ ჰქონდა ანტენა. მრევლში ფული იკრიბებოდა და ამას დავუკავშირეთ ჩვენი საქველმოქმედო კონცერტიც. ფული შემოვიდა. გადაირია ხალხი, ფილარმონიაში არ მიგვიღია ასეთი სიამოვნებაო. კიდევ სხვა საქველმოქმედო კონცერტები გავაკეთეთ. მერე უკვე თბილისშიც გავაგრძელეთ... სულ შვიდი საქველმოქმედო კონცერტი გვაქვს გაკეთებული. სხვის კონცერტებშიც მიგვიღია მონაწილეობა.

გიორგის დიდ პატივს სცემდნენ, ედუარდ შევარდნაძე მადლობების წერილებს უძღვნიდა. გიორგის თხოვნით 17 ბავშვისთვის გაგვახსნევინა ლევან მამალაძემ (გუბერნატორი იყო) ქართული სკოლა. არ შეიძლებოდა, მაგრამ ლევანმა გიორგის განცხადება დააკმაყოფილა. დღეს 600-ზე მეტი ქართველი ბავშვია ამ სკოლაში. იმ სკოლის და გახსნა ქართველების წალკაში დაძვრა ერთი იყო“.

### კვალიაშვილები

„2002 წელს ჩამოვედით თბილისში. ბავშვები მეექვსე გერმანულ სკოლაში შევიყვანეთ. იქ ვალერი ქუტიძეს ჰქონდა მუსიკალური წრე და მაშინ ბავშვებმა იმხელა რეპერტუარი შექმნეს, მისი მადლობელი ვარ. რუსუდანი გვიან მივიყვანეთ ვიოლინოზე, დაგვიანებული იყო. თან მაგარი ხელი აქვს. ვიოლინოს რბილი მტევანი უნდა. პედაგოგმა დიდი ენერგია ჩადო მასში. პაატა ჭანტურიშვილი ამზადებს რუსუდანსა და გიგოს, ლილი ხუჯაძესთან ია დადის, ჩელოზე ნუკრი ბაგრატიონ-დავითაშვილი ამზადებს მირიანს, გოგი ბერიძე სალომეს პედაგოგია. გაგვიმართლა პედაგოგებში“, - ამბობს ნინო.

**მირიან კვალიაშვილი:** „მე შვიდი წელია ჩელოზე ვუკრავ, ათი წლის ასაკიდან. კონცერტის წინ ერთად ვიკრიბებით და ვრეპეტიციობთ“.

**სალომე კვალიაშვილი:** „მე ჰობოიზე ვუკრავ. 8 წლის ვიყავი, როდესაც დედამ მითხრა, შენ ჰობოიზე უნდა დაუკრაო. ბლოგფლეიტამ ფილტვები გამიძლიერა. სამ წელში გადავედი ჰობოიზე. მიჩვევა გამიჭირდა. კაცური საკრავია, მაგრამ ბევრმა გოგომ დაიწყო დაკვრა. ყველაზე ლამაზი ბგერა აქვს. მიხარია, რომ ჯანსუღ კახიძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრში სტაჟორად ამიყვანეს. რაც შეეხება ერთად შეკრებას, იშვიათად გვიწევს ხოლმე. ყველას ჩვენ-ჩვენი საქმე გვაქვს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთად დაკვრა გვიწევს. ჩემი და - რუსუდანი ჩვენი ერთად შემკრებია“.

**რუსუდან კვალიაშვილი:** „მეთორმეტე წელია ვიოლინოზე და ალტზე ვუკრავ. ფატალური სიყვარული არ მაქვს, ვიოლინოს არ ვკოცნი. ბავშვობაში სულ ვამბობდი, ლიანა ისაკაძეს უნდა ვაჯობო-მეთქი. მარტო ჟინი არ არის საკმარისი, სხვანაირი ხელებია საჭირო. მე სოლო მევიოლინეს ხელები არ მაქვს, უფრო საორკესტროსი. სცენის შიში მაქვს. კონკურსებში არ ვმონაწილეობ. მუსიკალური პროგრამით გერმანიში ვიყავი. წელიწად-ნახევრის შემდეგ კონსერვატორიაში ვაპირებ ჩაბარებას“.

### ვიწროდ

**ნინო ბერიანიძე:** „საბინაო პირობები გვაქვს ცუდი. გარედან ისეთი კარგი სახლია, შოკში ვარდებიან. პაპას აშენებულია, ისტორიული სახლია. მაგრამ ძალიან ვიწროდ ვართ. ჩვენ პირველ სართულზე ვართ, ზემოთ მაზლის ოჯახი ცხოვრობს. ბავშვებს ერთ ოთახში ძინავთ, ერთ ოთახში მეცადინეობენ, კიდევ ერთი პატარა ოთახიც გვაქვს, 8 კვადრატული ფართის. სამაგიეროდ ეზო გვაქვს არაჩვეულებრივი. ჩემი ხელით გავაშენე ბაღი. მებაღეობა ჩემი მეორე პროფესიაა. წალკაშიც კარგი ბაღი მქონდა. გამგებლის ცოლობა არაფერზე მეტყობოდა, თოხით, ბარით, ცელით, ფოცხით დავდიოდი. საოცრად მამშვიდებს ეს საქმე.

ყოფით პრობლემებს ბევრი ენერგია მიაქვს. მრავალშვილიანებს რუსეთშიც დიდი მხარდაჭერა აქვთ. ჩვენთან ახლა შეიქმნა მრავალშვილიანთა მხარდაჭერის ფონდი. ეს დიდი პრობლემაა. დახმარება კი არა, მამა-პაპის სახლის მიწას გვართმევდნენ. მამუკა ახვლედიანმა თავის თავზე აიღო და მოგვიხსნა ეს პრობლემა“.

**- დილა როგორია თქვენთან?**

- სრული საგიჟეთი. ყველა სხვადასხვა მიმართულებით გადი-გამოდის.

### „რაღაც უნდა გავაკეთო“

„მინდა კულტურის სამინისტროს დახმარებით პროექტი გავაკეთო. ასეთი შემადგენლობის ანსამბლი საქართველოში არ არის. და-ძმა დედასთან ერთად უკრავს და ასრულებს თან ხალხურს, თან კლასიკას, ჯაზს, საკუთარ სიმღერებს, ნომრად კარატეს ელემენტები გვაქვს ჩართული. მარტო საქართველოს მასშტაბით კი არა, სადაც გინდა წაიღე ეს პროგრამა, დიდი ფურორი მოჰყვება. ყველა ინსტრუმენტს უადვილესად ითვისებენ. გიგომ პაპას ნაქონი აკორდეონი ჩამოიღო და ისე კარგ რაღაცებს უკრავს, თან ისე, რომ არავის უსწავლებია. ნიჭით ითვისებს. ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას, არ ვაზვიადებ და ერთ კვირაში ისწავლიან. პროფესიულად შეეძლებათ დაუკრან. პედაგოგებმა რამდენ ხანს უნდა მოგამზადონ უანგაროდ? იმიტომ მინდა პროექტის გაკეთება, რომ ამ ბავშვებს ჰქონდეთ იმის შესაძლებლობა, რომ მინიმუმ სამი პედაგოგი ჰყავდეთ. ინსტრუმენტები ძვირი ღირს, ვერ ვიძენთ. ვიოლინო და ჩელო ათანელის ფონდმა გვაჩუქა, ჰობოი გერმანელმა მეგობარმა. ფლეიტა დაუპატარავდა გიგოს და გვჭირდება. იაკოსაც ნათხოვარი ინსტრუმენტი აქვს. ხემი და სიმები ძვირი ღირს. ასი დოლარია სიმების შეკვრა. ფლეიტას ყიდის თიკოს მეგობარი მესამედ ფასში, 700 დოლარად, მაგრამ არ გვაქვს და ვერ ვყიდულობთ. სამწუხაროდ, არც 70 დოლარი გვაქვს... ძნელია ყოფა. რაღაც უნდა გავაკეთო. ეს ჩემი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება არ არის. ამ ბენდის პროგრამა რომ გაკეთდეს, ჩვენ ქვეყანას ვასახელებთ. საზღვარგარეთ არის ოჯახური მუზიცირების ტრადიცია, მაგალითად, გერმანიაში. ოთხკაციანი, ხუთკაციანი ბენდები. მაგრამ და-ძმების ამხელა კამერული ორკესტრი - ბევრმა თქვა, რომ ჯერ არ გაუგიათ. ფანტასტიკური პროგრამის გაკეთება შეიძლება“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N30 (228), ორშაბათი 29 ივლისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

ყველგან, სადაც საქართველო გვეძახის...

# გმირი


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება